140
1962/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

11 ნოემბერი 1962



# ზეიმი

მზიანი დილა იცინის,
იცინის მთელის აღგზნებით,
მოდიან თვალთა ციმციმით
საბჭოთა ახალგაზრდები.
მზიანი დილა იცინის,
ქუჩებში, შესახვევებში,
მზიანი დილა იცინის
ბრიალა ყელსახვევებშიც.
ზეიმია და, სიმღერა
კოსმოსში აგვიტანია,
ჰქუხს გმირობაზე სიმღერა,
გმირებიც ერთად არიან;
ჩვენი ცა არ აიმღვრევა,
დღეს კომუნიზმის დარია!
იცინის, დილა იცინის
მტრედის ფრთით გათენებული;
დაძლევს ყოველგვარ სიცივეს
თაობა ამღერებული.
დგას ყვავილების ციმციმი
ქუჩებში, შესახვევებში.
მზიანი დილა იცინის
ბრიალა ყესლახვევებშიც.

ოთარ შალამბერიძე

ნახ. რ. ცუცქირიძისა

140
1962/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს
ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოცემის
XXXVI
წელი

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია:
რ. ელანიძე, რ. ინანიშვილი, ჯ. კვარაცხელია,
მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი,
ჯ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), რ. ქორქია,
ე. ყიფიანი, ა. შენგელია, რ. ცუცქირიძე.

# პიონერი

11 ნოემბერი 1962

## შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.
**ოთარ შალამბერიძე**—საზეიმო (ლექსი გარეკ.) . . 2
**ალეკო შენგელია**—ავრორას გასროლა (ლექსი) . 2
**ვასილ გვეტაძე**—გზას გახედე შუქიანს (ლექსი) . 2
**ლილი ნუცუბიძე**—ზეიმია მთად და ბარად (ლექსი) 2
**ერემია ქარელიშვილი**—დიდი ილია (წერილი) . . 3
**მურმან ლებანიძე**—საოქტომბრო შეკრება (პოემა) 6
**ედიშერ ყიფიანი**—მთვარის საქანელა (მოთხრობა) 8
**ო. გელოვანი**—სტუმრები მაჯსიდან (წერილი) . . 14
**გურამ ბახტაძე**—„მცოდნე ბიჭი" (ფელეტონი) . . 15
**ჯიმშერ მუჯირი**—სტუმრად ესტონელ მოსწავლეებ-
თან (წერილი) . . . . . . . . . . . . . 15
**სოლომონ დემურხანაშვილი, სანდრო ყურშიტაშ-
ვილი**—მთაში (თავი მოთხრობიდან) . . . 18
ს ა დ  დ ა  რ ო გ ო რ  ი წ ყ ე ბ ა  ს წ ა ვ ლ ა—(წე-
რ ი ლ ი) . . . . . . . . . . . . . . . 22
**თენგიზ გიორგაძე**—ჭადრაკის დედოფალი (წერილი) 24
**როსტომ ელანიძე**—ფუტკარი და რწყილი (ზღაპარი) 25
რ ა ტ ო მ  ვ ა მ ბ ო ბ თ  ა ს ე? . . . . . . . . 25
**ანდრე კარბელაშვილი**—როგორ გამოიგონეს ტე-
ლეფონი (წერილი) . . . . . . . . . . . . 26
ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო  თ ე მ ა ზ ე . . . . . . . . . 21
**ვ. ჯიშკარიანი**—ამერიკო ვესპუჩი (წერილი) . . 28
მ ო კ ლ ე დ  ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე . . . . . . . . 29
ი უ მ ო რ ი . . . . . . . . . . . . . . . 29
მ ო კ ლ ე დ  ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე . . . . . . . . 30
ბ უ ნ ე ბ ი ს  კ ა რ ი . . . . . . . . . . . . 30
თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ  დ რ ო ს . . . . . . . . . 32

გარეკანის პირველ გვერდზე „ზამთრის სასახლის აღება"—ნახ. **კ. მახარაძისა**. გარეკანის მეორე გვერდზე „საოქტომბრო ზეიმი"—ნახ. **რ. ცუცქირიძისა**. გარეკანის მეოთხე გვერდზე—„იჩქარე! იჩქარე!"—პლაკატი თ. **სამსონაძისა**.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **კ. მახარაძის, რ. ცუცქირიძის, გ. როინიშვილის, ედ. ამბოკაძის** და **დ. ხახუტაშვილის** მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდება ოქტომბერს!

## „ავრორის გასროლა"

არის გასროლა, როგორც შუქურა,
საუკუნეებს რომ გაანათებს,
ძველს ყოველს კარი რომ დაუხურა
და რომ ხვალინდელ დღეებს განაგებს.
არის გასროლა, რომლის ელვარე
ცეცხლი არასდროს აღარ ჩაქრება,
ყველა ჩვენგანის სისხლში მღელვარებს
და კოცონივით გულში ჩაღდება.
არის გასროლა, რომლის ძალ-ღონემ
მიწა შესძრა და შეაზანზარა,
და ხალხის ნებით დაძრულ მთაგორებს
გზა უჩვენა და მისცა სხვა ძალა!

გასროლა იგი, მისი სინათლე,
როგორც მომავლის დიდი მხმობელი,
მიწის მარადი აწ მობინადრე,
ახლის სიცოცხლე ჩაუქრობელი,
ყამირს აბრუნებს და ადნობს ფოლადს,
ათბობს და აწრთობს ადამიანებს,
ვარსკვლავებისკენ გასტყორცნის ხომალდს
და ვარსკვლავივით ცაში ბრიალებს!
იგი, ვით ხალხის ძალა და ნება,
თვით დედამიწის განაგებს სრბოლას,
ადამიანებს შუქად დაჰყვება
იგი,—«ავრორას» დიდი გასროლა!

ალეკო შენგელია

## გზას გახედე შუქიანს!



ცეცხლისფერი ალმები,
ცა ლურჯი და მშვიდი...
ზეიმს მივესალმებით
პატარა თუ დიდი.
ფერებს ცვლიან ფერები,
ბოლო აღარ უჩანთ.
წითელ ყელსახვევებით
წითლად ელავს ქუჩა.
სიცილმა და სიმღერამ
ამოავსო სივრცე,
მწკრივი მწკრივზე მიღელავს,
გული ტკბილად გვიცემს.

ჩანგი ლაღად ლუღუნებს,
მთებს გაეძახით მხნედა,
პიონერო, უყურე,
რა დილაა, ხედავ?
მზეს ნადიდებ-ნაფერებს
ოქროს შუქი აკრავს.
საყვირს მაგრად ჩაჰბერე!
დაფდაფს მაგრად დაჰკარ!
გზას გახედე შუქიანს,
ცას ახედე მაღლით,
ეს დღე ვის არ უქია,
დღე—საოცრად ლაღი.

ზეიმობდეთ, ხარობდეთ,
ჭღურტულებდეთ ტკბილად.
არ ჩაქრება აროდეს
ეს კრიალა დილა.
ცეცხლისფერი ალმები,
ცა ლურჯი და მშვიდი...
ზეიმს მივესალმებით
პატარა თუ დიდი.

ვასილ გვეზაძე

## ზეიმია მთად და ბარად

კარს მოგვადგა დღე დიადი,
ზეიმია მთად და ბარად
და მეც გიძღვნით, პატარებო,
საოქტომბრო ლექსს და ბარათს.
ეგ წითელი ყელსახვევი
ნაწილია დიდი დროშის,
ის გვიძღოდა დაუხრელად
შრომისა და ბრძოლის დროში.
შეიყვარეთ თავზე მეტად
და ატარეთ მუდამ ფრთხილად,

თქვენი შუქი მიუმატეთ
დიდ ოქტომბრის ნათელ დილას.
ადიადეთ ჩვენი მიწა,
მზე-ჩახჩახა ქვეყნის ცაზე,



თვალუწვდენი ველ-მინდვრები,
ეს ზღაპრული სილამაზე.
დე სირცხვილი არ გენახოთ,
დაეწაფეთ ცოდნის წყაროს,
კარგი სწავლით, კარგი შრომით
რომ სამშობლო გაახაროთ.
აისია, ხალისია,
ეგ სიმღერა დროშებს არხევს...
დე პირნათლად ატარებდეთ
პიონერის წმიდა სახელს!

ლილი ნუცუბიძ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ილია



ვისაც კახეთი მოუვლია და ყვარელში ყოფილა, არ შეიძლება არ მოეხიბლა იგი იქაურ მშვენიერებას, — ცადაზიდულ ყვარლის მთებს, ლამაზად წამომართულ კუდიგორას, შლეგსა და მოუსვენარ დურუჯს, ლაღად გაშლილ ალაზნის ველსა და ვაზივით დაგრეხილ ფერდობებს, შემოდგომაზე რომ ცეცხლს წაიკიდებენ და ათასფრად აჭრელდებიან ხოლმე.

აი, აქ, ბუნების მადლით ყელამდე სავსე სოფელში ას ოცდახუთი წლის წინათ დაიბადა დიდებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე.

კახეთის ზვიადმა ბუნებამ აქცია ილია სილამაზის ჭეშმარიტ მომღერლად. ამ ბუნების ზღაპრულმა სიდიადემ გამოჭედა და აწრთო მისი ხასიათის ძალა, გაალვიძა ჭაბუკის პირველი ოცნება. შემთხვევითი როდი იყო, რომ ახალგაზრდა ილიამ, როდესაც იგი სასწავლებლად რუსეთს მიდიოდა, თავისი პირველი ლექსი ყვარლის მთებს უძღვნა. ამ ლექსში ავტორმა განსაკუთრებული ძალით გამოხატა თავისი ყრმობის სწრაფვა და იდეალი, ის როლი, რომელიც ყვარლის მთებმა მისი პოეტური სულის გაღვიძებაში ითამაშეს:

მახსოვს, ყრმა ვიყავ, ძლივს მოსული გონს და ცნობასა,
როს სიდიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ჟრჟოლასა...
ვნატრობდი ხოლმე, რომ ვეხვიო მსუბუქსა ქარსა,
ან თავისუფალ არწივისა ძლიერსა ფრთასა,
რომ აღმოვფრინდე და შევეხო თქვენ ამაყ თავსა.



ილია და აკაკი — ქანდაკება
ვ. თოფურიძისა და შ. მიქატაძისა

ამ ლექსში ვიგრძენით პირველად სამშობლოდან შორს მიმავალი ყმაწვილკაცის ის ადამიანური სევდა, რომელიც მოქალაქეობრივ სიმწიფეში მძლავრ შთაგონებულ პატრიოტიზმად იქცა:

მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...
უცხოეთიდამ კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა;
კვლავ გაგილიმებთ შორ ქვეყნიდამ თქვენ ჩემი სული,
და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქასა გული.

ილიას მშობლები — გრიგოლი და მარიამი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული ადამიანები იყვნენ და ბავშვის აღზრდას თავიდანვე ბეჯითად მოჰკიდეს ხელი. დედის დახმარებით შეისწავლა მომავალმა პოეტმა წერა-კითხვა, ქართული ხალხური ზღაპრები, ძველი მწერლობის ნიმუშები და „ვეფხისტყაოსანი". ახალგაზრდა ილიას ცხოვრებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა მამიდამაც, რომელმაც დედით ადრე დაობლებული ძმისწულების მზრუნველობა იკისრა. ათი წლისა იყო ილია, როცა მარიამი გარდაიცვალა. 1848 წელს მამამ შვილი თბილისში ჩამოიყვანა და რაევსკის კერძო პანსიონში მიაბარა. ეს პანსიონი იმ დროს ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებლადაც ითვლებოდა. პანსიონის დამთავრების შემდეგ ილიამ სწავლა გააგრძელა გიმნაზიაში, სადაც იგი მიღებულ იქნა მეოთხე კლასში.

მაგრამ პატარა ილიას ბედი არ სწყალობდა, მისი გიმნაზიაში შესვლიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ მამაც გარდაეცვალა. უდედმამო ოჯახი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, საშინელ ხელმოკლეობას განიცდიდა. ილიას თბილისში ცხოვრება უჭირდა... მხოლოდ მამიდის გულმოდგინებითა და დახმარებით შეძლო გიმნაზია დაემთავრებინა და 1857 წელს პეტერბურგს წასულიყო უმაღლესი განათლების მისაღებად.

ილიამ, ოთხი წელი გაატარა პეტერბურგში. რუსეთში გატარებულმა წლებმა განსაკუთრებული როლი შეასრულა მომავალი დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრებაში.

გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მიწურული რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლებისა და გააქტიურების წლები იყო. რუსი დემოკრატები თავდადებით იბრძოდნენ თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, მათი გაბედული აზრები და რომანტიკული სწრაფვა თავისუფლებისა, თავისკენ იზიდავდნენ ახალგაზრდა ილიას. მას არ შეეძლო ამ ამბების უბრალო მაყურებლის როლში დარჩენილიყო, და მთელი არსებით გადაეშვა მოვლენების შუაგულში, მჭიდრო კავშირი დაამყარა რევოლუციურად განწყობილ მოწინავე ინტელიგენციასთან და სტუდენტთა ფარული ორგანიზაციების აქტიური წევრი გახდა.

ჯერ კიდევ თბილისის გიმნაზიაში სწავლისას არდადეგების დროს სოფელში ჩასული ილია ღრმად უკვირდებოდა ხალხის ცხოვრებას და გული სტკიოდა გლეხებსა და ბატონებს შორის არსებული არაადამიანური ურთიერთობის გამო. მისი თანაგრძნობა მუდამ დაჩაგრულთა მხარეზე იყო და მათი ცოდვით არა ერთხელ ავსებია თვალები ცრემლით. რა ექნა, რით დახმარებოდა, არ იცოდა, გული უკვდებოდა, რომ შველა არ შეეძ-



ილია ეტლს უხმობს

ლო. ამ დროს მრავალი მშფოთვარე კითხვა აღძვრია. მაგრამ პასუხი ვერ გაუცია.

და აი, რუსეთში გატარებულმა ოთხმა წელმა მთელი გადატრიალება მოახდინა მის გონებაში, გამოუცოცხლა სულის ძველი ტკივილები, ახალი ძველი ფიქრები და ჭაბუკის ოცნებას ძლიერი ფრთები შეასხა. რუსეთიდან შინ მომავალი ილია ის ილია აღარ იყო, რომელიც ოთხი წლის წინათ სამხედრო გზით თბილისიდან პეტერბურგისაკენ მიემგზავრებოდა.

აი, რას გვეუბნება ილია ამის შესახებ „მგზავრის წერილებში":

„ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორდება, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული".

ამ ოთხმა წელმა ჭაბუკის „ტვინსა და გულში ცხოვრების კვირტი გამოჰკვანძეს..." შინ მომავალი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ რით გამოადგებოდა ქვეყანას, როგორ შეძლებდა სამშობლოსათვის გულისტკივილი მოერჩინა, დავრდომილი აღედგინა, უნუგეშოსათვის ნუგეში მოეფინა, მტირალისათვის ცრემლი მოეწმინდა, მშრომლისათვის შრომა გაეადვილებინა! ყველა ადამიანის მიფერფლილი საპერწკალი ერთ დიდ [illegible] როვებინა და თავისი ქვეყნის გაციებული გული გაეთბო.

ილია ჭავჭავაძის გამოსვლა სამწერლო და სამოღვაწეო ასპარეზზე ახალი ერის დასაწყისად გადაიქცა ჩვენი კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. პირველ ნაწარმოებებშივე, რომლებიც მან სტუდენტობის დროს გამოაქვეყნა, მკაფიოდ დაისახა მწერლის ეროვნული და სოციალური იდეალები, მისი შემდგომი მოღვაწეობის მთელი პროგრამა. ილიას „აჩრდილმა" (1858-59 წ.), „გლახის ნაამბობმა" (1859 წ.), „ქართვლის დედამ" (1860 წ.), „კაკო ყაჩაღმა" და მრავალმა სხვამ ქართული მწერლობის ისტორიის ახალი ფურცლები გადაშალეს, მისი იდეური და მხატვრული განვითარების ახალი საფეხური დაიწყეს. ეს ნაწარმოებები შთაგონებულია პატრიოტიზმითა და ჰუმანიზმით. მათში ერთნაირი ძალითა და მგზნებარებით არის გამოხატული ეროვნული და სულიერი თავისუფლების იდეები. თუ „ქართვლის დედა" მიძღვნილია ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, „კაკო ყაჩაღში", შემდეგ კი „გლახის ნაამბობში", მოურიდებლად ამხილა გაბატონებული სოციალური უსამართლობა და მკაცრი განაჩენი გამოუტანა ბატონყმობას. იშვიათად მოიპოვება ქართულ



ილიას ავტოგრაფი

მწერლობაში მხატვრული ქმნილებები, რომლებიც ასეთი მხატვრული უშუალობითა და სიღრმით გადმოგვცემდნენ ცხოვრების სიმართლეს, გვიჩვენებდნენ მისი განვითარების ტენდენციებს.

სამშობლოში დაბრუნებული ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი ენერგია იშვიათი ძალით გაიფურჩქნა. ილიამ მთელი საზოგადოება გამოჩენისთანავე მოხიბლა და აღტაცებაში მოიყვანა თავისი ნიჭის სიდიადითა და მრავალმხრივობით. ბრწყინვალე ბელეტრისტი და პოეტი, ქართული ენის ბუნების უბადლო მცოდნე, ამავე დროს იყო გასაოცრად მახვილი პუბლიცისტი, ფაქიზი გემოვნებისა და შეუმცდარი ალღოს კრიტიკოსი, მოაზროვნე, ისტორიკოსი, ეკონომისტი და სოციოლოგი.

ფართო თეორიულ-ფილოსოფიურ განათლებასთან ერთად, მას დიდი პრაქტიკული უნარიც გააჩნდა. მშვენივრად იცოდა ქვეყნისა და ხალხის ცხოვრება და ყველაზე დროულად ეხმაურებოდა მათ საჭიროებას.

მთელი სიცოცხლე დიდმა ილიამ მოუსვენარ შრომაში გაატარა. არ ყოფილა იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, არც ერთი ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვანი საქვეყნო საქმე, რომლის წამომწყები და მეთაური ის არ ყოფილიყო. ილიამ დააარსა „საქართველოს მოამბე“ და „ივერია“, იგი სათავეში ედგა ბანკსა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, დაუღალავად ზრუნავდა ქართულ სკოლაზე. ილიამ, აკაკისთან ერთად, აღადგინა და განაახლა ქართული თეატრი, ხოლო გოგებაშვილთან ერთად, დაუშრეტელი საზრდო მისცა ქართული მეცნიერული პედაგოგიური აზროვნების განვითარებას.

ილია ჭავჭავაძის, როგორც მწერლის როლი ქართული ლიტერატურის ისტორიაში მაინც განსაკუთრებულია. მისი „გლახის ნაამბობი“, „მგზავრის წერილები“, „კაცია ადამიანი?!“, „სარჩობელაზე“, „ოთარაანთ ქვრივი“, „აჩრდილი“, „ქართვლის დედა“, „კაკო ყაჩაღი“, „დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“ და სხვა მრავალი — მხატვრული აზროვნების ჭეშმარიტი შედევრებია, რომლებიც არასოდეს არ დაჰკარგავენ იდეური და ემოციური ზემოქმედების ძალას.



ილიას საფლავი მთაწმინდაზე

ნახ. გ. როინიშვილისა

მართალია, კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის ნიმუშები ჩვენს მწერლობაში უფრო ადრე გვხვდება, მაგრამ ამ შემოქმედებითი სტილის მკაფიო მიმართულება მხოლოდ ილიამ და აკაკიმ მისცეს, მათ შექმნეს კრიტიკული რეალიზმის სკოლა, რომელსაც შემდგომში მთელი თაობები გაჰყვნენ. ილიამ დაამუშავა ახალი მწერლობის ის თეორიული პრინციპები, საიდანაც სათავეს იღებს ქართული მეცნიერული ესთეტიკური აზრის შემდგომი განვითარება.



მთაწმინდის პანთეონი

ნახ. გ. როინიშვილისა

ასე ვრცელი და შეუზღუდველი იყო ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი ფანტაზია, მისი იდეური ქვეყანა. არ დარჩენილა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ წამოყენებული არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც მხურვალე გამოხმაურება არ ეპოვოს ილიას მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაში. მაგრამ ქვეყნისა და ხალხის დიდი ქომაგის ფიქრთა დენა, უპირველეს ყოვლისა, თავს დასტრიალებდა თავისუფლებას, პატრიოტიზმსა და ბედნიერი მომავლის იდეალს. ილიამ ბრწყინვალედ გამოხატა ეპოქის სუნთქვა, როცა „ქართვლის დედაში“ ხალხს უთხრა და მომავალ თაობას უანდერძა: „მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა, რაც უწყალო დროთ ხელით დანთქმულა, მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი... ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს... ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

ილიას სწამდა, რომ მომავალი აღადგენდა დიდების დღეებს და შეჰქმნიდა უკეთეს აწმყოს.

და ამ უკეთესი აწმყოსათვის ბრძოლაში ილია ჭავჭავაძე მუდამ თავის ხალხთან იყო. იგი თავისი მარადდაუბერებელი შემოქმედებით დღესაც ჩვენთან არის, გვამხნევებს, გვაფრთოვანებს შრომასა და ბრძოლაში. იგი ჩვენი და ყველა მომავალი თაობის თანამედროვეა. ამიტომ მისდამი ინტერესი და სიყვარული ყოველთვის ერთნაირად ძლიერი და ერთნაირად ლამაზი, აღმაფრთოვანებელი და შთამაგონებელი იქნება.

ერემია ქარელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საოქტომბრო შეკრება



მურმან ლებანიძე

ნახ. ედ. ამბოკაძისა

იქ, სადაც მტკვარი გრიალით
მოჰქუხს და ტალღებს აგორებს,
იქ, სადაც ძეგლი ილიჩის
გაჰყურებს ქართლის მთა-გორებს,
იქ, სადაც ტალღა გრუხუნით
ზამესის ბურჯებს ეხლება —
მე ვნახე, ვერხვის ჭალაში,
პიონერული შეკრება.

იყო ოქტომბრის საღამო,
გული ოცნებით ღელავდა,
ენთო ჭალაში კოცონი
და მწუხრში წითლად ელავდა.
სდუმდა დოლი და საყვირი
და რაზმი სმენად ქცეული...
უცებ, გაისმა ძახილი:
„მოდისო ხალხის რჩეული!“.

უცებ, შეირხა საყვირი,
შეირხა რაზმის დროშები:
„მოდისო ტკბილი სტუმარი“ —
ატყდა ძახილი ნორჩების.
გამოატარეს ზეიმით
მოხუცი მხნე და ლომგული,
ყვავილში ჩასვეს გმირი და
დააწკრიალეს ჩონგური:

## სიმღერა წითელ ოქტომბერზე

მას დიდება, ვინც ილვწოდა,
მზე აენთო ჩვენთვის ცაში!
ვინც იწვოდა, ვინც იბრძოდა —
ხალხის ქება! ხალხის ტაში!

გმირთა სისხლით მონაპოვარს,
გამარჯვებებს სასახელოს,
მა, ორმოცი წელიწადი
წინ მიაფრენს საქართველო!

ვინც იწვოდა, ვინც ილვწოდა —
მზე აენთო ჩვენთვის ცაში,
დღეის-დღისთვის ვინც იბრძოდა —
ხალხის ქება! ხალხის ტაში!

...ასეთი იყო
სიმღერა ტკბილი,
ბანს მოსძახოდნენ
ქართლის გორები.
ფეხზე ამდგარი
ისმენდა გმირი
და ვეტერანი
წარსულ ბრძოლების.

გაშტერებოდა
კოცონზე თვალი,
გარინდულიყო
ცეცხლის ტკაცუნში,
გახსნოდა ზეცის
შვიდივე კარი,
შორს წასულიყო
თავის წარსულში...

გმირს მოკრძალებით
ეახლა ბიჭი:
„ტკბილო სტუმარო,
გვითხარით რამე!“
ის გამოფხიზლდა,
წინ წარსდგა ბიჭი,
გამოტივტივდა
ვერხვებში მთვარე,

და გახსნა ბაგე
სტუმარმა მაშინ,
ძველი ბრძოლების
ესმა თქარუნი...
და იყო უხვად
ვაჟკაცის ხმაში
სითბო, ალერსი
და სიყვარული:

## სტუმარი:

ბევრი ბრძოლა გვინახავს,
ბევრი გადაგვხდენია,
რა გიამბოთ ისეთი,
რაც თქვენ არა გსმენიათ!

თქვენ არ გახსოვთ წარსული,
დრო ჩაგვრის და წამების,
დღევანდელი დღისათვის
ჰქუხდნენ გმირი მამები.



ყური მიგდეთ, ბავშვებო,
ზეცას თალხი მფარავდა,
იდგა მეფე ზვიადი
მშრომელ ხალხის ჯალათად.

სდუმდნენ ქართლის ქედები,
სევდით გადაბურული,
ოხვრას ჰგავდა ჰოპუნა,
კვნესას ჰგავდა ურმული.

ხალხს ასწავლა პარტიამ:
ჩაქუჩი და ნამგალი
ერთად შეაკავშირეთ,
მტარვალს ერთად დაჰკარით!

და ავმხედრდით სალაშქროდ,
ვაშა დავაგრიალეთ,
ქვეყნად დიდი ოქტომბრის
დროშა ავაფრიალეთ...

მწარე წარსულს ჩაბარდა
ხალხის მტრების პარპაში —
ბრწყინავს დროშა დიადი
საქართველოს მთა-ბარშიც.

იყო ვერხვების
შრიალი ნელი,
დაბლა კოცონი
და მთვარე მაღლა.

სტუმრის წინაშე
წინ წარსდგნენ ერთად...
და როგორც ფიცი,
როგორც პატაკი,
მათი სიტყვები
ღამეში ჟღერდა:

## პირველი პიონერი

გვაქვს საზრუნავი მრავლად —
ჯერ წიგნისაკენ მივქრით.
უპირველესად — სწავლა!
უპირველესად — წიგნი!

სწავლაა — წყაროს თვალი,
უწიგნურება — დავგმეთ.
სწავლა — პირველი ვალი!
წიგნი — პირველი საქმე!

გვაქვს საზრუნავი მრავლად —
ჯერ წიგნისაკენ მივქრით.
უპირველესად — სწავლა!
უპირველესად — წიგნი!

ხალხი ჩვენი მშრომელი
დიდ ქვეყანას აშენებს,
და ჩვენც სწავლა-ცოდნასთან
ერთად შრომაც გვამშვენებს.

## მესამე პიონერი

მაგრამ — განა მარტო შრომა,
მაგრამ — განა მარტო სწავლა,
თავის დროზე ვიცით ხტომა,
თავის დროზე ვიცით გავლა!

გაშლილია ათასფერად
ჩვენთვის ტკბილი მთა და ველი,
ჰა, სარბენად, ჰა, საფრენად
საქართველო სანატრელი!

ირგვლივ — მარტო სიხარული!
ირგვლივ — მარტო გახარება!
ხალხთა ძმობა-სიყვარული,
ქვეყნის წინსვლა-აყვავება!

გაშლილია ათასფერად
ჩვენთვის ტკბილი მთა და ველი...
ჰა, სარბენად, ჰა საფრენად
საქართველო სანატრელი!



დაჩუმდა გმირი
და გულის ძგერით
ჰა, ხელმძღვანელი
წინ წარსდგა ახლა,

თქვა: — ჩვენც ვუამბოთ,
ნიშნად მადლობის,
გმირს და ვეტერანს
დიდი ბრძოლების,
ვუამბოთ ჩვენი
ტკბილი დღეების,
პიონერული
ჩვენი ცხოვრების!

და შეჩოჩქოლდნენ
მაშინ ბავშვები,

## მეორე პიონერი

პიონერულ ორწლედით .
ჩვენი გეგმა დავსახეთ,
ვაშა დავაგუგუნეთ,
შრომის ჰიმნი დავძახეთ.

სოფელში თუ ქალაქად
ჩვენცა ვშრომობთ სწორები:
იქით — ჩაის ტონები!
აქეთ — ჯართის გორები!

მივუზიდეთ მშენებლებს
ათასობით აგური,
ათასობით შრიალებს
ნერგი ჩვენგან დარგული.

## სიმღერა
## წითელ ოქტომბერზე

მას დიდება, ვინც იღვწოდა,
მზე აენთო ჩვენთვის ცაში,
ვინც იწვოდა, ვინც იბრძოდა —
ხალხის ქება! ხალხის ტაში!

გმირთა სისხლით მონაპოვარს,
გამარჯვებებს სასახელოს,
ჰა, ორმოცი წელიწადი
წინ მიაფრენს საქართველოს.

ვინც იწვოდა, ვინც იღვწოდა —
მზე აენთო ჩვენთვის ცაში,
დღეის-დღისთვის ვინც იბრძოდა—
ხალხის ქება! ხალხის ტაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთვარის საქანელა

ელიზერ ყიფიანი

მოთხრობა

ნახ. რ. ცუცქირიძისა

სოფელი მზეთა მთებშია გაშენებული. მთის ფერდობები რცხილის, წიფლისა და წაბლის ხეებით დაფარულა, ტყეში საურმე გზა გადის და მთების გადაღმა სოფლებს უკავშირდება. გზას ვიწრო ხეობა მიჰყვება, ხეობას — ცივი და ანკარა ღელე. როდესაც მგზავრი ტყეში შევა, იმ წუთშივე იგრძნობს სასიამოვნო სიგრილესა და ნესომპალას სურნელებას, ერთბაშად გაქრება სოფლის ხმები—საქონლის ბღავილი და ურმის ჭრიალი, ძაღლის ყეფა და კოლმეურნეთა ნადური — და ადამიანის ყურთასმენას ხავსმოდებულ ქვებზე გადამდინარე ღელის ჩუხჩუხი და უამრავ ფოთოლთა გაბმული შრიალი დაიპყრობს.

პატარა ხეობაში უზარმაზარი წითელი ექსკავატორი გაწოლილა. ბორგავს, სველ-სველ ქვებს ხაპავს ვეება რკინის ყბებით და როცა პირთამდე აივსებს ხახას, მხოლოდ მაშინ დაწყნარდება ოდნავ, სულს ამოითქვამს, გრძელ კისერს ხეობის ერთი ნაპირიდან მეორემდე გადაიტანს და დიდი კმაყოფილებითა და ხროტინით ჩაცლის ამდენი ჯაფით მოპოვებულ ნადავლს თვითმცლელი მანქანის ძარაში.

ახლა, ღელის პირას სხვა მანქანა ჩამოდგება და ექსკავატორი, ეს უზარმაზარი რკინის გველეშაპი, ისევ გამძვინვარებით ეკვეთება მიწას, რომ სველი ქვებითა და ხრეშით დააპუროს მშიერი მანქანა... თითქოს ექსკავატორი მზრუნველი დედა იყოს, ეს მანქანები კი მისი პატარა შვილები.

დილიდან საღამომდე დაჭქრიან მანქანები ხეობიდან გზის მშენებლობამდე. აქ მათი მოტანილი ქვები სამტვრევ მანქანაში იყრება, კენჭა-კენჭად იფშვნება და მუშები დაფშვნილ ღორღს ახალგაჭრილ გზაზე ყრიან.ასწორებენ, ტკეპნიან. მერე მოაქვთ ცხელი, ორთქლით შემობურული შავი გუდრონი და მოტკეპნილ ღორღზე ასხამენ თანაბრად.

ტყით დაფარულ ბორცვებსა და გორაკებზე ადამიანივით მიიკვლევს გზას ეს მოასფალტებული შოსე. მაღლა, მთებში ელსადგურის მშენებლობაა დაწყებული და ამ ახალი გზით უნდა დაუკავშირდნენ ელსადგურის მუშები დიდ ქალაქებს, ქარხნებსა და ფაბრიკებს, რომ საშენი მასალა გადმოზიდონ, ქარხნებიდან ელექტრომოწყობილობა გადმოიტანონ.

დაქრიან თვითმცლელი მანქანები ხეობიდან გზის მშენებლობამდე. დილიდან საღამომდე ებრძვის მიწას წითელი ექსკავატორი და სველ-სველი ქვებით აპურებს მშიერ მანქანებს — თავის რკინის შვილებს.

მაგრამ ექსკავატორს ერთი უცნაური შვილიც ჰყავს. იგი სულ არა ჰგავს დედამისს — არც რკინისაგან არის გაკეთებული და არც ძრავა ამუშავებს. ეს ნაბოლარა, უცნაური შვილი — ჩოჩიალა ურემი გახლავთ, რომელიც ძლივს იქნება მანქანის ბორბლების სიმაღლის. ურემში ახალგახედნილი მოზვრებია შებმული, თუმცა მოზვრები რა სათქმელია, უკვე ხარები არიან, რომლებიც პირველ ხანებში ისე ფეთდებოდნენ ექსკავატორის ღმუილსა და გუგუნზე, რომ ერთი-ორჯერ კიდევაც გადაჩეხეს ურემი ხრამში. ახლა კი შეეჩვივნენ, არას დაგიდევენ ექსკავატორის ბრდღვინვასა და ქშენას, ის კი არა და, თვითმცლელ მანქანებთან ერთად, ვითომც ჩვენ ვიზე რა ნაკლები ვართო, რიგში დგებიან და მოთმინებით ელოდებიან, როდის გაავსებენ ურემს ქვებით.

ექსკავატორს ძია სანდრო მართავს, მანქანებს — მძღოლები, ამ პატარა ხარურემს კი ოთხი პატარა მეურმე ჰყავს— ჯუმბერი, ვახტანგი, ლია და... აქ ნუ ვიტყვით მეოთხე მეურმის სახელს, თავმოყვარე ბიჭია და დაცინვად არ მიიღოს, არ იფიქროს: ორი დღეა რაც ქალაქიდან ჩამოვედი, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავ ურემს, ჯერ ზედაც არ შევმჯდარვარ და ესენი უკვე მეურმედ მნათლავენო.

ჰოდა, ასე. ჯერჯერობით, სამი პატარა მეურმე ჰყავს ამ პატარა ხარ-ურემს, მაგრამ გზის მშენებლებს ეს სულაც არ უკვირთ. ერთნი ამბობენ: „რა მოხდა მერე, რიგრიგობით უძღვებიან ხარებსო“.. მეორენი ასე ამართლებენ: „სამი ბალღიდან ერთი ნამდვილი მეურმე ხომ გამოვა, რაღა გინდათ მათგანო“. ამ ლაპარაკს ასე თუ ისე ურიგდებიან პატარა მეურმეები, მაგრამ მათი უშუალო მეტოქეების, მძღოლების აზრი მაინც და მაინც არ ეპიტნავებათ. მძღოლები ულვაშებში ჩაიცინებენ ხოლმე და ამბობენ: „სამნი კი არა, რატომ ოცნი არ არიან... ისე დაცხრილულია ურემი, გზადაგზა იმდენი ქვა ეპნევათ, რომ, აბა, სამი ბავშვი რას ეყოფა ქვების ასაკრეფად, ჯიბეებში ჩასაწყობად და მშენებლობაზე მისატანადო“. ჰო, არ ეპიტნავებათ ეს სიტყვები პატარა მეურმეებს, რადგან მათი ურემი სულაც არ არის დაცხრილული, სულაც არ ცვივა გზადაგზა ქვები; რა ვუყოთ მერე, რომ ხანდახან მთლიანად გავარდება ურემს ძრო და მოულოდნელად უღელშემსუბუქებული ხარები დრუნჩებს წაარჭობენ მიწაში. არც ისაა ყბადასაღები, თუ ცალი ბორბალი მაღალ ლოდზე შედგება და ურემი გადაყირავდება, ეს ხანდახან თვითმცლელ მანქანებსაც ემართებათ.

ამაზე უარეს გაჭირვებასაც აიტანენ ჯუმბერი, ვახტანგი და მათი პატარა დაიკო — ლია; ეს რაა, თუნდაც დღედაღამ იმუშავებენ, მძღოლების არ იყოს, მართლაც საკუთარი ზურგით გაზიდავენ ქვაღორღს, ოღონდ ბოლომდე შერჩნენ გზის მშენებლობას, სულ ბოლომდე გაჰყვნენ ახალმოასფალტებულ შოსეს.

როგორც ყოველთვის, დღესაც ადრიანად გამოცხადდნენ მშენებლობაზე და თან წამოიყვანეს ქალაქელი ბიძაშვილი, რომელიც წუხელ ჩამოვიდა თბილისიდან და სულაც არ მიიღებს დაცინვად, რომ ქალაქელად ვახსენეთ, პირიქით, ეამაყება კიდევაც ეს. აქ უკვე მისი სახელიც გავამჟღავნოთ.

დათო, უპირველეს ყოვლისა, ჩაცმულობით განსხვავდებოდა თავისი ბიძაშვილებისაგან. მისი ქათქათა თეთრი ხალათი, მუხლების ფოსოებთან ღილებით შეკრული წითელი შარვლის ტოტები, თეთრი თასმით გაბანტული თეთრი ფეხსაცმელები—შეუფერებელი იყო ღელედან ამოსულ მანქანების ბორბლებით მოსველებულ და ატალახებულ გზასთან, ქვებით დატვირთულ თვითმცლელებთან და, მით უმეტეს, პატარა ჩოჩიალა ურემთან. ამას გარდა, დათოს სოფლელ ბიძაშვილებისაგან ისიც ანსხვავებდა, რომ შესამჩნევად მსუქანი და ლოყებღაჟღაჟა იყო.

მზეს რომ ხმა ჰქონოდა ჩამოსძახებდა დათოს: „ქალაქშიაც გეყოფა, რომ მიმალავ მკლავებსა და ზურგს, გაიხადე ხალათი, ნახე, როგორ გაგიშავო და გაგიკაჟო სხეულიო“. მინდვრებს რომ თვალი ჰქონოდათ, ეტყოდნენ დათოს: „აბა, ეგ რაღაა, ჩამოსულხარ სოფელში და ტყავის ლანჩებით მაბიჯებ გულზე, გაიხადე, ფეხშიშველა ირბინე, სიგრილეს მიეჩვევი და აღარასოდეს გაცივდებიო“.

ხარებს რომ ენა ჰქონოდათ, შეჰბღავლებდნენ დათოს: „მაგ გაპრანჭული წითელი შარვლით გინდა წინ გაგვიძღვე? ჩვენ შენისთანები გვეუცხოება და ისე ვურქენთ ხოლმე, არასოდეს ავიწყდებათო“.

მაგრამ არც მზეს ჰქონდა ხმა, არც მინდვრებს — თვალი და არც ხარებს — ენა, ამიტომ მათი სათქმელი დათოს ბიძაშვილებმა თქვეს:

— დათო, სად მოდიხარ აგრე გამოპრანჭული? — ჰკითხა ვახტანგმა და ლიას თვალი ჩაუკრა.

ბავშვები ჩოჩიალა ურემს შემოხვეოდნენ, ურმის უკან სამი თვითმცლელი მანქანა იდგა, წინ — ერთი, სწორედ ეს წინა უნდა შეევსო ახლა ექსკავატორს სველი ქვებით, მერე ურმის ჯერიც დადგებოდა. ბავშვები ელოდნენ თავიანთ რიგს, არავის არსად არ ეჩქარებოდა, არავინ აპირებდა სადმე წასვლას, ამიტომ გაიკვირვა დათომ ვახტანგის შეკითხვა.

— სად უნდა მოვდიოდე?

— რა ვიცი, აგრე რომ გამოწყობილხარ, ვიფიქრე...

— არსადაც არ მიდის, — გააწყვეტინა ძმას ჯუმბერმა, — ხომ უნდა მიხვდნენ სოფელში, რომ ქალაქელია? ჰოდა, აბა, როგორ მიხვდნენ? რა თქმა უნდა, ჩაცმულობით. ასე არ არის, დათო?

— თქვენ ახლა... თქვენ ახლა დამცინით! — აღელდა დათო.

— რა თქმა უნდა, დასცინი! — შეუტია ვახტანგმა უფროს ძმას, — აბა, რა საჭიროა ჩაცმულობა? როგორც კი დათოს ფუნთუშა ლოყებს შეხედავენ, ისედაც მიხვდებიან, რომ ქალაქელია. ასე არ არის, დათო?

— ნუ დამცინი, თორემ... — გაბრაზდა დათო.

— თორემ ერთბაშად ჭიდაობაში არ მაჯობო, ან სირბილში, ან ჩხუბში! — მოუჭრა ვახტანგმა.

— ვახო, იცი ახლა რას გიზამდი, ჩემი ბიძაშვილი რომ არ იყო? ცემით მოგკლავდი... შენ იცი კრივი?

ვახტანგმა გაკვირვებით გადახედა ჯუმბერს, ნახე, როგორ უბერავს ეს ქალაქელიო, ჯუმბერს გულში ეცინებოდა უმცროსების კინკლაობაზე, მაგრამ არ იმჩნევდა. ვახტანგი ისევ დათოს მიუბრუნდა.

— ვთქვათ, არა ვარ შენი ბიძაშვილი და არც ის შენი კრივი ვიცი. აბა, ერთი მიჩვენე, როგორ კლავ ხალხს ცემით!

— გიჩვენო? — მუშტები მოკუმშა დათომ და თავისი შარვალივით გაწითლდა.

— ჰო, მიჩვენე... ძალიან მაინტერესებს, — კვლავ გაექილიკა ვახტანგი და თვითონაც საჩხუბრად მოემზადა.

ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს კინკლაობა, რომ ამ დროს პატარა ლიას არ დაეწივლა:

— ჩვენი ჯერია, ჩვენი ჯერია, ძია სანდრო!

ბიჭები სწრაფად გამოერკვნენ და ლიასკენ შემობრუნდნენ. თურმე მათ უკან მდგარ მანქანას გვერდი აევლო ურმისათვის და ახლა ურიგოდ აპირებდა ქვების წაღებას. ძია სანდროს ის იყო უნდა ჩაეყარა, — ლიას ყვირილი მოესმა და ქვებით სავსე ვერცხლისფერკბილებიანი ჩამჩა მანქანის თავზე შეაჩერა. მძღოლმა კაბინის კარი გამოაღო და სანდროს გაჰყვირა:

— კაცო, ჩაყარე, ბავშვების სათამაშოდ მცალია ახლა?

— მაგათი ჯერი ყოფილა! — გამოსძახა ექსკავატორის კაბინიდან ძია სანდრომ.

— რა მაგათი ჯერი! — უფრო გაბრაზდა მძღოლი, — ერთი კენჭი არ მიჰყვება მშენებლობამდე!

ჯუმბერი რიგის დათმობას აპირებდა, მაგრამ მძღოლის სიტყვები გულში მოხვდა, ხარებს შესძახა და ურემი მანქანის წინ დააყენა.

— ჩაგვიყარე, ძია სანდრო!

ექსკავატორის ჩამჩამ ურმის თავზე გადმოინაცვლა, აყირავდა და ფრთხილად, თითქმის სათითაოდ ჩაყარა ქვები ურემში. აბა, ერთბაშად და მთლიანად რომ დაეყარა, მაშინ არა თუ ბავშვები, მთელი სოფელიც რომ დასდებოდა, ვეღარსად იპოვნიდნენ ურემს.

ურემი გაივსო, მაგრამ ჩამჩას, თითქოს არაფერი მოკლებიაო, მძიმად აიწია მაღლა და ახლა მანქანა გაავსო. თვითმცლელი ადგილს მოსწყდა.

— ეჰ, სანამ ჩვენი ურემი მშენებლობაზე მიაღწევს, ეგ ათჯერ წაიღებს აქედან ხრეშს, — თქვა სინანულით ვახტანგმა და თვითმცლელს თვალი გააყოლა.

— სამანქანო გზაზე რატომ დადიხართ, ტყე-ტყე გადადით. მოკლეცაა და სიგრილეშიც ივლით! — ურჩევს ბავშვებს მეექსკავატორე.

ურემი დაიძრა, აჭრიალდა გაუსაპნავი ბორბლები.

ხარებს, როგორც ყოველთვის, ჯუმბერი უძღოდა წინ. „აქამდე როგორ ვერ მოვისაზრეთ, — ფიქრობდა ჯუმბერი, — ტყეზე მართლაც მოკლედ მოიჭრება გზა, ხანდახან ღელეშიც ჩავალთ და ვიბანავებთ, ან საგუბარში ვიცურავებთ“.

ხარებმა სამანქანო გზიდან გადაუხვიეს და ტყეში შერგეს თავი.

— უჰ, რა ცივა! — წამოიძახა დათომ



და მკლავებზე ხელისგულები აისვ-ჩაისვა.

— მზეც დაიკარგა! — თქვა ვახტანგმა.

დათომ და ლიამ მაღლა აიხედეს, გზის გარდიგარდმო ერთმანეთში გადაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანდულ ხეთა ხშირ ტოტებს შორის ათას ნაწილად დაქუცმაცებულიყო მზე.

— ჯუმბერ, დავჯდები ურემზე! — თხოვა დათომ, — შენ ხომ დამპირდი.

— არ შეიძლება, ფეხი ტკივა წაბლას.

— რომ არ კოჭლობს?

— ურემზე თუ დაჯდები, იკოჭლებს!

— აი, ნახე თუ კოჭლობს! — წამოიძახა დათომ და წაბლა ხარს სახრე გადაუჭირა.

წაბლას ეუცხოვა დარტყმა, გაიქცა და ნახშირას კინაღამ უღელი გადააძრო რქებიდან. ჯუმბერი გაბრაზებული მივარდა დათოს, სახრე გამოსტაცა, შუაზე გადაამტვრია და შორს გადაისროლა.

— რამდენჯერ გითხარი, ნუ ურტყამმეთქი! ჯოხი შენ გჭირდება, წაბლას კი არა!

— კარგი, ჰო, აღარ დავარტყამ, გამიჭირეთ თქვენი ხარებით საქმე!

— თუ გაგიჭირეთ, არავინ გეხვეწება, იჯექი სახლში!

— მე მშენებლობის ნახვა მინდა, ხვალ მართლა აღარ წამოვალ! — თქვა დათომ.

— აღარ წამოხვალ და ელსადგურსაც ვეღად ნახავ! — თქვა ვახტანგმა.

— თქვენი სოფლის ელსადგურს? — ჰკითხა დათომ.

— ჰმ... — ჩაეცინა ვახტანგს —არაფერი გესმის, ჩვენი სოფლის ერთი ციცქნა ელსადგური რა სახსენებელია!

— აბა?

— იცი ახლა სად მივდივართ?

— გზის მშენებლობაზე!

— მერედა, საით გაჰყავთ გზა?

— ელსადგურისაკენ! — უპასუხა დათომ.

— დიდი ელსადგურისაკენ, რომელიც შორს, მთებში შენდება და მთელ საქართველოს გაანათებს! — განმარტა ვახტანგმა და განაგრძო, — ეს გზა ხომ მივა იმ დიდ ელსადგურამდე?

— მივა!

— ისინიც მივლენ!

— გზის მუშები?

— მერე ჩვენც ხომ მათთან ერთად ვმუშაობთ?! — ნიშნისმოგებით წამოიძახა ვახტანგმა.

— ესე იგი, თქვენც მიხვალთ იმ დიდ ელსადგურამდე? — ჰკითხა დათომ.

— აბა, რა!

— დედა არ გაგიშვებთ, არც კატო ბებია!

—მეც კი ვიცი, რომ არ გაგვიშვებენ, მაგრამ ახლა ხომ გვიშვებენ, გზა კი ნელ-ნელა წინ მიდის და მიდის, გესმის? — ეშმაკურად მოჭუტა თვალები ვახტანგმა.

დათო ერთბაშად მიხვდა, რა გევშაც დაეწყოთ ბიძაშვილებს. მართლაცდა, ისინი აქვე, სოფელშივე დადიან გზის მშენებლობაზე, ამას რატომ დაუშლის დედა, ან კატო ბებია?! მაგრამ გზა ნელ-ნელა წინ გაიწევს, გასცდება მზეთას, კიდევ სხვა სოფლებს და იმ დიდ ელსადგურს მიაღწევს. რა კარგადაა მოფიქრებული! ის ელსადგური კი თურმე ყველაზე მაღალი იქნება მსოფლიოში, წყალი ორასი თუ სამასი მეტრიდან გადმოვარდება. .

და უეცრად დათოს მოუნდა გზის მშენებლობაზე მუშაობა, ჯუმბერივითა და ვახტანგივით მეურმედ ყოფნა. წარმოიდგინა, როგორ გასცდებოდნენ მზეთას, როგორ იცხოვრებდნენ თვითმცლელის მძღოლებთან ერთად, როგორ ჩაიძინებდნენ ღამღამობით ურემზე (არც ისე პატარა ურემია — დაეტევიან!), მერე როგორ ჩამოვიდოდნენ მზეთიდან ხან დეიდა პელაგია, ხან კატო ბებია, იმ სიშორეზე საგზალს ჩამოუტანდნენ და მაინც ვერ მიხვდებოდნენ, რომ ბავშვები გზასთან ერთად დიდი ელსადგურის მშენებლობას უახლოვდებიან.

ასე იოცნება დათომ, მაგრამ ხმამაღლა ვერაფერი თქვა, შერცხვა ბიძაშვილებისა. ახლა აღარ ამბობდა, ხვალიდან სახლში დავრჩები, მშენებლობაზე აღარ წავალო!

წაბლა და ნახშირა კუდების ქნევითა და თავების კანტურით განაგრძობდნენ გზას, დათოს ისევ სციოდა, მაღლა იყურებოდა, თითქოს მზეს დაეძებდა ტოტებს იქით.

დიდხანს აღარ უვლიათ, ტყე გათავდა თუ არა, თვალწინ გზის მშენებლობის სურათი გადაეშალათ პატარა მეურმეებს. დიდ საავტომობილო შოსედან, რომელიც მთელ საქართველოს გასდევს, ცალკე ტოტად იყოფოდა ახალმოასფალტებული გზა და უკვე სოფელ მზეთამდე აღწევდა. აქ კი ბულდოზერები შესეოდნენ ოღრო-ჩოღრო მიდამოს, მიწიდან ნახევრად ამოჩრილ დიდ ლოდებს აძრობდნენ, ხის ძირკვებს თხრიდნენ, მომცრო ბორცვებს პირწმინდად აქრობდნენ. ბულდოზერების წინ მხერხავები მუშაობდნენ, გზად შეხვედრილ ხეებს ჭრიდნენ, უკან სატკეპნი მანქანები მიჰყვებოდნენ. ბულდოზერებს, სატკეპნ მანქანებს — გზის მომკირწყვლელები, გუდრონის მომსხმელები და ბოლოს ისევ მძიმე, სატკეპნი მანქანები მიჰყვებოდნენ, რომელთაც უკან ქალები დასდევდნენ და რკინის დიდ ბორბლებს ტილოთი წმენდნენ.

ჯუმბერმა ქვისსამტვრევ მანქანასთან დააყენა ხარები, აპეურები მოხსნა და ურემი ბუნკერში გადააყირავა. ისევ შეაბა ხარები და, ის იყო, უნდა გასცლოდა ქვისსამტვრევს რომ, გზის მთავარი ინჟინერი დაინახა.

იგი მუშებს მიესალმა, მერე ბავშვებს გადახედა.

— ბრიგადას გაუმარჯოს! სად დაიკარგეთ, ასე უნდა დახმარება?

— ურემი გაგვიტყდა, ბიძია არჩილ!

—მერე, ჩვენ ხომ უნდა გვცოდნოდა! — უსაყვედურა არჩილმა და ჯუმბერს თავზე ხელი გადაუსვა.

— სამაგიეროდ ახალი მუშა მოგიყვანეთ! — წამოიძახა ვახტანგმა და დათოს ზურგში ხელი ჰკრა ოდნავ, — ჩვენი ბიძაშვილია, ბიძია არჩილ, შეიძლება ჩვენთან ერთად იმუშაოს?

— რატომაც არა, — თქვა არჩილმა და ღიმილით აათვალ-ჩაათვალიერა ჩა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რგვალებული დათო, — მაგრამ რომ გახდეს, არ ეშინია?

ყველას გაეცინა, დათომაც ვერ შეიკავა სიცილი.

— ჯუმბერ, შენთან საქმე მაქვს, — ხელი მხარზე დაადო ინჟინერმა ჯუმბერს.—რას იტყვი, სხვა სამუშაოზე რომ გადაგიყვანოთ?

— რა სამუშაოზე?

— მუშებს რომ სადილები უზიდოთ ურმით!

— ჩემმა ბრიგადამ?

— ჰო.

— არასოდეს! ჩვენ მზარეულები კი არა ვართ! — გაწითლდა ჯუმბერი.

— ჯუმბერ, შენ დიდი ბიჭი ხარ... გზის მშენებლობაზე სასადილოს აშენებას აზრი არა აქვს, გზა ყოველდღე მიიწევს წინ, თუ მართლა დახმარება გინდათ...

— საველე სასადილო? — გაახსენა ჯუმბერმა.

— საველე სასადილოს კერძებს მუშები არ კადრულობენ, სოფლის სასადილო კი უკვე შორს დაგვრჩა ახლა სახლებიდან უზიდავენ სადილებს, ჩვენი მუშების უმეტესობა ხომ თქვენი სოფლიდანაა. ჰოდა, ყოველდღე ოცდაათი-ორმოცი ქალი ან ბავშვი გამოდის სოფლიდან, რომ კაცებს საჭმელი მოუტანონ გზის მშენებლობაზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარე დღესაც მეჩხუბა, კაცები ხომ წამართვი და წამართვი, ახლა ქალებსაც მიცდენო, ვინღა გამარგლოს ყანა, ვინ მოწამლოს ვენახები, ვინ გამოიყვანოს აბრეშუმის პარკიო. ა, ჯუმბერ, ხვდები რა სამსახურსაც გაგვიწევ? ყოველდღე ჩამოუვლით ოჯახებს თქვენი ურმით და მუშებს სადილს ამოუტანთ. ეგ არის და ეგ...

ჯუმბერმა ვახტანგს გადახედა, მერე დათოს და ლიას. ყველანი დუმდნენ. ჯუმბერმა კეფა მოიფხანა. „გზა მალე მეზობელ სოფელში შევა, იქ ახლოს ექნებათ სასადილო და ჩვენ აღარ დავჭირდებით, აღარ გვაზიდვინებენ მზეთიდან საჭმელს, — გაიფიქრა მან, — მერე შეიძლება სულ გაგვაგდონ მშენებლობიდან“...

— ბიძია არჩილ, რა ერქმევა იმ დიდ ელსადგურს?

არჩილი გააკვირვა ჯუმბერის მოულოდნელმა შეკითხვამ.

— ენგურჰესი! განა არ იცოდი?

— მერე და როდის მივაღწევთ იქამდე?

— „მივაღწევთ“... ენიშნა ეს სიტყვა არჩილს და გაეღიმა.

— გააჩნია, თუ ყველამ კარგად იმუშავა და არ იზარმაცა, ორ თვეში იქ უნდა ვიყოთ!

— ესე იგი, სწვლის დაწყებამდე?

— რა თქმა უნდა! — კვლავ გაეღიმა არჩილს.

— თანახმა ვართ! — თქვა ჯუმბერმა და ბავშვებს გადახედა, ხომ ვართ თანახმა?!

— კი! — ყველას მაგივრად წამოიძახა დათომ, ძალიან უხაროდა, რომ ქვების მაგივრად გემრიელ საჭმელს წამოიღებდნენ ურმით.

— ბიძია არჩილ, — მიუახლოვდა ჯუმბერი ინჟინერს, — ოღონდ ერთი პირობით, რაც არ უნდა მოხდეს, მე ენგურჰესამდე უნდა წამოგვყვეთ. მომეცით სიტყვა, ბიძია არჩილ!

— სიტყვას გაძლევ, თუ მშობლები დაგრთავენ ნებას!

ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ბავშვები წასვლას აპირებდნენ, ჯუმბერმა დაინახა, რომ სამუშაოთა მწარმოებელი, ასლანი, არჩილს ელაპარაკებოდა და სქელ ქაღალდზე რაღაცას უთითებდა. მერე არჩილმა ქაღალდი ჩამოართვა, ხელები ზურგსუკან შემოიწყო და ჯუმბერმა თვალი მოჰკრა გზის მშენებლობის გეგმას.

— წამოდი, რა გაჩვენო! — წასჩურჩულა ჯუმბერმა დათოს.

ისინი ფრთხილად მიუახლოვდნენ არჩილს და მის ზურგსუკან ჩაიჩოქეს.

— ხედავ? — ისევ აჩურჩულდა ჯუმბერი, — ეს ხაზი მომავალი გზაა, ჩვენ რომ გაგვყავს, — და ხაზს თითი დაადო, — ხედავ, რა სწორია?! ეს კი ამბაკო ბაბუას სახლია, ჩვენი სოფლის მეწისქვილის, — და „სახლსაც“ დაადო თითი, — ეს ალვის ხეა, ხომ ხედავ იმ გორაკზე რომ ალვის ხე დგას. აქედან გზა წავა, წავა, წავა, — ჯუმბერმა თითი გააყოლა ნახაზს, მერე დათოს შემოხედა და ასე განაგრძო თითის მოძრაობა, — ჩაუვლის გვერდზე ამბაკო ბაბუას სახლს, გადაივლის მთას, — ჯუმბერის თითი გადასცდა ნახაზს და არჩილის ტანისამოსზე გადავიდა, — გადაჭრის ტყეს, სოფლებს და ჩავა ელსადგურთან! — ამ სიტყვებთან ერთად, ჯუმბერმა თითი დააჭირა არჩილს ზურგში. არჩილი შეკრთა, შემოტრიალდა და ბავშვები შერჩა ხელში.

— რა მოხდა, ჯუმბერ?

— მაპატიეთ, ბიძია არჩილ, დათოს გზის გეგმას ვუჩვენებდი და...

— ჯუმბერ, ჩვენ შევთანხმდით, თუ არა? — გაიღიმა არჩილმა.

— დიახ!

— აბა, მომეცი ხელი!

ჯუმბერმა ხელი გაუწოდა.

— ჩვენ წავალთ და ხარებს დავაბვენებთ, ჯუმბერ! — უთხრა ვახტანგმა ძმას.

— წადით, მეც ახლავე მოვალ!





ვახტანგი გახარებული გაუძღვა ხარებს, ძლივს ეღირსა მეურმეობა.

— სად მივდივართ? — ჰკითხა დათომ.

— აი, ალვის ხესთან... წყაროა, ხარები დავასვენოთ.

— ჯერ მე არ დავღლილვარ და...

— ეგ შენ საღამოს თქვი!

ნახშირამ და წაბლამ, თითქოს მიხვდნენ, დასასვენებლად მივყავართო, ჩქარი ნაბიჯით აიარეს აღმართი და წყაროს წყალს დაეწაფნენ.

— არ გაიბერონ... — დაუძახა ლიამ ვახტანგს, — დაღლილები არიან!

ვახტანგმა აღმართი აირბინა და ხარები წყაროს მოაცილა. მერე უღლიდან გამოხსნა, თოკი დაუგრძელა და ალვის ხის ქვედა ტოტზე გამოაბა. ხარები ნოყიერსა და ნამიან ბალახს მიეტანენ. ლიამ ურმიდან საგზალი გადმოიღო და საუზმის თადარიგს შეუდგა.

უეცრად დათო გაფითრდა, შორს ქვემოთ, ტყისა და ყანის საზღვართან ვიღაცას მოჰკრა თვალი.

— ტყის კაცი... ტყის კაცი! — წაიბუჩბუტა მან.

ვახტანგმა თვალი გააყოლა და სიმინდის ყანის პირას დაინახა თეთრწვერა მოხუცი, რომელიც გაშეშებულიყო და მათკენ იყურებოდა.

— ე, შე სულელო, — გაეცინა ვახტანგს, — ეგ ხომ ამბაკო ბაბუაა!

— მეწისქვილე... აღარ გახსოვს? — დაუმატა ლიამ.

— მე არასოდეს მინახავს, — შეშკრთალი ხმით თქვა დათომ, იგი ისევ ქანდაკებადქცეულ მოხუცს გაჰყურებდა.

— ეჰ, როგორ მეცოდება, საწყალი, — დიდი ქალივით ამოიხრა ლიამ.

— რატომ? — დაინტერესდა დათო.

— ძალიან მოხუცებულია?

— არა... შვილი მოუკვდა...

— შვილი? დიდი იყო?

— ძალიან,—თქვა ლიამ, — ჩვენ დაბადებულიც არ ვიყავით, როცა ის დაბადებული იყო...

— მერე, ავად გახდა?

— არა...

—ომში დაიღუპა, — თქვა ვახტანგმა.

— ომში?

— ჰო, მფრინავი იყო, ფაშისტების გემს დააჯახა თვითმფრინავი...

— თვითონაც დაიწვა და გემიც, — დაამთავრა ლიამ.

—სად დაასაფლავეს? — ჰკითხა დათომ.

— ვერ ნახეს და როგორ დაასაფლავებდნენ?

— სადმე ხომ უნდა იყოს მისი საფლავი? — გაუკვირდა დათოს.

— არსად არ არის...

— მაშინ შეიძლება არც მომკვდარა, — თქვა დათომ.

— არა, მოკვდა, — თვალები აუწყლიანდა ლიას, — ამბაკო ბაბუა ტირის ხოლმე.

— და მას შემდეგ ტყეში ცხოვრობს ამბაკო ბაბუა? — დათომ კვლავ გაიხედა ტყისა და სიმინდის ყანის საზღვრისკენ. მოხუცი აღარ ჩანდა.

— ტყეში რა უნდა, მართლა სულელო, აი, მისი სახლი.

დათომ მიიხედა მოხუცის მხარეს და ხეებში მიმალულ სახლს მოჰკრა თვალი, ღობეშემოვლებულ ეზოში ვარდის ბუჩქები მოჩანდა.

ხარები გემრიელ ბალახს შორს გაეტყუებინა, თოკი ლარივით დაჭიმულიყო და ალვის ხის ტოტიც გადაეზნიქა.

— ლია, წადი, ხარები გამოდევნე!— თქვა ვახტანგმა.

მაგრამ ლიას ბრძანებად ეჩვენა:

— შენ თვითონ გამოდევნე!

მაგრამ არც ვახტანგს ეცალა, უნდოდა ჯაყვის სროლაში გაჯიბრებოდა დათოს. ბიჭებმა ხუთი ნაბიჯი გადათვალეს და ალვის ხისკენ შემოტრიალდნენ, ვინც მეტჯერ ჩაასობდა ხეში ჯაყვას, გამარჯვებულიც ის იყო.

— სად დაიკარგა ეს ჯუმბერი! — თავისთვის ჩაილაპარაკა ლიამ, ხელი მოიჩრდილა და მშენებლობისაკენ გაიხედა.

გახარებული მოაბიჯებდა ჯუმბერი. ბიძია არჩილმა „ვაჟკაცური სიტყვა“ მისცა — სხვებს თუ არა, შენ აუცილებლად დაგტოვებ გზის დამთავრებამდეო. „სხვებში“ ვახტანგი, დათო და ლია იგულისხმებოდა. გზის დამთავრებამდე დატოვება კი იმას ნიშნავდა, რომ ჯუმბერი ბოლომდე გაჰყვებოდა გზას და ენგურჰესს მიაღწევდა, ამ ყველაზე დიდსა და ყველაზე საოცარ ელსადგურს მთელს მსოფლიოში. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს იქ შეხვდებოდა მანანას...

მანანა თბილისში გაიცნო ჯუმბერმა, მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. ორივემ ჯილდო მიიღო ქართული ცეკვების საუკეთესოდ შესრულებისათვის. პირველად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს, გამარჯვება მიულოცეს და ჯუმბერმა გაიფიქრა, რომ მანანასავით ჭკვიანი თვალები, ლამაზი თმები და თბილი ღიმილი არავის ჰქონდა ქვეყანაზე... და კიდევ ხმა... სულ დაავიწყდა ხმა... ასეთი ხმა არასოდეს მოესმინა ჯუმბერს... თითქოს თვითონ მანანა იყო ხმა და ტუჩების განძრევისთანავე ვერცხლის ზარივით რეკდა...

— მომავალ ოლიმპიადაზე ჩამოხვალთ? — ჰკითხა მანანამ.

—ჩამოვალ! — უპასუხა ჯუმბერმა და გული აუძგერდა.

— ნახვამდის!

— ნახვამდის!

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

ჯუმბერი სოფელში დაბრუნდა და საგნებს ჩაუჯდა, რადგან შვიდწლედს ამთავრებდა და მკაცრი გამოცდები იყო მოსალოდნელი. უნდოდა ხუთებზე დაემთავრებინა, რომ მერე ადვილად მოხვედრილიყო ქუთაისის სამშენებლო ტექნიკუმში. სულ დაავიწყდა მანანა, ზღაპარივით თუ გაახსენდებოდა ხანდახან... მაგრამ ამას წინათ (ცხრამეტი დღე გავიდა მას შემდეგ), როდესაც ვახტანგსა და ლიასთან ერთად სავსე ურემი მიაყენა ქვისსამტვრევს, გზაზე „ვილისი“ გაჩერდა. მანქანიდან ლამაზი, მაღალი კაცი გადმოვიდა და ბიძია არჩილს ხელი ჩამოართვა, მერე ორივენი კანტორისაკენ გაემართნენ ნელი ნაბიჯით... უეცრად ჯუმბერს „ვილისიდან“ ვიღაცამ დაუძახა. ხმა ეცნაურა ჯუმბერს, გული აუძგერდა, მანქანიდან გაღიმებული მანანა გადმოვიდა, ისედაც დიდი თვალები უფრო გადიდებოდა განცვიფრებისაგან.

— ჯუმბერ, მიცანი?

— გიცანი! — გაწითლდა ჯუმბერი.

მანანას ისევ თბილი, თბილი ღიმილი და ლამაზი თმები ჰქონდა.

— აქაური ხარ, ჯუმბერ? — სოფლისაკენ გაიშვირა ხელი.

— აქაური ვარ!

— უჰ, რა კარგია, მეც აქვე ვიქნები ამ ზაფხულს — ენგურჰესის მშენებლობაზე. მამა გამოგზავნეს სამუშაოდ და ჩვენც წამოგვიყვანა, — ახლა „ვილისისკენ“ გაიშვირა ხელი მანანამ. მანქანიდან ვიღაც ქალი და პატარა ბიჭი იყურებოდნენ გაკვირვებით, ალბათ, ფიქრობდნენ, ეს ვინაა, ვისთან ლაპარაკობს მანანაო.

— ჯუმბერ, ხომ ჩამოხვალ ჩვენთან?

— თუ მეცლება — კი!

— გეცლება? ახლა ხომ არდადეგებია!

— მერე, რა, მე გზის მშენებლობაზე ვმუშაობ.

— ჰოო, — გააგრძელა მანანამ და ის თბილი ღიმილი სადღაც გაუქრა, სახეზე წყენა დაეტყო, შებრუნდა და სწრაფად ჩაჯდა მანქანაში. მაშინ პირველად იგრძნო ჯუმბერმა, რომ მანანა გოგო იყო. რომ...

ალვის ხესთან დანახულმა სურათმა ჯუმბერს ფიქრები გაუფანტა.

— რას შვებით?... რა გიქნიათ! —დაიყვირა მან და ბიჭებისკენ გაექანა. ჯუმბერმა დაინახა, რომ თოკგამობმულ ალვის ხის ტოტს ხარები სადაცაა მოტეხდ-



ნენ, თოკის მოხსნა უნდოდა, მაგრამ მისმა ყვირილმა და სირბილმა ხარები დააფრთხო, ტოტი ლაწანით გადატყდა და ბალახებში გასრიალებულ თოკს გაჰყვა ფოთლების ლიცლიცითა და შარიშურით.

— რა ჰქენით ეს, რა ჩაიდინეთ?! — ყვიროდა ჯუმბერი. — არ იცით, რომ ეს ხე ამბაკო ბაბუას შვილის დარგულია?!

— დაღუპული შვილის? — აღმოხდა ვახტანგს.

— მფრინავი რომ იყო? — ჩაილუღლუღა დათომ.

— მე ეგ არ ვიცოდი! — თქვა ლიამ.

— არც მე! — თავი დახარა ვახტანგმა, — სხვაგან მეგონა ის ხე...

— უნდა წაგითაქოთ ერთი კაცმა! ჭკუას ისწავლით! — მძვინვარებდა ჯუმბერი.

ამ დროს ფერდობიდან ამოიზარდა ბაბუა ამბაკოს თეთრად გაპენტილი თავი, ოდესღაც ფართო, ახლა კი საცოდავად მოხრილი მხრები, წელში ორად მოკეცილი. მოხუცი ალვის ხისკენ მოეშურებოდა, ეტყობა, გუმანით ეგრძნო, რომ რაღაც უჭირდა ხეს.

დათომ სწრაფად ამოაძრო ხის კანში ღრმად ჩასობილი ჯაყვა და დამალა. ჭრილობიდან მოყვითალო წვენი გადმოდინდა ხეს და სხვა ჭრილობებს გადაეჟონა.

უეცრად ბალახებში მოტეხილ ალვის ტოტს მოჰკრა თვალი მოხუცმა, ელდანაკრავივით შედგა. ხეს გამოხედა, მერე ხარებს, ბოლოს ბავშვებს დაადგა საყვედურით თვალები და ტოტისკენ წაბაჯბაჯდა. ტოტი ცოცხალივით მიირხეოდა ბალახებში. მოხუცმა აკანკალებული ხელებით გამოხსნა თოკი და ჯერ კიდევ მწვანე, სურნელოვანი ტოტი მაღლა ასწია.

— ეს რა მიქენით, შვილებო, ა? ეს რა დააწიეთ ჩემს უბედურ თავს... ჯუმბერ, ბიჭო, ეგენი პატარები არიან, მაგრამ შენ ხომ გახსოვდა, ხომ იცოდი, რომ ეს ხე...

— მე ამ წუთში მოვედი, ამბაკო ბაბუა! — თავი დახარა ჯუმბერმა, —აქ რომ ვყოფილიყავი, ეგ არ მოხდებოდა.

— სხვაგან ვერ დააბით, შვილებო... სხვაგან ვერ დააბით? — ვახტანგსა და დათოს მიუბრუნდა მოხუცი. — სხვა ხე ველარ ნახეთ ამ სოფელში?

დათო ცოტა გაკვირვებული იყო: — რა მოხდა, ბაბუა, ტოტი მოტყდა, მეტი ხომ არაფერი?! — ხმამაღლა წამოსცდა ნაფიქრი.

ჯუმბერმა ძლივს შეიკავა თავი, კინაღამ სილა აჭამა დათოს. მოხუცი შემობრუნდა და დათოს მიაცქერდა.

— არაფერი მომხდარა, ბაბუა.. რაც ჩემს თავს მოხდა, იმაზე მეტი რა უნდა მომხდარიყო?!

მოხუცმა ნატოტარი მოსინჯა ხეზე, მერე მოგლეჯილი ამწვანებული ტოტი ოდნავ მაღლა ასწია და ცოცხალ ხესავით დაიძრა თავისი სახლისაკენ. მიდიოდა და გზადაგზა რაღაცას ბუტბუტებდა.

ბიბლიოთეკა

გუნება წაუხდათ ბავშვებს. ჭამის თავი აღარ ჰქონდათ. თითო ნაჭერი ჭადი და ყველი დაიტეხეს, ლიამ მიწაზე გაშლილი სუფრა აალაგა. ჯუმბერმა ხარები გააბა ურემში და ყველანი სახლისკენ გაემართნენ. მიდიოდნენ ჩუმად. ყველა თავისთვის ფიქრობდა. თავისებურად აფასებდნენ ამბაკო ბაბუას საქციელს, ადანაშაულებდნენ საკუთარ თავს.

ვახშამზე, როცა ყველა სუფრას შემოუჯდა, ჯუმბერმა დაწვრილებით უამბო დედას და კატო ბებიას ალვის ხის ამბავი. პელაგიამ შეიცხადა, დათოს კიდევ ეპატიება, გუშინწინ ჩამოიყვანა ბებიამისმა ქალაქიდან, პირველად არის სოფელშიო, თქვენ რა ღმერთი გაგიწყრათ, როგორ დაგავიწყდათ იმ ხის ამბავიო.

ბავშვები დუმდნენ, გრძნობდნენ დანაშაულს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც, გემრიელად შეექცეოდნენ ცხელცხელ ფაფას.

კატო ბებიამ კი და-ძმანი გაამართლა და დათოს მიადგა კიბე: აბა, როგორ დასცდა შენს ენას ეგ სიტყვები, ქალაქელს უფრო მოეთხოვება ზრდილობა, ხომ იკითხავენ, ვისი შვილია, და ხომ შეარცხვინე დედაშენიო. მერე თავსაკრავი შეისწორა და განაგრძო:

— ეჰ, საწყალი ამბაკო... ყოველ გაზაფხულზე, როცა ალვის ხე ამწვანდება, მის სიხარულს საზღვარი არა აქვს, ისე ბედნიერია, თითქოს შვილი გაცოცხლებოდეს, მაგრამ მოვა შემოდგომა, გასცვივდება ხეს ფოთლები და ისევ ისე დაიწყებს მოთქმას, თითქოს ხელახლა დაღუპვოდეს შვილი... მაგის ცოდვით აღარა ვარ ქალი... გაუფრთხილდით იმ ხეს, აღარ დააბათ ხარები, — და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: — ჭამეთ ახლა, რას გაშტერებულხართ!

როცა სუფრიდან აიშალნენ, ჯუმბერმა ბავშვები გააფრთხილა: ხვალ დილით ამბაკო ბაბუასთან წავალთ და მერე შევუდგებით ჩვენს საქმესო, ადრე დაიძინეთ, თორემ თქვენი გაღვიძების თავი არა მაქვსო.

ბავშვებმა თბილ წყალში ფეხები დაიბანეს და ქათქათა ლოგინებში ჩაკოტრიალდნენ, დაღლილებს მალე ჩაეძინათ. მხოლოდ ჯუმბერს არ ეხუჭებოდა თვალი, მანანასთან უკანასკნელი შეხვედრა აგონდებოდა და თითქოს მისი ხმაც ესმოდა.

— „ჯუმბერ, ხომ ჩამოხვალ ჩვენთან?“

— „თუ მოვიცალე, კი!“

— „ახლა ხომ არდადეგებია?! — გაუკვირდა მანანას.

— „მერე რა, მე ვმუშაობ“!

— „ჰოო...“

და მანანამ იწყინა ჯუმბერის ცივი პასუხი. ახლა, ალბათ, სძინავს მანანას სადმე, ენგურჰესის მახლობლად, ახალი კოტეჯის აივანზე. კოტეჯი ისეთი ახალია, რომ ირგვლივ ფიცრის სუნი დგას. იქნებ არც სძინავს მანანას? იქნებ ახლა მასაც ჯუმბერი აგონდება და ჰგონია, რომ ჯუმბერი ღრმა ძილსაა მიცემული?.. ახლა რომ შეიძლებოდეს უეცრად მათი შეხვედრა, რამდენს ისაუბრებდნენ და იცინებდნენ... ძალიან უნდა ჯუმბერს მანანას ნახვა. იმიტომ უნდა, რომ მანანასთან სულ არ ულაპარაკია... ჯუმბერს უნდა გაიგოს, როგორია მანანა, რას აკეთებს ხოლმე, როცა ძალიან გახარებულია, და როგორ იცინის, ანდა, როგორ ტირის, როცა ძალიან აწყენინებენ... როგორ გაიკვირვებს, როცა ჯუმბერი საოცარ ამბავს მოუყვება, ანდა, როცა ცალი ხელით აწევს ერთმანეთზე დადებულ ორ სკამს... არა, ჯუმბერმა აუცილებლად უნდა ნახოს მანანა, თვითონაც ხომ უთხრა, ჩამოდიო, მაგრამ ჯუმბერს არ უნდა სტუმარივით მისვლა, არ უნდა მანანას მშობლების წინაშე ვიღაც უცხო ბიჭად გამოცხადდება. მანანა ეტყვის დედას და მამას: „გაიცანით, ეს ჩემი ამხანაგია". ჯუმბერი გაწითლდება და ხელს ჩამოართმევს. მანანას მამა კი მეუღლეს გადუჩურჩულებს: „ვინაა ეს ბიჭი?" აი, ეს არ უნდა ჯუმბერს! იგი მივა მანანასთან, მაგრამ გზასთან ერთად... გზასთან ერთად მიადგება მანანას კოტეჯს, მანანა დაინახავს და ჩამოირბენს. „ჯუმბერ, გამარჯობა!" — ეტყვის იგი. „გამარჯობა, მანანა!" — უპასუხებს ჯუმბერი, ვითომც აქ არაფერიაო, და მუშაობას განაგრძობს. თუმცა რა მუშაობას, გზა დამთავრებული იქნება... გზა მანანას კოტეჯთან დამთავრდება... და მერე ჯუმბერი იმუშავებს ენგურჰესის მშენებლობაზე... რა მოხდა მერე, იმუშავებს, ვითომ არ მიიღებენ? ამსიგრძე გზა რომ გაიყვანა, მაინც არ მიიღებენ? ჯუმბერს უნდა, ძალიან უნდა, რომ მსოფლიოში ყველაზე მაღალი და ყველაზე საოცარი ელსადგურის მშენებელი იყოს... სხვაზე არც იმუშავებდა, აქეთ რომ შეხვეწნოდნენ კიდევაც, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე საოცარი და მაღალი ელსადგური უნდა... არც მანანა ურჩევდა სხვაგან მუშაობას...

(დასასრული შემდეგ ნომერში)



# სტუმრები მარსიდან

ამ ბოლო ხანებში დიდად გავრცელდა ჰიპოთეზა, რომელიც აყენებს მოსაზრებას, თითქოს დედამიწაზე ათასობით და მილიონობით წლის წინათ მოდიოდნენ სტუმრები



მარსიდან და სხვა პლანეტებიდან. ამ ჰიპოთეზის ერთ-ერთი პოპულარიზატორია მწერალი-ფანტასტი ა. კაზანცევი. ცხადია, სხვა სამყაროს მცხოვრებთ დედამიწის მონახულება შეეძლოთ, თუმცაღა თეორიულად ეს მეტად ძნელი დასაჯერებელია.

არის თუ არა დედამიწაზე შორეული სტუმრების რაიმე კვალი შემორჩენილი?

კაზანცევი უცხო პლანეტიდან მოსულთა კვალს ხედავს ინკების (ამერიკის ერთ-ერთი ტომი) საზოგადოებრივ წყობაში და დელის რკინის სვეტში, რომელიც მეტალურგიის დღევანდელი მეთოდით არის შედუღებული. მაგრამ ყველაზე ხელჩასაჭიდ ფაქტად კაზანცევი და სხვანი იყენებენ აფრიკაში, საჰარის უდაბნოს კლდეებზე ნაპოვნ გამოსახულებებს. ეს გამოსახულებები ფრანგმა მეცნიერმა ა. ლოტმა აღმოაჩინა და მათ „მარსიელთა დიდი ღმერთი" დაარქვა. ამ სურათზე თქვენ კარგად ხედავთ, როგორ ჰგავს საჰარაში ნაპოვნი ნახატი დღევანდელი კოსმონავტის გამოსახულებას.

კაზანცევი ამტკიცებს: როგორ უნდა დაეხატათ ძველ აფრიკელებს ასეთი ნახატი, თუ სკაფანდრებში გამოწყობილი ადამიანი არ ჰყავდათ ნანახი.

გარდა ლოტის მიერ ნაპოვნი გამოსახულებებისა, აფრიკაში სხვა დროსაც არის მსგავსი ნახატები აღმოჩენილი. თუმცა ისინი უფრო ცუდად არიან შემონახული, ზოგიერთ მათგანზე მაინც ჩანს ისეთი „არაკოსმოსური" წარმოშობის ნიშანი, როგორიც არის, მაგალითად, სამაჯური.

ამ სურათების დაწვრილებითმა ანალიზმა მეცნიერები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ეს არის მხატვრობის თავისებური სტილი. ძველი საჰარელები ადამიანს კონტურით ხატავდნენ და მრგვალ თავს უკეთებდნენ, როგორც ამას დღევანდელი ბავშვები აკეთებენ. ასე, ალბათ, კლდეზე ამოკვეთაც იოლი იყო.

კლდეზე ამოკვეთილი ეს ნახატები ძველ საჰარაში მცხოვრებ ტომებს ეკუთვნოდა. რამდენიმე ათასი წლის წინათ საჰარა უდაბნო როდი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში დაცხა, მიწა გამოშრა, და მოსახლეობამ სამხრეთისაკენ გადაინაცვლა. ამ ტომების კულტურა დაედო საფუძვლად ძველ ეგვიპტურ, ნუბიურ, ბერბერულ და დღევანდელი ხალხების: სუდანელთა, ნიგერიელთა, განელთა და კამერუნელთა კულტურას.

აფრიკის ზოგიერთი ტომი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს, ძალზე ნელა ვითარდებოდა. მან საშუალება მისცა მეცნიერებს ეპოვნათ „ნატურები", საიდანაც იხატებოდა „მარსიელები". მით უმეტეს, რომ მათი ხატვის მანერა, ათასწლეულთა მანძილზე თითქმის არ შეცვლილა. დახედეთ მეორე სურათს. მასზე გამოხატული არსება პირველზე არანაკლებ ჰგავს „მარსიელს". სინამდვილეში კი ეს დღევანდელი სამხრეთაფრიკული ნახატია.

მაშ, რამ მისცა „სკაფანდრიანი" ადამიანის დახატვის საფუძველი აფრიკელ მხატვრებს? რა ნატურიდან ხატავდნენ ნიღბიან ადამიანებს?

საქმე იმაშია, რომ აფრიკის მკვიდრნი ნიღბებს რელიგიური ცერემონიალის დროს ხმარობდნენ.



ნიღაბი გოგრისაგან დამზადებული ბურთი იყო, რომელსაც გარედან სპეციალურად მოხატავდნენ ხოლმე. რელიგიური ცერემონიალის მონაწილეს გოგრა თავზე ჰქონდა ჩამოცმული. აბა, სცადეთ და თავზე გოგრაჩამოცმული ადამიანი გადაიტანეთ შტრიხზე; ეჭვგარეშეა, ნახატი ძალზე დაემსგავსება კოსმონავტს.

ასე უბრალოდ შეიძლება აიხსნას ეს ჰიპოთეზა, რომელიც წლების მანძილზე დიდ სენსაციას იწვევდა.

ო. გელოვანი



ეროვნული ბიბლიოთეკა



# „მცოდნე ბიჭი"

მერაბს თუ იცნობთ «მცოდნე ბიჭს»? არა? სულერთია, მაინც გიამბობთ...

რამდენიმე კვირაა, რაც ახალ სკოლაში სწავლობს და უკვე ყველამ გაიცნო.

მეექვსეკლასელები სპორტულ მოედანზე ვარჯიშობდნენ. ახარებდათ ამხანაგის კარგი ნახტომი, სწრაფი გარბენა. მერაბმა კი გულგრილად შეხედა ყველას და თქვა: — არაუშავს! აი, ჩვენი გუნდი რომ საქალაქო შეჯიბრებაზე გამოდიოდა, სირბილი და ხტომები იქ უნდა გენახათ, პირველი ადგილი დავიკავე, პირველი!

ამხანაგებს არ წყენიათ მერაბის გულგრილი სიტყვები, პირიქით გაეხარდათ, რაზმეულში ჩემპიონი გვყოლია, რაიონულ შეჯიბრებაზე გვასახელებსო. მართალი გითხრათ, არაფრად ჩაუგდიათ, რომ მერაბი მას შემდეგ არ გამოჩენილა სპორტულ მოედანზე, — ჩემპიონია და აბა, ჩვენთან ვარჯიში რაში ჭირდებაო.

ნორჩმა პლანერისტებმაც გაიცნეს ბიჭუნა. ისეთი სახით აიღო ხელში ყველაზე კარგი პლანერი, თითქოს არაფერიაო, და თქვა: მომწონს, მაგრამ, აი, ჩვენ რომ ვაკეთებდით, ისეთი ვერ არის... ჰო, მართლა, პიონერულ საბჭოდან დიპლომიც მოგვივიდაო.

ბიჭებმა შურითაც კი შეხედეს ახალ ამხანაგს, რაზმეულის საბჭოს წევრებმა კი მაშინვე გაიფიქრეს: ეს რა კარგი ამბავია, მეორე წრის ხელმძღვანელიც გამოგვიჩნდაო...

მალე სკოლის სახელოსნოშიც შეიტყვეს მერაბის ამბავი. მეშვიდეკლასელები პატარა დეტექტორულ მიმღებს, სოფლის საშეფო სკოლის საჩუქარს უკირკიტებდნენ. მერაბმა ერთი კი მოავლო თვალი მიმღებს და თქვა: აი, ჩვენთან, სკოლაში ბიჭებმა მთელი რადიოკვანძი ავაწყეთ. ისე კარგად მუშაობს, ქარხნიდან მოსულ ინჟინერებსაც კი გაუკვირდათო...

მაგრამ ყველაზე მეტად ნორჩ ტურისტებს გაეხარდათ ახალი მეგობრის შეძენა: ხუმრობა ხომ არ არის, კავკასიონის მაღალ მთებში არის ნამყოფი..,

მთელ სკოლაში გაუვარდა მერაბს მცოდნე ბიჭის სახელი.

— მერაბს ვკითხოთ, — ამბობდნენ ნორჩი ტექნიკოსები.

— აბა, მერაბი რას გვეტყვის! — ისმოდა სახელოსნოში.

ერთი სიტყვით, მერაბი ცნობილი პიროვნება გახდა.

და ჰე, სწორედ იმ დღეს, როდესაც რაზმეულში სპორტული შეჯიბრება დაიწყო, მოულოდნელად მერაბს ფეხი ასტკივდა. განა არ შეიძლება კაცს ფეხი ეღრძოს? ამხანაგები სინანულით იქნევდნენ თავს.

ფეხი მერაბს სწრაფად მოურჩა, მაგრამ ტურისტთა წრის წევრები რომ სალაშქროდ წავიდნენ, ყელი ეტკინა და მთელი კვირა შეხვეული ჰქონდა...

რაზმეულის საბჭოს წევრებიც ამაოდ თხოვდნენ მერაბს — რამდენი დღეა უარს ამბობდა ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელობაზე, არა მცალიაო...

ერთ დილით ამხანაგები მერაბს სკოლის ეზოში შემოხვდნენ და ახარეს: შეფებმა ახალი რადიოკვანძი მოგვიტანესო.

რა ლამაზი და კრიალა აპარატურა იყო, რა სიხარულით გადასცემდნენ ბავშვები პირველ «რადიოგაზეთს». მაგრამ უცებ, რეპროდუქტორს ხმა ჩაუწყდა. ყველამ მერაბს შეხედა და ისიც მყისვე წამოხტა, ნათურებსა და დეტალებს თვალიერება დაუწყო. იქეთ მოსინჯა, აქეთ მოსინჯა და განაცხადა: რთული დაზიანებაა, ტექნიკოსის გარეშე ვერ შევასწორებთო.

შეწუხდნენ. არავის შეუმჩნევია, რომ მეექვსეკლასელი დათოც უკირკიტებდა დეტალებს; მან რაღაც გადასწია და ..., რადიოც ალაპარაკდა.

— დამცველი ყოფილა გადამწვარი, მეტი არაფერი. ეჰ, შენ, მცოდნე ბიჭო! — თქვა მან და ყველას მაშინ მოაგონდა მერაბის ფეხის ტკივილიც, მისი შეხვეული ყელიც და მისი «არა მცალიაც»...

მიხვდნენ, რა მცოდნე ბიჭიც იყო მერაბი. მას ახლა «მცოდნე ბიჭს» ეძახიან — «მცოდნე ბიჭს».

**გურამ ბახტაძე**

**ნახ. ედ. ამბოკაძისა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუმრად ესტონელ მოსწავლეებთან



სიმღერის დღესასწაული გახსნა გუნდმა 2 200 მოსწავლის შემადგენლობით.



ბიჭების გუნდი აქსელ პაიუპის დირიჟორობით

ესტონეთი კარგი ტრადიციებისა და მაღალი კულტურის მქონე ქვეყანაა. ესტონელებს ძალიან უყვართ თავიანთი სამშობლო და მის ისტორიასთან დაკავშირებულ ყოველ კუთხეს თუ ძეგლს სათუთად ეკიდებიან. ვისაც კი ამ რესპუბლიკის დედაქალაქი ტალინი უნახავს, უთუოდ მოხიბლულა ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლებით: ტაძრებით, სასახლეებით, თავისებური ქუჩებით. ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთი ეკლესიის მაღალ გუმბათზე დგას რკინის კაცუნა თომასი. მას ერთი ხელი მოუჩრდილავს და სადღაც იყურება, მეორეში კი შუბი უპყრავს. ყოველ წამოწიავებაზე ბრუნავს თომასი. ტალინელები მას ქალაქის მამაც მცველს უწოდებენ. ტალინის ცენტრი შემორკალულია მაღალი ციხის კედლებითა და ბურჯებით, სადაც ომის დროს ხალხი თავს აფარებდა. ქალაქის ახლომახლოსაც შეხვდებით უამრავ შესანიშნავ ძეგლს. ტალინის განაპირას დგას „წმიდა ბრიგატას" შესანიშნავი ტაძრის ნანგრევები, ზღვის სანაპიროს ამშვენებს დაღუპულ მეზღვაურთა მონუმენტური ძეგლი, ქალაქის მეორე ნაპირას კი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო პარკ-მუზეუმია. მუზეუმებში შემონახულია ქვეყნის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ექსპონატები, ნივთები, ფოტოსურათები და სხვ. ქერძოდ, მუსიკისა და თეატრის მუზეუმში დაწვრილებით არის მოთხრობილი მუსიკალური კულტურის განვითარების გზებსა და ეტაპებზე. აქ კარგად ჩანს თუ როგორ დაინერგა ესტონეთში სიმღერისა და ცეკვის დღესასწაული.

პირველად სიმღერის ზეიმი 1869 წელს ჩატარდა, რომელშიც მცირერიცხოვანი ჯგუფი მონაწილეობდა. სიმღერის ზეიმის განვლილ გზაზე კარგად მეტყველებს მუზეუმში გამოფენილი სადღესასწაულო დროშები, სუვენირები, სურათები და სხვ. შემდეგში ყოველწლიურად ეწყობოდა ზეიმი და თანდათან, ქვეყნის ყველა კუთხე იღებდა მასში მონაწილეობას.

ყველაზე მნიშვნელოვანი დღესა-
წაული ჩატარდა 1960 წელს.
დროს „სიმღერის ველზე", ძველ
ესტრადის ადგილზე აიგო ახალი ე
ტრადა; რომლის საფეხურებზ
35.000-ზე მეტი მომღერალი ეტევ
როგორც წესი, ბავშვებიც დიდე
თან ერთად მონაწილეობდნენ
ზეიმში.

წელს კი, ვ. ი. ლენინის სახელო-
ბის პიონერთა ორგანიზაციის 4
წლისთავთან დაკავშირებით, მოს
წავლეებმა გადაწყვიტეს, პირველად
ცალკე ჩაეტარებინათ სიმღერისა დ
ცეკვის დღესასწაული და ამით ახა-
ლი ტრადიციისათვის ჩაეყარათ სა-
ფუძველი. ყველა რესპუბლიკიდა
მიიწვიეს სტუმრები. ჩვენი რესპუბ
ლიკიდან ამ ღონისძიების გასაცნო-
ბად გავემგზავრეთ ხუთი წარმომად
გენელი, საქართველოს სსრ განათ
ლების მინისტრის თამარ ლაშქარაშ
ვილის ხელმძღვანელობით.

მოსკოვიდან ჩამოვიდა მხატვრულ
აღზრდის კვლევითი-სამეცნიერო ინ
სტიტუტის ბავშვთა გუნდი, რსფსრ
სახალხო არტისტის, პროფესორ
ვლადისლავ სოკოლოვის ხელმძღვა-
ნელობით; უკრაინიდან — კიევის
ოქტომბრის კულტურის სახლის ჭა-
ბუკების გუნდი, ალექსანდრე რავი-
ნოვის ხელმძღვანელობით.

მთელი ქალაქი, მთელი რესპუბ-
ლიკა საზეიმო განწყობილებას მოეცა-
ვა. მოსწავლეთა ზეიმი, არსებული
წესის მიხედვით, სამ დღეს გაგრძელ-
და.

29 ივნისს გამარჯვების მოედანზე
მოეწყო პიონერთა მე-5 რესპუბლი-
კური შეკრება, მიტინგი და პარადი.

ხოლო საღამოს ქალაქის ყველა უბანში დაინთო მეგობრობის კოცონები. საკონცერტო დარბაზ „ესტონეთში“ ჩატარდა კონცერტი მოსკოვისა და უკრაინის ბავშვთა გუნდების მონაწილეობით.

კიევის ოქტომბრის კულტურის სახლის ჭაბუკთა გუნდმა შეასრულა დ. კაბალევსკის კანტატა: „სიმღერა დილაზე, გაზაფხულსა და მშვიდობაზე“, მოცარტის: „რეპეტიცია კონცერტისათვის“, და სხვ. ათასზე მეტი მაყურებელი მქუხარე ტაშით აჯილდოებდა ნორჩ მომღერლებს.

მეორე განყოფილებაში გამოვიდა მოსკოველთა გუნდი სახალხო არტისტის, პროფესორ ვლადისლავ სოკოლოვის დირიჟორობით. გუნდმა შესანიშნავად შეასრულა ე. გრიგის „გაზაფხული“. „სამი კნუტი და კატა“, მ. გლინკას „ვენეციური ღამე“, იტალიური ხალხური სიმღერა „ტიკი, ტიკი, ტაკ“ და სხვ.

კონცერტის შემდეგ შემსრულებლებს მივულოცეთ დიდი წარმატება და ორივე გუნდი მოვიწვიეთ თბილისში, რაზედაც სიამოვნებით დაგვთანხმდნენ.

30 ივნისს, საღამოს, კომკავშირის სახელობის სტადიონზე ჩატარდა ცეკვის დღესასწაული. შესანიშნავი სანახავი იყო თუ როგორ ცეკვავდა ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი 5.000-მდე მოსწავლე. ისინი ასრულებდნენ როგორც ეროვნულ ისე მეზობელ ხალხების ცეკვებს.

და აი, დადგა ყველაზე მნიშვნელოვანი დღე — 1 ივლისი.

12 საათზე გამარჯვების მოედნის ყოველი მისადგომი ხალხით იყო სავსე, ტრიბუნაზე ავიდნენ ესტონეთის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მოწვეული სტუმრები. საზეიმო მარშით დაიწყო ტრადიციული პარადი. ტრიბუნის წინ ჩაიარეს რესპუბლიკის ყველა რაიონის დელეგაციებმა. ყოველ დელეგაციას წინ თავისი სასულე ორკესტრი მიუძღოდა (ესტონეთში, ქალაქად თუ სოფლად, ყოველ სკოლას აქვს თავისი სასულე ორკესტრი.).

როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები გამოწყობილი იყვნენ ეროვნულ ტანსაცმელში. სამი საათის განმავლობაში ნაკადად მოდიოდნენ კოლონები.

საღამოს, „სიმღერის ველზე“ დაიწყო შემაჯამებელი კონცერტი — სიმღერის დღესასწაული.

კონცერტი გაიხსნა ყველა გუნდის ერთობლივი გამოსვლით. 22.000 მოსწავლემ ხმაშეწყობილად, შესანიშნავად შეასრულა გ. პოდელსკის „კომუნისტების პარტია“ და ს. ტულიკოვის „ლენინი ჩვენთან არის“.

შემდეგ მომღერლებმა ესტრადიდან რამდენიმე საფეხურით ჩამოიქვეითეს და ადგილი ყველაზე პატარებს დაუთმეს.

4.000-მდე ბავშვმა ხალისიანად შეასრულა რამდენიმე სიმღერა. შესანიშნავი სანახავი იყო! როცა ისინი მღეროდნენ: „ესეც მატარებელი“, პატარები სიმღერასთან ერთად აკეთებდნენ მოძრაობას, როგორიც შეეფერებოდათ ამ მატარებლის მგზავრებს: კურდღლებს, ციკნებს, ბატებს, გოჭებს... დამთავრების შემდეგ ავტორი — გ. ერნესაქსი გამოიხმეს. პატარები შეცვალა ბიჭუნების გუნდმა, შემდეგ უფროს გოგონათა გუნდმა, მერე — შერეულმა გუნდმა. ბოლოს კი ესტრადაზე ისევ ავიდა ყველა მონაწილე.

დამთავრდა დღესასწაული და იმავე დღესვე ფოტორეპორტიორები და ფოტომოყვარულნი შეუდგნენ თავიანთ ნამუშევართა მომზადებას დიდი გამოფენისათვის. როგორც წესი, კონკურსში გამარჯვებული ფოტოსურათებით შეიქმნა მოზრდილი წიგნი, რომელიც მომავალ თაობებს შეუნახავს ამ შესანიშნავი დღესასწაულის ყოველ მომენტს.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენც ვფიქრობთ მთელი რიგი ახალი, საინტერესო ღონისძიებების ჩატარებას. საქართველოში სტუმრად ჩამოვლენ კიევის, მოსკოვისა და ტალინის ბავშვთა გუნდები, მოვაწყობთ მათთან შემოქმედებით შეხვედრებს, შევუდგებით მზადებას ქართველი მოსწავლეების სიმღერისა და ცეკვის დღესასწაულის მოწყობისათვის.

**ჯ. მუჯირი,**
ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ესთეტიკური აღზრდის სექციის თავმჯდომარე.



**სიმღერის დღესასწაულზე მხიარული ცეკვებიც უხვად იყო.**

## სოლომონ დემურხანაშვილი
## სანდრო ყურშიტაშვილი




თავი წიგნიდან
„წეროების გადაფრენა“

ბინაზე არავინ დაგვიხვდა. მარტოდ-მარტო ქორია დარაჯობდა იქაურობას, ჩვენი ფეხის ხმაზე უცებ წამოყო თავი და, ძია გიო რომ დაინახა, კუდის ქიცინს მოჰყვა. მე კი, ცოტა არ იყოს, იჭვიანად შემომხედა.

ძია გიომ ბარგი-ბარხანა მოიხსნა და ბინაზე დატრიალდა. მწყემსების ბინა მე ჯერ არ მენახა, ქოხიც სხვანაირი წარმომედგინა, მაგრამ ეს საუცხოო ქოხი იყო; სახურავად ტოლი ჰქონდა გადაფარებული და არც წვიმა ჩამოვიდოდა, არც მზე. ქოხში გასაშლელი საწოლი იდგა, ზედ ნაბადი იყო დაფენილი და ნაბადზე ვიოლაცის სალამური და ფანდური იდო.

ქოხის კუთხეში უბრალოდ გამართულ მაგიდაზე „საიდუმლო კუნძული“ და „მამელუქი“ ელაგა.

„მამელუქი“ წაკითხული არა მქონდა, თუმცა „საიდუმლო კუნძულსაც“ სიამოვნებით წავიკითხავდი ხელახლა.

— ძია გიო, ლექსო სად იქნება ახლა?

— ლექსო ხბორებში იქნება, შვილო, ცოტა ხანს წაიძინე და ისიც მოვა.

ძია გიგომ საიდანღაც ყველის კვერები ამოაწყო და დაამარილა.

ძილი არ მინდოდა, არც დასვენება, მსურდა ლექსო ახლავე მენახა.

ფერმის გამგეს ალარაფერი ვუთხარი, ერთი პური ამოვიდე იღლიაში და მანამ გამოვუზოგე ქორიას, სანამ დავძმაკაცდებოდით. ნახევარი საათის შემდეგ ძაღლი უკვე მიჩვეული მყავდა.

ძია გიომ საქმე მოათავა, ხელები წინსაფარზე შეიმშრალა და მითხრა:

— რაკი არ იძინებ, შვილო, წადი ალექსისთან. ეე, თხას თხა ურჩევნიან ათას სულ ცხვარსაო. განა! ეგრეა, შვილო? აი, ეს ტყიანი გაიარე, მინდორზე გახვალ და იქ სადმე ეყოლება ხბორები.

ქორია წავიყოლე და წავედი. ტყიანს გავცდი თუ არა, ჩემს თვალწინ ვეება მინდორი გადაიშალა. ალბათ, ეს იყო ნიაურის მინდორი. გაგებული მქონდა: დიდი მინდორიაო ნიაურის მთაზე, ერთ ხანს აეროდრომის გაკეთებასაც აპირებდნენო, მაგრამ როგორ ვიფიქრებდი, თუ ასე თვალუწვდენი და ასეთი თვალწარმტაცი მინდორი იქნებოდა.

მინდვრის აღმოსავლეთით მთელი სივრცე ჩანდა. თეთრად გამოიყურებოდა მთიდან დაქანებული თურდოს ხევი. ხელის გულივით ჩანდა მთები, სოფლები და ყანები — გადახუნებული, დამწიფებული პურის ყანები.

მინდორში ხბორები სძოვდნენ. პირზე ხელი მოვიფარე და ლექსოს გადავყვირე.

არავინ გამომეპასუხა.

დავკარ ფეხი და გავიქეცი მინდორზე. ძაღლიც ძუნძულით გამომყვა.

ხბორებს რომ მივუახლოვდი, გავჩერდი, ბოჩოლები არ დაფრთხნენ-მეთქი.

— ჰაი, ლექსოოო!

ხბორებმა თავი აიღეს და მომაჩერდნენ. ტყიდან, კომბლით ხელში, ლექსო გამოვიდა, გვერდზე ლამაზი მოკლე ხანჯალი ეკიდა. უცებ თითქოს ვერ მიცნოო, მომაჩერდა, მერე ყურებამდე გაიღრიჯა და ჩემკენ წამოვიდა. დარბაისელი კაცივით ჩამომართვა ხელი და მერე მხარზე დამიტყაპუნა.

ნახ. დ. ხახუტაშვილისა



ლექსო თითქოს გამოცვლილიყო, დასრულებულიყო.

— საიდან გაჩნდი აქა? — გაკვირდა ლექსო.

მე დაწვრილებით ვუამბე, როგორ წამოვედი მთაში.

ქორია იქვე ჩვენს ფერხთით დაწვა, ენა გადმოაგდო და აქაქანდა.

— ჭკვიანი ძაღლი ყოფილა ქორია, — ვუთხარი ლექსოს, — ხედავ, როგორ მალე შემეჩვია.

ლექსომ ჩაიცინა.

— ჭკვიანიო! იგეთი ღვთის წყეულია, რომა... შეჩვევით კი მეც მალე შემეჩვია. მამაჩემმა თქვა, ბავშვებს მალე ეჩვევაო... აბა უყურე, როგორ დავაძლე ხბორები, ზურა? აბა უყურე, ასე ვინ მოუვლის? ნახე, ფერდები არც კი ეტყობათ, ნახე...

თვალში მომხვდა ერთი ხბო, ლურჯი ფერისა იყო, შუბლზე ნიშა ჰქონდა, ნიშა ჰქონდა ფეხებზეც.

— რა ლამაზი ბოჩოლაა! არა, ლექსო?

— გინდა, ემ საათში აქ მოვიყვანო, გინდა?.. თაფუჩი, თაფუჩი! — ხელი გაუწოდა ლექსომ. ბოჩოლამ თავი აიღო, კისერი ლამაზად მოიღერა და ლექსოსკენ წამოვიდა.

მზე უკვე ჩასვლაზე იყო. ნიავმა დაუბერა და აგრილდა. ბინაზე ძაღლები აყეფდნენ, ქორიაც წამოხტა და ყეფა ატეხა.

ჩვენ ნელ-ნელა შევაყოლეთ ხბორები და მზის ჩასვლამდე ბინაზე სახბორეში შევრეკეთ. საქონელიც მალე მოადგა ბაკს. მწყემსებმა ხელები დაიკაპიწეს და წველას შეუდგნენ. მე სახბორეს კარებში დამაყენეს და კარში სათითაოდ ვუშვებდი ხბორებს. პირველად ლამაზი ხბორი გამოვუშვი, ლექსოს რომ ძაღლივით ჰყავდა მიჩვეული. კუნტრუშით გარბოდნენ ბოჩოლები თავიანთ დედებისაკენ, ცხვირზე მუშტის ცემით გაზზე აგდებდნენ მწველავებს.

ლექსო რომელიღაც თაფლა ძროხას შეუჯდა და ვედროში რძე ჩააჩხრიალა. თან ისე ეჭირა თავი, ვითომ დიდი გამოცდილი მწყემსი იყო.

— „მოიცა, ლექსო-ბიჭო, — ვამბობდი გუნებაში. — ცოტა ხანიც და, შენზე კარგად თუ არ მოვწველი ძროხას, რაღა ბიჭი ვიქნები“.

წველა დამთავრდა. ძია გიომ ყველი ჩაადედა, მერე ცეცხლს მივუჯექით და გადმოიღეს კამეჩის მაწონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

— გიჭამია ასეთი მაწონი? — მეუბნება ლექსო, — ნახე, აბა ერთი ნახე.

მაწონი ყველივით სქელი იყო, ისეთი მაწონი მართლაც არ მენახა.

ვახშმობის შემდეგ სავსებით ჩამობნელდა. ბინაზე ხმაური მიწყდა. სიჩუმე მეფობდა ახლა მთაში.

მწყემსები უხმოდ აბოლებდნენ. ცეცხლი თანდათან პატარავდებოდა და ქოხში სინათლე ილეოდა.

უცებ, ამ სიჩუმეში შორეული ხმა დაირხა. ვიღაც იძახდა შორს, სევდიანად, სასოწარკვეთით იძახდა. მე ყურები ვცქვიტე და დანარჩენებს გადავხედე.

დათიამ, ახალგაზრდა მწყემსმა, ნაკვერჩხალი აიღო, თამბაქოს წაუკიდა და ზედ არ მომხედა ისე მითხრა:

— არ გესმის, ბიჭო, მამაშენი რომ გეძახის?

— მამაჩემი?

— ვერა სცნობ ხმაზე?

— მამაჩემი? არა!

— მამაშენია, მაშ, — დაუმოწმა გიო ძიამაც. — დაუძახე, აქეთა ვართქო.

ძახილი უფრო ახლოს გაისმა, ისევ ისეთი სევდიანი და სასოწარკვეთილი.

მე შევყოყმანდი და, რაკი ლექსომაც ღრეჭვით მითხრა, მართალს ამბობენო (ვერ მივხვდი რაზე იცინოდა), განზე გავდექი და გავყვირე: აქა ვარ-მეთქი, მამი, აქა!

უცებ სიცილი ჩამეწვეთა ყურში, თავშეკავებული, მოგუდული სიცილი. მივხვდი ჩემზე იცინოდნენ.

— ეგ არაფერი, პირველად მეც ასე მომატყუეს, ადამიანი მეგონა მართლა, — მითხრა ლექსომ.

— აბა რა იძახის?

— ოლოლები არიან, ბიჭო, ფრინველები.

სიბნელეში ისევ გაისმა ოლოლების ძახილი. სადღაც შორიდან ეპასუხებოდა ოლოლი ოლოლს.

მე და ლექსო ერთმანეთის გვერდით დავწექით. ცოტა ხნის შემდეგ ძაღლებმა გნიასი ატეხეს. ძია გიო წამოდგა და გაჰკივლა:

— არიქა, უუ!..

ლექსოს ხელი წავკარი და წავჩურჩულე:

— ლექსო, რას უყეფენ ძაღლები?

— ალბათ, ნადირი იწევს, ხომ არ გეშინია?

— არა, ისე ვიკითხე, — ჩურჩულითვე გავეპასუხე.

მეორე დილას ადრე ავდექით და მე და ლექსომ ხბორებს გავუდილავეთ.

ის დღე ასე გავიდა.. რამდენიმე დღეს მე და ლექსო ერთად ვმწყემსავდით ხბორებს, მერე კი რიგრიგობით მივდიოდით.

აგვისტოს დასაწყისს ბინა ვიცვალეთ.

იმ დღეს მე გავრეკე ხბორები. შუა დღე რომ გადავიდა, მოიღრუბლა და სქელი ნისლი წამოვიდა. ხბორები ბინასთან ახლოს მოვრეკე, მხარი არ მეცვალოს და გზა არ დავკარგო-მეთქი. მინდორზე გამოვედი და რა დავინახე: ქოხი დაეშალათ. ქვაბებს, ნაბდებს, გეჯებს და სეპერატორს საზიდრებში ალაგებდნენ.

ძია გიო გრძელი ნაბიჯებით დარნაბდებს, გეჯებს და სეპარატორს საზიდარებზე ალაგებდნენ.

— ჩვილი ხბორები საზიდარზე დააწვინეთ და თოკებით დააბით! თქვენ კი ბიჭებო, — მზეზე გარუჯული ხელით ოთხი ვაჟკაცის თავზე წრე მოხაზა, — ახლავე დაწინაურდით და ქვიშიანის მინდორზე ბაკი გაამზადეთ. გაიგეთ? მანამ ჩამოვალთ, ყველაფერი რიგზე იყოს.

ნაქოხარს იქით ლექსო იდგა.

— ლექსო, რაშია საქმე?

— ვითომ არ იცი! საძოვარს ვიცვლით, შენ კი რათ ჩამორეკე ასე ადრე?

— როგორ თუ ადრე, ვერა ხედავ? — ვუპასუხე და მთიდან აშლილ ნისლზე მივუთითე.

— შეგეშინდა?

— ნეტავ რომელ შიშზე მელაპარაკები?

— ერთი ეს მითხარი, დღეს ხომ ჩემი რიგი იყო ხბორების გარეკვისა, რად შემეცილე?

— მე, შეგეცილე?


ეროვნული ბიბლიოთეკა

— გიჭამია ასეთი მაწონი? — მეუბნება ლექსო, — ნახე, აბა ერთი ნახე.

მაწონი ყველივით სქელი იყო, ისეთი მაწონი მართლაც არ მენახა.

ვახშმობის შემდეგ სავსებით ჩამობნელდა. ბინაზე ხმაური მიწყდა. სიჩუმე მეფობდა ახლა მთაში.

მწყემსები უხმოდ აბოლებდნენ. ცეცხლი თანდათან პატარავდებოდა და ქოხში სინათლე ილეოდა.

უცებ, ამ სიჩუმეში შორეული ხმა დაირხა. ვიღაც იძახდა შორს, სევდიანად, სასოწარკვეთით იძახდა. მე ყურები ვცქვიტე და დანარჩენებს გადავხედე.

დათიამ, ახალგაზრდა მწყემსმა, ნაკვერჩხალი აიღო, თამბაქოს წაუკიდა და ზედ არ მომხედა ისე მითხრა:

— არ გესმის, ბიჭო, მამაშენი რომ გეძახის?

— მამაჩემი?

— ვერა სცნობ ხმაზე?

— მამაჩემი? არა!

— მამაშენია, მაშ, — დაუმოწმა გიო ძიამაც. — დაუძახე, აქეთა ვართქო.

ძახილი უფრო ახლოს გაისმა, ისევ ისეთი სევდიანი და სასოწარკვეთილი.

მე შევყოყმანდი და, რაკი ლექსომაც ღრეჯვით მითხრა, მართალს ამბობენო (ვერ მივხვდი რაზე იცინოდა), გაწზე გავდექი და გავყვირე: აქა ვარ-მეთქი, მამი, აქა!

უცებ სიცილი ჩამესწვეთა ყურში, თავშეკავებული, მოგუდული სიცილი. მივხვდი ჩემზე იცინოდნენ.

— ეგ არაფერი, პირველად მეც ასე მომატყუეს, ადამიანი მეგონა მართლა, — მითხრა ლექსომ.

— აბა რა იძახის?

— ოლოლები არიან, ბიჭო, ფრინველები.

სიბნელეში ისევ გაისმა ოლოლების ძახილი. სადღაც შორიდან ეპასუხებოდა ოლოლი ოლოლს.

მე და ლექსო ერთმანეთის გვერდით დავწექით. ცოტა ხნის შემდეგ ძაღლებმა გნიასი ატეხეს. ძია გიო წამოდგა და გაჰკივლა:

— არიქა, უუ!..

ლექსოს ხელი წავკარი და წავჩურჩულე:

— ლექსო, რას უყეფენ ძაღლები?

— ალბათ, ნადირი იწევს, ხომ არ გეშინია?

— არა, ისე ვიკითხე, — ჩურჩულითვე გავეპასუხე.

მეორე დილას ადრე ავდექით და მე და ლექსომ ხბორებს გავუდილავეთ.

ის დღე ასე გავიდა.. რამდენიმე დღეს მე და ლექსო ერთად ვმწყემსავდით ხბორებს, მერე კი რიგრიგობით მივდიოდით.

აგვისტოს დასაწყისს ბინა ვიცვალეთ.

იმ დღეს მე გავრეკე ხბორები. შუადღე რომ გადავიდა, მოიღრუბლა და სქელი ნისლი წამოვიდა. ხბორები ბინასთან ახლოს მოვრეკე, მხარი არ მეცვალოს და გზა არ დავკარგომეთქი. მინდორზე გამოვედი და რა დავინახე: ქოხი დაეშალათ. ქვაბებს, ნაბდებს, გეჯებს და სეპერატორს საზიდრებში ალაგებდნენ.

ძია გიო გრძელი ნაბიჯებით დარნაბდებს, გეჯებს და სეპარატორს საზიდარებზე ალაგებდნენ.

— ჩვილი ხბორები საზიდარზე დააწვინეთ და თოკებით დააბით! თქვენ კი ბიჭებო, — მზეზე გარუჯული ხელით ოთხი ვაჟკაცის თავზე წრე მოხაზა, — ახლავე დაწინაურდით და ქვიშიანის მინდორზე ბაკი გაამზადეთ. გაიგეთ? მანამ ჩამოვალთ, ყველაფერი რიგზე იყოს.

ნაქოხარს იქით ლექსო იდგა.

— ლექსო, რაშია საქმე?

— ვითომ არ იცი! საძოვარს ვიცვლით, შენ კი რათ ჩამორეკე ასე ადრე?

— როგორ თუ ადრე, ვერა ხედავ? — ვუპასუხე და მთიდან აშლილ ნისლზე მივუთითე.

— შეგეშინდა?

— ნეტავ რომელ შიშზე მელაპარაკები?

— ერთი ეს მითხარი, დღეს ხომ ჩემი რიგი იყო ხბორების გარეკვისა, რად შემეცილე?

— მე. შეგეცილე?



ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ, ვინა?

— ვინა და მამაშენი, ძია გიო.

— როგორ თუ მამაჩემი?

—ფერმის გამგეა, იმან ბრძანა და...

— „ბრძანა, ბრძანა"! — გამომაჯავრა ლექსომ და ახლოს მოიწია, — მაგეთები აღარ გაბედო თორემ...

— თორემ რაო, რა დიდ გულზე ხარ!

— ჰაი, თქვე ვირთაგვებო, ახლა ჩხუბის დროა?! ჰა, ჩხუბის დროა?! უქნარებო?! — ახოხროხდა ძია გიო და შეჭაღარავებული წვერი მოიქექა. — აბა, ახლავე მწველავებს მოუხმეთ, თორემ ყურებს აგაგლეჯთ ორივეს, ყურებს!

ჩვენ ერთხელ კიდევ შევუღრინეთ ერთმანეთს და სხვადასხვა მხარეს გავბრუნდით ბურდღუნით.

— აბა, ბიჭებო, ძროხები გავცრეკოთ!

— ჯერ ცხენები გავუშვათ, ცხენები!

— საზიდრები უკან მივაყოლოთ, უკან! — გაისმა მწყემსების ხმა, და მთის ვიწრო გზაზე ცხენების, ძროხების, ხბორებისა და საზიდრების გრძელი ქარავანი გაიჭიმა. მაგრამ მალევე გაწყდა, რადგან ნასუქმა ცხენებმა ძროხებს არ მოუცადეს, ძროხებმა ხბორებს და ხბორებმა საზიდრებს.

ძია გიო გამალებით იწიწკნიდა ფიჩხა ულვაშებს. ხან დაწინაურებულებს გაჰკიოდა, ხან უკან შემობრუნდებოდა და ჩამორჩენილებს გვანიშნებდა: სვლას უმატეთო. საზიდარზე გარდიგარდმო იწვა ლექსო, შუბლს ხელისგულით ისრესდა და ცალი თვალით მიმზერდა. მე კოფოზე ვიჯექი და ხარებს ვერეკებოდი.

ლექსომ ნელ-ნელა წამოიწია, ჩემს გასაგონად ჩაახველა და შემარიგებელი კილოთი ჩაილაპარაკა:

— ნუ ერეკები ხარებს, სჯობია დიდი მანძილით ჩამოვრჩეთ.

მე ჯერ სიჩუმე ვამჯობინე, მერე შუბლი შევიჭმუხნე და ლექსოს მივუბრუნდი.

— შენი ვერაფერი გამიგია, რათ უნდა ჩამოვრჩეთ?

— არ იცი?

— რა ვიცი?

— ის ხომ იცი, რა მოუსვენარია მამაჩემი, ადრე რომ ჩავიდეთ, ქოხსა და ბაკს გაკეთება არ უნდა?

—ჰმ! მეხბორეს დამიხედე! მაშ, რისთვისლა მეჩხუბებოდი?

— ეგ სხვა საქმეა, აილე ჯოხი და გალალე, საითაც კარგი გრილოებია. მუშაობა კი სწორე გითხრა, არ მეხალისება.

მე მცირე ხანს დავფიქრდი, მერე თანდათან გადამიარა საავდრო ღრუბელმა და ლექსოს გავუღიმე.

— არც მე მეხალისება, ლექსო, მორჩა და გათავდა.

სწორედ ამ დროს მოისმა თოფის გასროლასავით მტკიცე და ქუხილივით მგრგვინავი ხმა. ამ ხმამ ახლომახლო ხევები ააყვირა და ჩვენც, ცოტა არ იყოს, ყურები გავცბერტყეთ.

— რაო მამაჩემმა, მალე დამორეკეთო, არა?

— მალე გამორეკეთო, — დავუდასტურე ლექსოს და კუდივარდა ხარებს სახრე მოვუქნიე.

ძია გიომ კარგა ხანს იშფოთა, იბორგა, იბუზღუნა, ჩვენ კი ხარები როდი ავაჩქარეთ, უფრო მეტი მანძილით ჩამოვრჩით და ძია გიოც სწორედ ამანააფეთქა:

— ჰაი, კურკავ, შენ მაგ მიწაგასახეთქ ლექსოზე უარესი ყოფილხარ და, თუ ჩამოვედი, აგაგლეჯთ ყურებს, თქვე უქნარებო! — და დაკოჟრებული მუშტი მუქარით შეანჯღრია. — მაშ, ეგრე უნდა აზოზინოთ ხარები? ჰა, ეგრე უნდა აზოზინოთ? როდისღა ჩავალთ ქვიშიანში, როდისღა გავმართავთ ბაკს, ან ქოხი არ გვინდა? ხბორებსაც დაბინავება უნდათ, ათასი რამეა გასაკეთებელი, ეს მაცდურები კი, უყურეთ, რას აკეთებენ! — დიდი ხმით ბუზღუნებდა ძია გიო, — ვითომ მოხერხებული ბიჭები ხართ, არა? გულადები ხართ, არა? აბა, ერთი გამოვცდი თქვენს ვაჟკაცობას და მერე ვნახოთ.

ხარებს თითოჯერ გადაუჭირა სახრე, საზიდრიდან თოფი გადმოიღო და დაწინაურდა, თვალს მოეფარა.

ლექსო კი ორივე ხელებს პარჭყავდა ჰაერში და თავის საგმირო საქმეებს მიყვებოდა.

— არა გჯერა, ზურა, ჰა? არა გჯერა? აი, თუ გინდა გულგულელ მწყემსებს ჰკითხე და გეტყვიან, რომ იმ მგელს მე ჩავუმტვრიე კბილები კომბლით. იცი როგორ იყო? იმათი ძროხა რომ დაგლიჯა, ძაღლებმა დააფრთხეს და ჩემკენ გამოქანდა. იმ ძროხაზე აგლეჯილი ხორცის შეჭმა ვერ მოესწრო და აი, ამხელა ნაჭერს მოარბენინებდა, — ნახევარი მკლავი მიჩვენა ლექსომ, — ეგრე არ უნდამეთქი, გავიფიქრე და ერთ ფუღურო წიფელს ამოვეფარე. ჯერ კი დავაპირე მეტაცნა ხელი და თავი იმ წიფელზე მიმენაყა, მაგრამ, ხომ იცი, სიფრთხილეს თავი არა სტკივა, დავიგრძელე კომბალი და — ბრახ! — შიგ კბილებში! იმ ვერანას ყველა კბილი მივულეწე და ხორცის ნაჭერი კი მაინც არ დააგდო, გაიქცა კუდამოძუებული. ეს კი მივაძახე: სადაც

შენი დაიკვეხო, იქ ჩემიც არ დაივიწყო-მეთქი! მა-აშ, აგრე იყო, არა გჯერა?

მე ეშმაკურად ჩავიფრუტუნე და რატომღაც თვალი თხილისა და დიდგულას აქანებულ ტოტებისაკენ გამექცა. ხმელი ფიჩხების ლაწანი მომესმა და გზისპირად აყრილ ჯაგნარზე პრიალა ფოლადი გადმოცურდა. ხარებმა ყურები ცქვიტეს, ღონივრად მოიქნიეს მათრახივით კუდები და გზის მეორე ნაპირს მიაწყდნენ. ბრძანების კილოთი გადმოძახილმა გონება აგვიბნია.

— შეჩერდით-მეთქი! რა მოგაქვთ?!

ჩვენ ერთმანეთს არ ვაცლიდით ჩამოთვლას.

— იარაღი? პური? ფული? — ხმა აუწია უცნობმა, — აქეთ გადმოაწყეთ!

— ა-ა-არა გვაქვს, — ხმა აუკანკალდა ლექსოს.

— ნაბდები გადმომიგდეთ, თორემ გაგათავებთ!

— გადმოგიგდებთ ახლავე, მოგართმევთ, — ამოიკნავლა ლექსომ.

და ორ ნაბადს ძია გიოს ძველი ყაბალახიც გადავაყოლეთ.

— აბა, ახლა კი აჩქარდით, რომ ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოთ!

ჩვენ ისე ავჩქარდით, რომ სახრის ტლაშა-ტლუშით გაფიცხებული ხარები ცხენებივით მიგვაქროლებდნენ.

— ყაჩაღი იყო? — ახლაღა ამოვიღე ხმა.

— ეშმაკი და ქაჯი! — რა ვიცი ვინ იყო, კარგი კაცი რომ არა ჩანდა, ეს კი ვიცი!

— რომ არ მიგვეცა, რაც მოგვთხოვა, მართლა დაგვხოცავდა?

— აბა რა ვიცი, — თქვა ლექსომ, — ადამიანები ვართ, ქათმები ხომ არა?!

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ ძია გიოს რაღა ვუთხრათ?

— რა უნდა ვუთხრათ? ვუთხრათ, რომ ყაჩაღი იყო, იმ ყაჩაღს მე და შენ გადავუხტით კომბლებით და იარაღი ავართვით, რომ სწორედ ამ დროს მოვიდნენ ხუთნი, ათნი... მიხვდი? გაიგე?

— ვითომ ძია გიოსთან ასეთი ტყუილი გავა? ჰა, რას იტყვის? — დავეჭვდი მე.

ტყიანი ერთბაშად ჩამოთავდა. ბერხევის მარჯვენა ნაპირის ბურახიანში ჯერ ძია გიოს თავი გამოჩნდა, მერე თანდათან ტანიც ამოტივტივდა, და საზიდარმა ქვა-ღორღიან გზაზე გაიჯაკა. ჩვენ ერთხელ კიდევ დავჭყივლეთ ხარებს, ძია გიოს გავუსწარით და ქვიშიანის მინდორზე გავედით.

მაღლობზე, მინდვრის თავში ბებერი წიფლის ჩრდილქვეშ მწყემსებს უკვე დაერჭოთ მუხის ბოძები. ლატნებს ხერხავდნენ, ფოთლიან ფიჩხსა და კუნლის მარგილებს ეზიდებოდნენ, ორმოებს თხრიდნენ და ხმაურით იაქურობას იკლებდნენ.

ძროხების ბღავილი, ცხენების ჭიხვინი და ძაღლების ყეფა თურდოს ხეობას აყრუებდა. ძია გიომ ორი მწყემსის დახმარებით რომ გადმოტვირთა საზიდარი, ახლა ჩვენ მოგვიბრუნდა. ნაცადმა თვალმა მალე მოინაკლისა დანაკარგი და ფეხი პირდაპირ ჩვენ მოგვადგა.

— თქვენ, ჩემო ძმაო, მაგას ვინ გაპატიებთ?! სახელმწიფო ქონების დაკარგვა იგივე განიავებაა, მითვისებაა.

მე ლექსოსაკენ შევბრუნდი, ლექსომ თავი ჩაღუნა, ფეხის თითებს დააცქერდა და რიგრიგობით გადმოალაგა ნანახი და მოგონილ-მოფიქრებული.

აჩოჩქოლებულმა მწყემსებმა ძია გიოს გადახედეს, თავი გაიქნიეს, ჩაიცინეს და აქეთ-იქით გატრიალდნენ.

იმ ღამეს დიდხანს ვერ დავიძინე. მოვხუჭავდი თვალს და სიბნელე იმ ნაბდებს მაგონებდა. ნაბდები კი საკოლმეურნეო ქონება იყო და ვინ მაპატიებდა? არავინ! რა თქმა უნდა, არავინ მაპატიებდა სახალხო ქონების განიავებას, და ვისი ბრალია? ლექსოსი! ყველაფერი იმ მატყუარამ მოიგონა და დამნაშავეც სწორედ ის არის, მაგრამ როგორ? იქნებ ის გასულელდა და კლდეზე ვარდება, მეც უნდა გადავყვე?! ყაბალახი, ძია გიოს ძველი ყაბალახი? ალბათ, ჯერ ვერ მოინაკლისა, თორემ ისე აყვირდებოდა, რომ მთელ ქვეყანას შეყრიდა. ნეტავ სამუდამოდ დაავიწყდეს და ვერ მოინაკლისოს. კარგი, მაგრამ ის ყაჩაღი კიდევ რომ შემომეყაროს სადმე და ახლა ხბორები გაირეკოს, მაშინ ვინ მაპატიებს? რა თქმა უნდა, არავინ მაპატიებს.

ერთადერთ ნუგეშს მივაგენი და ორივე ხელით მოვეჭიდე. „ხვალ ლექსოს რიგია და ხბორებს ის გარეკავს საძოვრად. ბარემ მოხდეს, რაც მოსახდენია. თუ შემოეყრება, ისევ ლექსოს შემოეყაროს ის თოფიანი“, — გავიფიქრე და ვცადე ახლა სხვა რამეზე გადამეტანა ფიქრი, მაგრამ თვალებზე ისევ ის ნაბდები და ძველი ყაბალახი მეფარებოდა. ძია გიოს ყაბალახი მეფარებოდა და ძილს მიფრთხობდა.

როდის-როდის გათენდა. მწყემსები აიშალნენ. ყველამ თავის საქმეს მიხედა. მე კი თავზე ნაბადი წავიფარე და თავი მოვიმძინარე. უცებ, ვიღაცამ მაგრად შემანჯღრია და ნაბადი ამხადა. მე თვალები მაინც ვერ ავახილე, სანამ ყურში ნელი ჩურჩული არ ჩამწვდა.

— ადექი, ზურაბ, ადექი, ხბორებს ხომ გარეკვა უნდათ.

— მერე და ვისი რიგია, მაგისთვის არ მეჩხუბე? დღეს შენი რიგია და შენ უნდა აძოვო.

— ოღონდ გარეკე და, ბაკს შემოვლობავ.

— ვერა, ძმაო, ვერა. შენი რიგია და შენ უნდა გარეკო.

— ადექი-მეთქი „კურკავ“, — და ბრაზმორეულმა მუშტი ცხვირთან მომიტანა.

— იმუქრები კიდეც, ჰა, იმუქრები? — შევუღრინე და წამოვდექი.

— შენი რიგია-მეთქი, ვერ გაიგე?

— ახლა რაღა გაჩხუბებთ, თქვე არამზადებო, ჰა, რა გაქვთ გასაყოფი?! — ქოხში ძია გიო შემოეყუდა. შემოვიდა და ორივენი გავშტერდით: მხრებზე ყაბალახი ჰქონდა გადაგდებული, ძველი ყაბალახი.

ალექსიმ კეფა უაზროდ მოიქექა და თავის ფეხსაცმელს გაუცინა. მე გავწითლდი, გავფითრდი, იღლიაში კომბალი ამოვიჩარე და კარში გავედი.

— დღეს ჩემი რიგია ხბორების გარეკვა, არა, ზურია, ხომ ჩემი რიგია?! — წამოიძახა ლექსომ, ბეჭზე გუდა მოიგდო და ხუთიოდე ნაბიჯით გამისწრო.

ძია გიო კი გულიანად იცინოდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სად და როგორ იწყება სწავლა

კალენდარში არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი, სასიხარულო და საზეიმო დღე, რომელიც ყოველ წელიწადს მეორდება, მაგრამ მაინც ყოველთვის საოცრად ახალი და თავისებურია. ეს — სასწავლო წლის პირველი დღეა. იგი დედამიწის ყველა კუთხეში სხვადასხვა დროს მოდის, ყველგან სხვადასხვაგვარად ხვდებიან მას.

დღეს შენ შეგიძლია ჩვენთან ერთად შემოიარო აზია, ევროპა, ავსტრალია და სასწავლო წლის პირველ გაკვეთილს დაესწრო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

## კუბა

წელს, სასწავლო წლის პირველი დღე განსაკუთრებით სადღესასწაულო იყო კუბელი მოსწავლეებისათვის; ეს გასაგებიცაა, გასულ წელს, კუბის სკოლებში სწავლა დროებით შეწყვეტილი იყო. კუბელებმა გადაწყვიტეს ერთ წელში მოეღოთ ბოლო წერა-კითხვის უცოდინარობისათვის. ამ მიზნით ასიათასამდე, თერთმეტწელს გადაცილებული მოსწავლე, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაემგზავრა. მთელი წელიწადი იცხოვრეს მათ უცხო ოჯახებში, შრომობდნენ მათთან ერთად, საღამოობით კი უცოდინარებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ.

თითოეულმა „განმანათლებელმა“ — ასე უწოდებენ ამ ბავშვებს — ოთხ ადამიანს, ზოგმა კი მეტსაც შეასწავლა წერა-კითხვა. კუბელ ბავშვებს ბევრი რამ აქვთ საამაყო, ისინი ნამდვილი მასწავლებლები იყვნენ.

კუბის სკოლებში ახლა საღებავის სუნი ტრიალებს: სკოლები ან ახალაშენებულია, ან შეკეთებული. სიერა-მაესტრას მთებში კი უზარმაზარი, 20 ათასიანი სასკოლო ქალაქი შეიქმნა, იქ ბავშვები ისწავლიან, იმუშავებენ და თან თავის თავსაც მოუვლიან.

## ჩინეთი

ჩინეთში ამ დღეს მასწავლებლები და მოსწავლეები სხვებისაგან მხოლოდ იმით კი არ განსხვავდებიან, რომ განსაკუთრებულად არიან ჩაცმულნი, — ყოველ მოსწავლეს ხელში წითელი ყვავილების მოზრდილი თაიგული უჭირავს, მასწავლებლებს კი, დამატებით, ყვავილები საღილეშიც აქვთ გაკეთებული.

სასწავლო დღე დილის 8 საათზე, ვარჯიშით იწყება. ოთხი გაკვეთილის შემდეგ, დიდი, 15 წუთიანი შესვენების დროს, კვლავ ვარჯიშს ატარებენ.

სასკოლო შენობები ჩინეთში უმეტესად ისეთია, როგორიც ჩვენში — დიდი, ნათელი. მაგრამ არის სულ სხვაგვარიც — სპორტულ მოედნის გარშემო გაფანტული მომცრო ფიცრულები, აივნებით და ვერანდებით. ჩინეთის სკოლებში მერხებიც აქვთ, მაგრამ უფრო მეტად მაგიდები და სკამებია გავრცელებული. ზოგი ე რ თ კლასში დგას სავარძლები, რომელთაც მკლავების დასაყრდნობი ფიცრები აქვთ მიმაგრებული ისე, რომ ზედ წერა-კითხვა შეიძლება. დაფა ჩინეთის ბევრ სკოლაში მინისაა, მუქმწვანედ შეღებილი. პიონერების ფორმა კი ჩვენსას ჰგავს. ჩინელი პიონერებიც წითელ ყელსახვევს ატარებენ.

არის შემთხვევები, როცა ზოგიერთ პიონერ ბიჭუნას არ სურს გოგონებთან ერთ რაზმში ყოფნა, ასეთ ბავშვებს ჩამორჩენილებს უწოდებენ, მაგრამ არც აძალებენ გოგონებთან რაზმში გაერთიანებას. საერთოდ ჩინელ ბავშვებს წვრილმანი ზედამხედველობით არ აწუხებენ, როგორც ეს ბევრ სხვა ქვეყანაშია. ზედამხედველობის გარეშე ატარებენ, მაგალითად, ჩინელი ბავშვები ქალაქგარეთ ტურისტულ ლაშქრობებს. კედლის გაზეთის გამოშვებაშიც სავსებით დამოუკიდებელნი არიან. კედლის გაზეთი მათ თავისებური აქვთ. ეს ჩვეულებრივი მოგრძო სასკოლო დაფაა. ზედ ფერადი ცარცით ბავშვები ოპერატიულ შენიშვნებს და წერილებს წერენ, ხატავენ კარიკატურებს.

თუ კი რომელიმე მოსწავლემ შენიშვნა მიიღო, იგი მასწავლებელს თავის დაკვრით უხდის ბოდიშს. მასწავლებელს მაშინაც კი ეუბნებიან მადლობას, როდესაც ორიანს მიიღებენ, თუმცა, როგორც ყველას, ცხადია, არც ჩინელ ბავშვებს სიამოვნებთ ორიანები.

## ფინეთი

ფინელები სწავლების პირველ დღეს კი არა, არდადეგების პირველ დღეს დღესასწაულობენ. ამ დღეს ქალაქის ხელისუფლება სკოლებს ავტომანქანებს ათხოვებს ხოლმე. ბავშვები მათ ათასფერი ყვავილებით რთავენ და საქალაქო აღლუმისათვის ამზადებენ. ავტომანქანების საზეიმო კოლონა მთელ ქალაქს ჩამოუვლის ხოლმე. ბავშვები რამდენიც სურთ იმდენს ყვირიან და ხმაურობენ, მათ არავინ უშლის ხელს. ამ დღეს ბავშვები მშობლებს და მასწავლებლებსაც კი შეეხუმრებიან ხოლმე სიცილ-კისკისით და, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ მასწავლებლის ავტორიტეტი ფინეთში ძალზე დიდია, ასეთი ხუმრობა იმ დღეს არავის წყინს.

პირველი სექტემბრის დილა კი ფინეთში ჩვეულებრივ სასწავლო დღეს ჰგავს; ბავშვები საუზმედ სტაფილოს, ბურღულს, რძეს მიირთმევენ. ფინელი ბავშვები ზამთარშიც კი ძალზე მსუბუქად იცვამენ. ზედა ტანსაცმელს კლასის წინ, დერეფანში ჰკიდებენ. ყოველი კლასის წინ პატარა პირსაბანია მოწყობილი. ფინეთის სკოლებში საოცარი სისუფთავეა. ხის იატაკი სულ გაპრიალებულია. დაფები და მერხები ღია ფერადაა შეღებილი. მიუხედავად იმისა, რომ ფინელი ბავშვები, როგორც ბიჭები ისე გოგონები, კარგად ხერხავენ, აშალაშინებენ, შესანიშნავად ხმარობენ დანას, ვერ ნახავთ, რომ მერხი სადმე ოდნავ გაკაწრულიც კი იყოს. ეს, ცხადია, ფინელი ბავშვების შეგნებულობაზე მიუთითებს, მაგრამ აქ სხვა მიზეზიც არის: თუ მასწავლებელმა რომე ლ ი მ ე მერხი დაზიანებული ნახა, იმ წამსვე ეტყვის მერხის პატრონს: „ხვალ 50 მარკა მოიტანე!“ ბავშვები ყველაფერს თვითონ აკეთებენ, ყველაფერში დამოუკიდებელნი არიან. არდადეგების დროს კარვებში ცხოვრობენ და საჭმელს თვითონვე ამზადებენ.

ფინელი ბავშვები მთელ თავისუფალ დროს სუფთა ჰაერზე ატარებენ. ჯერ კიდევ სამი წლის ასაკში, მშობლებთან ერთად ისინი თხილამურებით დასეირნობენ. ყოველი ფინელი ბიჭი ხტება ტრამპლინიდან, და ვინც ამას თავს არიდებს, იგი საერთო დაცინვის საგანია.






## ინდოეთი

მადრასის შტატში ბავშვები სასწავლო წელს ივნისში იწყებენ და მაშინ ამთავრებენ, როდესაც აპრილი, ინდოეთის ყველაზე ცხელი თვე დგება. სოფლად შემორჩენილია ძველი ტრადიცია: სექტემბრის ბოლოს საზეიმოდ აღინიშნება მეცნიერებისა და ხელოვნების დღესასწაული — „დასახრა“. დღესასწაულის მეათე დღეს სოფლის მასწავლებელი თავს უყრის მოწაფეებს და მომავალ პირველკლასელთა ოჯახებში მიდის.

მასწავლებელი შედის სახლში. იგი კითხულობს ხალხური ეპოსის რომელიმე ნაწყვეტს, განათლების სარგებლიანობის შესახებ. შემდეგ მომავალ მოწაფეებთან ერთად ცარცით გამოჰყავს ანბანის პირველი ასო „ახრამი“ — „ა“. გარშემოხვეული ბავშვები ამ დროს მღერიან სიმღერას, სადაც ხშირად მეორდება ასო „ა“. მშობლები მასწავლებელს თავზე ყვავილების გვირგვინს ადგამენ და საუკეთესო საჭმელით უმასპინძლდებიან. შემ-





დეგ მთელი ეს პროცესია სხვა სახლისაკენ მიემართება.

ინდოელი ბავშვები მადრასში ხუთი წლის ასაკში იწყებენ სწავლას, ბომბეიში — ოთხიდან, დელიში—ბიჭები ოთხიდან, გოგონები ხუთიდან. სწავლა ყველგან მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს, გარდა ორი დიდი არდადეგებისა, მოსავლის აღების დროს (ინდოეთში მოსავალს, თითქმის ყველგან ორჯერ იღებენ).

ინდოეთის კერძო სკოლაში ხშირად კლასი პირდაპირ ბუნების წიაღში, ხის ჩრდილქვეშ არის მოწყობილი. ამავე დროს სკოლის დირექტორი წისქვილის, ფოსტის ან სხვა დაწესებულების დირექტორიცაა ხოლმე.

მეცადინეობა ლოცვით იწყება: ბავშვები ჩამწკრივდებიან, თვალს დახუჭავენ, ხელისგულებს ერთმანეთს მიატყუპებენ და ასე ლოცულობენ. გათავდეთუ არა ლოცვა, ბავშვები მიწაზე ან იატაკზე იკავებენ ადგილს მათ წინ გრიფელის დაფა, ასანთის ღეროები, სოიასა და სხვა მცენარეთა მრავალფერი მარცვლებია. არითმეტიკის გაკვეთილის შემდეგ დაბალ კლასებში თამაშობენ: „ჩემთან სტუმარი მოვიდა“. ყოველი ბავშვი თითებზე ითვლის თავის ნათესავებს და ბრინჯის ულუფას იმდენივე ნაწილად ყოფს. უფრო მოზრდილი ბავშვები ქარგავენ, კერავენ ტანსაცმელს და სხვ.

## ავსტრალია

ავსტრალიაში, კანონით, პირველ სექტემბერს ექვსი წლის ყველა ბავშვი უნდა წავიდეს სკოლაში. მაგრამ იქ ბევრია ისეთი ბავშვი, რომელიც სკოლიდან ძალზე შორს ცხოვრობს ან სკოლაში წასასვლელი ტანსაცმელი არა აქვს. ესენი ავსტრალიის მკვიდრი ტომების შვილები არიან. სკოლაში წასვლის წინ ავსტრალიელი დედები ბავშვებს საგანგებოდ ბანენ, შეძლებისდაგვარად ლამაზად და სუფთად აცმევენ. და აი, პატარა შავკანიანები, მოკრძალებით აღებენ კლასის კარს, შედიან ოთახში და უკანა მერხზე იკავებენ ადგილს. თავიანთ თანაკლასელ თეთრკანიანებს ისინი ვალდებულნი არიან „ბოსები“ (უფროსი, ბატონი) უწოდონ. ბოსები კი მათ შემოკლებულად „აბოს“ უწოდე ბ ე ნ (სიტყვა აბორიგენიდან, რაც მკვიდრს, ადგილობრივს ნიშნავს). პატარა აბორიგენების ნაწილი, ცხადია, უსახსრობისა და გაჭირვების გამო სწავლას ბოლომდე ვერ აგრძელებს.





## იაპონია

იაპონელი ბავშვები სწავლას აპრილში იწყებენ, მაშინ, როდესაც ატამი და ალუბალი ჰყვავის. პირველ დღეს ბავშვები არ მეცადინეობენ, ეცნობიან კლასს, იმახსოვრებენ თავთავიანთ მერხებს, არჩევენ ფეხსაცმლის გასახდელ ადგილს. (იაპონიაში, ისევე როგორც ინდოეთში, შენობაში შესვლისას ფეხსაცმელებს იხდიან). ამ დღეს ბავშვებს ჩანთებიც კი არა აქვთ თან. მასწავლებელი ესალმება ბავშვებს, სახელებით იძახებს თითოეულს და ეცნობა კლასს, უკანა მერხზე კი ამ დროს დედები და მამები სხედან.

## პოლინეზია

მაორის ხალხებისათვის, პოლინეზიის კუნძულზე, ძველი ჩვეულების თანახმად სწავლის დაწყების საზეიმო დღე, წმიდა დღედ ითვლება. წმიდად ითვლება თვით სასკოლო შენობაც „ვარე-კურა“. ამ შენობის აშენება მხოლოდ რელიგიის მსახურთ, იგივე მასწავლებლებს თუ შეეძლოთ. ტომის სხვა წევრები კი მათ მასალით ამარაგებდნენ. ქალებს საერთოდ აკრძალული ჰქონდათ ამ შენობის სიახლოვეს გავლა.

ამ სკოლაში ვაჟები, ასტრონომიის, მითოლოგიის, ისტორიისა და სოფლის მეურნეობის გარდა, სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლ ო ე ბ ი ს ფილოსოფიასაც სწავლობდნენ.

ასეთ სკოლებში არა, მაგრამ უბრალო სოფლის სკოლებში მაორელ ქალებსაც ჰქონდათ სწავლის უფლება. სოფლის ჩვეულებრივ სკოლებში ვაჟები სწავლობდნენ ბადეების ქსოვას, სამონადირეო ხელოვნებას, სოფლის მეურნეობას, ქალები კი ყოველგვარ სამეურნეო საქმიანობას. ადგილობრივი ქირურგები ძალზე სახიფათო ოპერაციებს აკეთებდნენ: ზვიგენის კბილის უბრალო დანით ახდენდნენ თავის ქალის ახდას, ბამბუკის ლურსმნებით გატეხილ ძვლებს ამაგრებდნენ.

სწავლების პირველ დღეს სკოლის ეზოში აღმართავდნენ ბოძს — ცოდნის მფარველი ღმერთის სიმბოლოს, და იმ დღიდან იწყებოდა მარხვა, მოწაფეები მხოლოდ და მხოლოდ მცენარის ფესვებით იკვებებოდნენ. ზაფხულობით სოფლის სკოლები სტუმართათვის და გართობა-მხიარულებისათვის იყო დათმობილი. მასში ასამდე კაცი ეტეოდა.

XIX საუკუნეში კოლონიზატორებმა, რომლებიც მაორელთა მსგავს განათლებას ვერ და-[illegible]კვეხნიდნენ, მოსპეს ეროვნული ტრადიციები. გაავრცელეს მისიონერული სკოლები, სადაც ბავშვები მხოლოდ სამ წელიწადს სწავლობდნენ, ისიც მხოლოდ რელიგიურ წიგნებსა და ლოცვებს.

## ავღანისტანი

სწავლის დაწყება ავღანისტანში დამოკიდებულია მოსავლის აღებასა თუ სოფლის სხვა ჭირ-ვარამზე. იმ ქალაქებსა და სოფლებში, სადაც კლიმატი ცივია, 5 აგვისტოდან 5 დეკემბრამდეა სწავლა. სასოფლო ადგილებში სწავლების ვადა საერთოდ არ არის განსაზღვრული. სწავლების პირველ დღეს სოფლის სკოლებში თავს იყრის 7-11-წლის ასაკის დაახლოებით 30 ბავშვი. ხელში ლითოგრაფიული წესით დაბეჭდილი წიგნები უჭირავთ. ყველა ბავშვი ერთ კლასში, ერთ ოთახში სწავლობს. სწავლა ზაფხულობით 8 საათზე, ზამთრობით კი — 9 საათზე იწყება.

(„ნედელია“)




# [illegible]

ამ მომღიმარმა თბილისელმა სტუდენტმა გოგონამ, ნონა გაფრინდაშვილმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მატჩში მსოფლიო პირველობაზე სამზგის მსოფლიო ჩემპიონ ელისაბედ ბიკოვასთან, დიდი სიხარული მიანიჭა ჭადრაკის გულშემატკივრებსა და ქართული სპორტის ქომაგებს, ხოლო თავის თავს უკვდავება მოუტანა ჭადრაკის ისტორიაში. წინა მსოფლიო ჩემპიონების — ვერა მენჩიკის, ლიუდმილა რუდენკოს, ოლღა რუბცოვას და ელისაბედ ბიკოვას გვერდით, მისი გვარი სამუდამოდ ამოიკვეთა მსოფლიო ჩემპიონობის გარდამავალ ოქროს თასზე. ეს უაღრესად დიდი პატივია 21 წლის ნონა გაფრინდაშვილისათვის.

ერთი თვის მანძილზე მოსკოვში არ დამცხრალა დიდი საჭადრაკო ბრძოლა. გამოცდილი მსოფლიო ჩემპიონი თავგამოდებით ცდილობდა მაღალი ტიტულის დაცვას გამარჯვებებით წახალისებული ქართველი ქალიშვილისაგან. მაგრამ ამაოდ! ნონა გაფრინდაშვილი იშვიათი შემართებითა და შეუპოვრობით თავს ესხმოდა ელისაბედ ბიკოვას მეფეს. ვერც ერთი პარტია ვერ მოუგო მსოფლიო ჩემპიონმა ჩემპიონობის პრეტენდენტს. ორთაბრძოლა მოიგო ნონა გაფრინდაშვილმა შთამბეჭდავი ანგარიშით: 9:2. მატჩი შეწყდა მეთერთმეტე პარტიაზე მაშინ, როცა თექვსმეტი პარტია უნდა გათამაშებულიყო.. ეს მოხდა იმის გამო, რომ ქართველმა ოსტატმა ადრე მოაგროვა გამარჯვებისათვის საჭირო ქულები. 18 ოქტომბერს, საზეიმო ვითარებაში, ნონა გაფრინდაშვილი საქვეყნოდ გამოაცხადეს მსოფლიო ჩემპიონად ჭადრაკში ქალთა შორის და დაფნის გვირგვინით შეამკეს.

ნონა გაფრინდაშვილის ამ გამარჯვებას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ქართული ჭადრაკისათვის. ცნობილია, რომ საქართველოში საჭადრაკო ხელოვნება უხსოვარი დროიდან სარგებლობს ღრმა პატივისცემით. ძველთაგანვე გულმხურვალედ ეზიარებოდნენ ხოლმე მას ქართველი ქალებიც. ჭადრაკში მათ იზიდავდა სიბრძნე და ბრძოლის კეთილშობილება. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ჩვენს წინაპრებს ტრადიციად ჰქონდათ: რუსთველის გენიალურ „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად, ქალისათვის მზითევში გაეტანებინათ ჭადრაკიც, როგორც გონებაგახსნილობისა და მწიგნობრობის ნივთიერი საბუთი.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი საამაყო ტრადიციისა, ქართველ ხალხს არასოდეს ჰყოლია მსოფლიო მნიშვნელობის მოჭადრაკე. ასეთი მოჭადრაკეების გამოჩენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა საქართველოს პირობებში, როცა ქართველი ქალიც აქტიურად ჩაება ყოველდღიურ ცხოვრებაში: მეცნიერებასა და ლიტერატურაში, ხელოვნებასა და სპორტში. ჭადრაკში პირველად გამოჩნდა ნიჭიერ ოსტატ მოჭადრაკე ქალთა მთელი თაობა: ნონა გაფრინდაშვილის, მანანა ტოგონიძის, ელისო კაკაბაძის სახით. ქართველ მოჭადრაკეთა ხელოვნებამ საერთო აღიარება ჰპოვა საჭადრაკო სამყაროში. ამის ყველაზე უკეთესი საბუთია ნონა გაფრინდაშვილის მიერ მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინის თბილისში ჩამოტანა.

ნონა გაფრინდაშვილი კეთილი, თავაზიანი გოგონაა. მის თვალებში მუდამ კიაფობს ჭადრაკისადმი დაუცხრომელი სიყვარული. მას იტაცებს ამ მეფურ თამაშში ჩაქსოვილი სიბრძნე, მისი ამოუკითხავი საიდუმლოებანი. ამიტომ ნონა უაღრესად შრომისმოყვარეა. სწორედ ამ თავდადებული მეცადინეობით სრულყო მან ბუნებით მომადლებული უდიდესი საჭადრაკო ნიჭი და გულადად შეუტია საჭადრაკო ოლიმპს. დღეს ის მსოფლიოს პირველი მოჭადრაკეა. მაგრამ არ იფიქროთ, რომ ასეთმა ზღაპრულმა წარმატებამ გააყოყოჩა ჩვენი „პატარა ნონა“. იგი გრძნობს თუ რა მძიმე ვალდებულება აიღო თავის თავზე, რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრია მას. ის ისეთივე სადა, უბრალო და თავმდაბალი ამხანაგია, როგორიც ადრე იყო.

მსოფლიო ჩემპიონის ინტერესები როდი ამოიწურება მარტოოდენ ჭადრაკით. ნონას ძალიან უყვარს ლიტერატურა, მუსიკა, ცეკვები; იტაცებს სპორტული თამაშები: მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი, ბილიარდი და სხვა. ელისაბედ ბიკოვასთან დაძაბული შერკინების დროს ნონა არ ივიწყებდა სათავგადასავლო ლიტერატურას, მაგიდის ჩოგბურთს, რომელშიც, სხვათაშორის, მომხიბვლავი ოსტატობით გამოირჩევა. არც ფეხბურთის მატჩებს აცდენდა ლუჟნიკებში, რასაკვირველია, თუ თავისუფალი დრო ჰქონდა. სპორტმა ჩინებული სამსახური გაუწია მას ხანგრძლივსა და დამღლელ საჭადრაკო ბრძოლაში.

ნონა გაფრინდაშვილის შესანიშნავმა თამაშმა მოხიბლა ჭადრაკის გამოჩენილი სპეციალისტები. მოსკოველებიტაშს უკრავდნენ ნონას და ცოცხალი ყვავილების თაიგულებს უგზავნიდნენ, რითაც თავიანთ დიდ სიმპათიებს გამოხატავდნენ მისი ნიჭისა და შემოქმედებისადმი. ქართველი საზოგადოებრიობა ამაყობს თავისი ასულით, რომელმაც ერის საჭადრაკო ტრადიციებს ნათელი მოჰფინა.

„გმადლობთ, ნონა, მონიჭებული სიხარულისათვის!“ — ამბობს დღეს ყველა, ვისაც გულთან ახლო მიაქვს სამამულო სპორტისა და კულტურის მომავალი.

**თენგიზ გიორგაძე,**
**ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში**

# ფუტკარი და რწყილი

Ერთ დღეს ტყიდან მომავალ თაფლით დატვირთულ ფუტკარს გზაზე კოჭლი რწყილი შემოხვდა.

— რა დაგემართა მეზობელო, ასე საცოდავად რომ მოიზლაზნები? — ჰკითხა ფუტკარმა მგზავრს და იქვე დასასვენებლად ჩამოჯდა.

— შენს მტერს, ჩემო კეთილო, რაც მე დამემართა! — მიუგო რწყილმა. — დაბადებიდანვე ერთი კაცის ოჯახში ვცხოვრობდი, პირველ ხანებში ტკბილად და უდარდელად ვატარებდი დროს, არაფერი არ მაკლდა. ბოლოს რატომღაც შემიჯავრეს, გადამემტერენ, დამიწყეს დევნა... ამ გასაჭირში რომ ჩავვარდი, იქვე ერთ წრუწუნას დავუმეგობრდი, ისიც ჩემი ზნისა გამოდგა — მუდამ ნაქურდალით იკვებებოდა.

ერთხელ წრუწუნა სადღაც რკინის ყუთში შევიდა, იმ დროს კისერზე ვეჯექი და თან შევყევი. შიგნით მოვტრიალდით თუ არა, უეცრად კარები ჩაიკეტა და ტყვეობაში აღმოვჩნდით...

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ვიღაც პირბანჯგვლიანი, ვეება კაცი, ჩვენი სატუსაღო ხელში აიტაცა, ჯერ ატრიალა, ათამაშა, მერე საცოდავი თაგუნია შიგვე ჩაახრჩო და გარეთ გადააგდო.

მე განაბული ვიჯექი მომხრჩვალი თაგვის კისრის ბეწვებზე და ვგრძნობდი, რომ მის სხეულს თანდათან სითბო აკლდებოდა; არ ვიცოდი რა მექნა, საით წავსულიყავი. ამ დროს საიდანღაც ყვავმა მოაჩხავლა, დაავლო ნისკარტი წრუწუნას და ჰაერში აიტაცა. მეც თან ავყევი, თაგუნას კისრიდან ყურში გადავჯექი და იქიდან ვადევნებდი თვალყურს...

ყვავი საშინელ თვალებს აბრიალებდა, ოდნავ გაღებული ნისკარტიდან მყრალი სუნი სდიოდა. ის უზნო არსება იმ წუთშივე შემძაგდა, მაგრამ, აბა, ჰაერში ატაცებული სადღა წავიდოდი. თანაც შემეშინდა, თაგვთან ერთად მეც არ გადამყლაპოს-მეთქი; ყურიდან გამოვძვერი, ყვანჩალას თავზე გადავაცოცდი და ახლა იმის მხარ[ე]ვეშ შევიმალე...

დაღლილს ისე ჩამძინებოდა, — სამი დღის შემდეგღა გამომეღვიძა. ჩემი შავი მასპინძელი ისევ ჰაერში დაცურავდა, გაკვირვებული შევყურებდი და ვფიქრობდი: „ეს ხომ ცათამპყრობელი, უძლეველი ყოფილა-მეთქი". აღარც იმის მყრალ სუნსა ვგრძნობდი ისე მძაფრად. ალბათ, მივეჩვიე. თანაც იმ სიმაღლეზე პირველად ვიგრძენი თავი, დედამიწა აღარაფრად მიმაჩნდა. ვფიქრობდი: ახლა კი მტერი ვეღარაფერს დამაკლებს-მეთქი. მაგრამ თურმე მოვტყუვდი...

გუშინ ყვანჩალა ბაღში კაკალს იპარავდა. — უცებ საიდანღაც თოფმა იგრიალა... გონს რომ მოვედი, ჩემი „ცათამპყრობელი" მიწაზე ეგდო სულთმობრძავი... მეც სისხლით ვიყავი მოსვრილი, უკანა მარჯვენა ფეხი მოწყვეტილი მქონდა...

გაჭირვებით გადმოვცოცდი იმ მყრალი სხეულიდან, შევუდექი ჩემს მოცარულ გზას და აი, ხომ ხედავ, რა დღეში ვარ! ხტომას და ნავარდს ვინღა ჩივის, სიარულიც მიძნელდება. ცალკე ტკივილმა და ცალკე შიმშილმა შემაწუხა...

ტვირთმოკიდებულ ფუტკარს ჩუმად ჩაეცინა. დასახიჩრებულ რწყილს ალმაცერად გადახედა და უთხრა:

— ასეა, ძმობილო, ვინც თავისი შრომით არა სჭამს პურს, იმას, დღეს იქნება თუ ხვალ, მართალი ადამიანი არ ახეირებს.

**როსტომ ელაწიძე**






## მუზეუმი

ქალაქი ალექსანდრია მრავალი წლის განმავლობაში ძველი სამყაროს კულტურული და სავაჭრო ცენტრი იყო. ეს ქალაქი ალექსანდრე მაკედონელმაააგო, მდინარე ნილოსის დელტაში, სადაც თავს იყრიდა ევროპის, აზიისა და აფრიკის საზღვაო და სახმელეთო სავაჭრო გზები. ალექსანდრიაში არსებობდა ბიბლიოთეკა, სადაც 700 ათასი ხელნაწერი გრაგნილი ინახებოდა. ეგვიპტის მეფეებს ალექსანდრიაში მუზების ტაძარი მუზეუმი დაუარსებიათ. მისი დანიშნულება, ცხადია, ისეთი არ იყო, როგორიც დღეს აქვს მუზეუმს, მაგრამ დროთა განმავლობაში აქ თავი მოუყრია უამრავ იშვიათ ნივთს, ხელნაწერს, საკურველს იმდროინდელი მხოფლიოს ყველა კუთხიდან.

ამ მუზეუმში მუშაობდნენ გამოჩენილი ასტრონომები, მათემატიკოსები, გეოგრაფები, ფილოსოფოსები, რომლებმაც უდიდესი გავლენა იქონიეს ანტიკური მეცნიერების განვითარებაზე.

საუკუნეთა წინათ ალექსანდრიაში არსებულ ამ თავისებურ სამეცნიერო კერის სახელს — მუზეუმს — დღეს ვუწოდებთ ყველა იმ დაწესებულებას, სადაც ისტორიული, ლიტერატურული, ან სხვა სამეცნიერო კოლექციები ინახება და კვლევითი თუ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა წარმოებს.

## მეტრო

სიტყვა „მეტროპოლიტენი" შემთხვევით არის წარმოშობილი. 1860 წელს ლონდონში დაიწყეს მსოფლიოში პირველი მიწისქვეშა რკინიგზის მშენებლობა. სამუშაოს შესრულება ერთმა კერძო ფირმამ: „დედაქალაქის სარკინიგზო კომპანიამ" დაივალა. ამ ფირმის სახელწოდების პირველი სიტყვა — დედაქალაქი (ინგლისურად „მეტროპოლიტენი") — დაერქვა იმ მიწისქვეშა რკინიგზას, რომელსაც აშენებდნენ. მოგვიანებით ეს სახელი რატომღაც ფრანგებმაც იხმარეს. შემდგომ კი იგი ყველა ენაში, მათ შორის ქართულშიაც დამკვიდრდა.

# როგორ გამოიგონეს ტელეფონი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიდაზე დადგმულ ლამაზი ფორმის ტელეფონთან მიდიხართ, ყურმილს იღებთ და ამხანაგის ტელეფონის ნომერს კრეფთ. გაისმის რამდენიმე სიგნალი. ყურში გესმით: „ალლო“!

მაგრამ მარტო თქვენს ქალაქში როდია, რომ ერთი აბონენტი მეორეს იძახებს. ტელეფონით შეიძლება დარეკოთ მოსკოვში, ხაბაროვსკში, ლონდონში. რომში, პეკინში, ატლანტიის ოკეანის გადაღმაც — ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, სამხრეთ ამერიკაში, კანადაში. იქიდანაც რეკავენ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში...

არის ისეთი ტელეფონები, რომლებსაც ეკრანი აქვს და მოსაუბრენი ერთმანეთს ხედავენ. კიეველს შეუძლია მოსკოველი დაინახოს, მოსკოველს—ლენინგრადელი...

არც ერთ გამოგონებას მსოფლიოში არ ჰქონია ისეთი წარმატება, როგორც ტელეფონს, არც ერთი გამოგონება არ გამხდარა ისეთი პოპულარული, როგორიც ტელეფონი.

გამოგონება! ყოველ მათგანს ერთი, ან რამდენიმე ავტორი ჰყავს. ვინც სულ პირველად მოიფიქრებს, ვისაც სულ პირველად გაუბრწყინდება გონებაში ახალი იდეა, მას გამომგონებელს უწოდებენ.

ტელეფონსაც ჰყავს თავისი გამომგონებელი. დღევანდელი ტელეფონი კი მრავალი ადამიანის კოლექტიური, დაუზარელი მუშაობის შედეგია.

ვინ გამოიგონა პირველი ტელეფონი?

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ — 1876 წელს. 25 ივნისი იყო, კვირა დღე. ბრაზილიის იმპერატორი პედრო II და სხვა დიდებულნი სიცხისაგან მოქანცულები გამოფენის ექსპონატებს ათვალიერებდნენ. ბოლოს გადაწყვიტეს მომავალი დღისათვის გადაედოთ დათვალიერება. თუმცა, რა? ერთი ექსპონატი თუ რჩებოდა გასასინჯი. მისი ავტორი, ახალგაზრდა ყმაწვილი, შეწუხებული სახით შესცქეროდა იმპერატორს.

იმპერატორმა იცნო იგი. ნანახი ჰყავდა ერთ-ერთ სკოლაში. — მისტერ ბელლა, როგორ არიან თქვენი მოწაფეები? — ჰკითხა იმპერატორმა ახალგაზრდას.

ახალგაზრდამ უპასუხა, რომ მოსწავლეები კარგად იყვნენ, მხოლოდ ძალიან სწყინდა, რომ მის ექსპონატს არ სინჯავდნენ.

— თქვენს ნამუშევარს ხვალ ვნახავთ.

— მე არ შემიძლია ხვალ აქ დავრჩე, ბოსტონში უნდა დავბრუნდე.

როგორც იყო, გადაწყდა ახალგაზრდა მასწავლებლის ნამუშევარის დათვალიერება.

— რა ჰქვია თქვენს ექსპონატს? — შეეკითხნენ ახალგაზრდას.

— ტელეგრაფი, რომელსაც შეუძლია გადასცეს ადამიანის ხმა, — უპასუხა გამომგონებელმა, და აუხსნა დამსწრეთ მისი მუშაობის პრინციპი.

მაგიდაზე იდგა მიმღები, ხოლო შენობის მეორე ნაწილში გადამცემი.

— თუ კი გადამცემთან დაილაპარაკებს რომელიმე თქვენგანი, მაშინ აქ ჩვენ მის ხმას გავიგებთ.

ზოგიერთებს გაეღიმათ, როგორ შეიძლება მავთულს გაეტარებინა ადამიანის ხმა!

გავიდა რამდენიმე წუთი და უცებ ყველას გარკვევით მოესმა ხმა. ყური კარგად მიუგდეს, ხომ არ ვტყუვდებითო. არა, ნაცნობი ხმა ისევ ისმოდა.

დამსწრეთა გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. სხვებზე მეტად აღფრთოვანებული იყო ინჟინერი ულიამ ტომპსონი, რომელიც პირველი ტრანსატლანტიკური ტელეგრაფის ავტორი იყო. ინჟინერი თვითონ წავიდა შენობის მეორე ნაწილში გადამცემთან. მალე მისი ხმა მიმღებში გაისმა. ყველა იქ მყოფს მოუნდა აპარატში ლაპარაკი. აღარავინ ნანობდა, რომ უკანასკნელი ექსპონატი მაინც გასინჯეს, არავინ აქცევდა ყურადღებას საშინელ სიცხეს. — მაინც რას ეწოდებთ თქვენ ამ შესანიშნავ ექსპონატს? — ჰკითხეს ახალგაზრდას.

— ტელეფონს, — უპასუხა ბელლამ.

მსოფლიოში პირველმა ტელეფონმა გამოცდა ჩააბარა. მაგრამ ეს ყველაფერი უცბათ როდი მომხდარა. ალექსანდრ გრეიამ ბელლას ტელეფონის შექმნის იდეა მაშინ დაებადა, როცა დაიწყო იმაზე ფიქრი თუ როგორ შეიძლებოდა, რომ ერთი სადენით ერთდროულად რამდენიმე ტელეგრამა გადაეცა. სიმართლე რომ ითქვას, ეს იდეა მაშინ ძალიან ბევრს იტაცებდა.

და აი, ტელეგრაფის აპარატის გაუმჯობესების დროს სულ უფრო გარკვევით წარმოიქმნა გონებაში ახალი აზრი. ბელლას მიაჩნდა, რომ „შესაძლებელია გადაიცეს ნებისმიერი ბგერები თუ შესაძლებელი გახდება ელექტროდენის ძალის ცვლილება იმის მსგავსად, როგორც ეს ხდება საჰაერო ფენაში, როცა წარმოიქმნება რაიმე გარკვეული ბგერა“.

რასაკვირველია, ტელეფონის გამოგონებისათვის მარტო ელექტრობის ცოდნა როდი იყო საჭირო, გამომგონებელს მშვენივრად უნდა სცოდნოდა აკუსტიკაც. ამ დარგს კი ბელლა კარგად იცნობდა.

როცა ბელლამ ოფიციალურად განაცხადა თავის გამოგონების შესახებ და მოითხოვა ამ გამოგონებაზე მოწმობა-პატენტი, ორი საათიც არ გასულა, სხვა გამომგონებელმა — ელექტროტექნიკოსმა ელიშა გრეიმ წარადგინა მსგავსი სქემა.

სამი თვის შემდეგ ბელლას მართლაც მისცეს მოწმობა გამოგონებაზე. გამომგონებელს მრავალმა ადამიანმა მიულოცა გამარჯვება და მათ შორის იყო ელიშა გრეი.

1877 წელს ტელეფონი უფრო გაუმჯობესდა. გამოიყენეს მუდმივი ელექტრომაგნიტი, რომელიც ელექტრომაგნიტზე უკეთესი აღმოჩნდა.

გამოგონებიდან უკვე 5 წლის შემდეგ ტელეფონის გამოყენება დაიწყეს პრაქტიკაში.

გამომგონებელს დაუთმეს ტელეგრაფის ხაზი ორ ქალაქს შორის და მან ამ ხაზზე მოაწყო სატელეფონო ლაპარაკი.

სულ უფრო პოპულარული ხდება ახალი გამოგონება და მალე ალექსანდრ გრეი ბელლა მდიდარი და შეძლებული კაცი გახდა.

გამომგონებელმა განსჭვრიტა ტელეფონის დიდი მომავალი. ჯერ კიდევ 1877 წელს ის წერდა ტელეფონების გამოყენებაზე ქალაქებში, მათი გაყვანის შესაძლებლობაზე ქალაქის სხვადასხვა ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილებში. მას მიაჩნდა, რომ შესაძლებელი იყო ქალაქის სატელეფონო სადგურის შექმნა.

ტელეფონმა „ფეხი აიდგა" და ბევრი სხვა გამომგონებელი ცდილობდა მისთვის „სიარული ესწავლებინა" —გაეუმჯობესებინა. ტელეფონის გამოგონებიდან 24 წლის განმავლობაში 1900 წლამდე 3 ათასი მოწმობა-პატენტი აიღეს მათ. რამდენი უფიქრიათ, არა?

ბელლა? იგი სულ უფრო და უფრო იხვეჭდა სახელს. საფრანგეთში იგი დააჯილდოვეს ვოლტას პრემიით (50000 ფრანკი). საინტერესოა, რომ ეს პრემია დაარსებული იყო ნაპოლეონის დროს და ბელლამდე მხოლოდ ერთ ადამიანს მიენიჭა. გამომგონებელს მიანიჭეს საპატიო ლევიონერის ორდენი, მედიცინის საპატიო ხარისხი. მედიცინა რა შუაშია? იმიტომ, რომ ბელლა ბევრ ცდას ატარებდა აკუსტიკის დარგში.

ფულს, რასაც გამომგონებელი ღებულობდა, იყენებდა ვოლტას საზოგადოებისათვის, რომელიც ტელეფონის და ელექტროკავშირგაბმულობის სხვადასხვა დარგების გამოკვლევებზე მუშაობდა.

რუსმა ფიზიკოსმა პ. მ. გოლუბიცკიმ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ტელეფონი.

ბევრი რამ გააკეთა საიმედო სატელეფონო კავშირის შესაქმნელად რუსეთის არმიის კაპიტანმა გ. გ. იგნატიევმა, რომელმაც მსოფლიოში პირველმა დაამუშავა ტელეფონის აპარატის ტელეგრაფის ხაზთან დაკავშირების სქემა, რაც საშუალებას იძლეოდა სატელეგრაფო ხაზებით წომხდარიყო არა მარტო ტელეგრამების, არამედ ლაპარაკის გადაცემაც.

რუსეთში პირველი სატელეფონო ხაზები ექსპლოატაციაში შევიდა 1881 წელს.

სადგურებში აბონენტების ერთმანეთთან დაკავშირებით ტელეფონების მეშვეობით ხდებოდა. გამომძახებელი უსახელებდა სადგურის მორიგეს საჭირო ნომერს. მორიგე ზარს უგზავნიდა გამოძახებულ აბონენტს და როცა პასუხს მიიღებდა, ორივე აბონენტის ხაზებს ერთმანეთთან სპეციალური ზონარით აკავშირებდა.

რაც უფრო იზრდებოდა მოთხოვნილება სატელეფონო კავშირზე, მით უფრო ძნელდებოდა და რთულდებოდა აბონენტების ერთმანეთთან შეერთება. დღის წესრიგში დადგა ავტომატური ტელეფონის სადგურის შექმნა.

მსოფლიოში პირველი ავტომატური ტელეფონის სადგური დაამუშავა ინჟინერმა კ. ა. მოსციცკიმ ჯერ კიდევ 1887 წელს. შემდეგ ინჟინერმა ს. მ. აპოსტოლოვმა შექმნა 10.000 ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგური ევრეთწოდებული ნაბიჯური მაძიებლით. ეს სადგური შეიცავდა ყველა იმ ძირითად ნაწილს, რაც თანამედროვე ატს-ებს აქვს. ს. მ. აპოსტოლოვის გამოგონების უფლება შეისყიდა ერთ-ერთმა უცხოეთის ფირმამ, რომელმაც 1896 წელს ლონდონში მოახდინა ამ სადგურის მაკეტის დემონსტრირება.

...სწრაფად გაიარა წლებმა. დამზადდა ავტომატური ტელეფონის სადგურები და ახლა მილიონობით ტელეფონები ავტომატურად ერთდებიან ერთმანეთთან, საჭიროა მხოლოდ ნომრების აკრეფა.

დღევანდელი ტელეფონი ერთმა ადამიანმა არ გამოიგონა. იგი ურიცხვი გამომგონებლის, ინჟინრის და მეცნიერის თავდადებული მუშაობის შედეგია. და ეჭვი არავის ეპარება, რომ ხვალინდელი ტელეფონი კიდევ უფრო მოხერხებული გახდება იმიტომ, რომ არასოდეს ტექნიკა ერთ ადგილას არ იყინება. და იქნებ, ბევრი თქვენგანი, როცა გაიზრდება, კავშირგაბმულობის კეთილშობილ საქმეს მოემსახურება და საკუთარ წვლილს შეიტანს ლამაზი და ასე რიგად საჭირო ტელეფონების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში, მითუმეტეს, რომ ჩვენს დედაქალაქში რამდენიმე წელიწადში მუშაობას დაიწყებს შესანიშნავი აპარატურით აღჭურვილი ტელეფონების აპარატების ქარხანა, რომელსაც საკუთარი საკონსტრუქტორო ბიურო ექნება.

ა. კარბელაშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი.



## სხვადასხვა თემაზე

### ნუმიზმატიკა

ლითონის პატარა ნატეხი დროთა განმავლობაში გაშავებულა, უძველეს გამოსახულებას დაუკარგავს პირვანდელი სახე. თითქმის არაფერი ჩანს ზედ, მაგრამ ასეთი ნაპოვნი სპეციალისტებს ზოგჯერ უფრო მეტს ეუბნება, ვიდრე ძველი ხელთნაწერი ან ციხე-სიმაგრის ნანგრევი.

მონეტების შემსწავლელ მეცნიერებას ნუმიზმატიკა ეწოდება. ეს მეცნიერება XVI საუკუნეში წარმოიშვა. მისი დამაარსებელი ფრანგები აბატი ეკელი და პელერენი იყვნენ. მათ პირველებმა დაამუშავეს მონეტების განსაზღვრა და შესწავლის სპეციალური სისტემა.

პირველად მონეტების შეკრება კერძო კოლექციონერებმა დაიწყეს. მათი მემკვიდრეები ცუდად ერკვეოდნენ ისტორიაში, შემდგომ მონეტების შეკრება მუზეუმებმა დაიწყეს. დიდი ნუმიზმატიკური ფონდი აქვს ლენინგრადში—ერმიტაჟს; მოსკოვში—ისტორიულ მუზეუმს; საქართველოში—ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმს; პარიზის, ლონდონის, რომის მუზეუმებს.

ყველაზე ძველი ფული, მცირე აზიის უძველეს ქვეყანაში ლიდიაშია აღმოჩენილი. ეს ჩვენ წელთაღრიცხვამდე VI-VII საუკუნეში ყოფილა. უძველესი ლიდიური მონეტები ცალმხრივი იყო და მეტალის უბრალო ნაჭერს წარმოადგენდა. მოგვიანებით საბერძნეთში, მონეტებმა ჩვენთვის ჩვეული მრგვალი ფორმა მიიღეს.

პირველად მონეტებს ვერცხლისაგან ჭრიდნენ. შემდეგ ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონებისაგან, ძველ რომში კი მონეტები ბრინჯაოსი იყო.




# ამერიგო ვესპუჩი

1492 წლის 13 ოქტომბრის ღამეა. უსასრულო ოკეანეში სამი მომცრო გემი მიაპობს ტალღებს. ორ თვეზე მეტია, მიწის ნასახიც არ ჩანს ჰორიზონტზე. და უცებ, შორს, ცის კიდურზე რაღაც შავი გამოჩნდა.

— მიწა! — დაიყვირა მეთვალთვალემ. გათენდა თუ არა, ნავები ჩაუშვეს და ნაპირზე გადავიდნენ. ყველაზე წინ კოლუმბის ნავი მიდიოდა. ხმელეთზე მათ გარს შემოეხვივნენ წითელკანიანები, რომლებიც განცვიფრებული შეჰყურებდნენ უცხოელებს. ამ კუნძულს კოლუმბმა სან-სალვადორი უწოდა... აქედან დასავლეთით გაემართნენ, სადაც კიდევ რამდენიმე კუნძული აღმოაჩინეს. ერთი კუნძულის მცხოვრებისაგან შეიტყვეს, რომ შორს, დასავლეთით, მოზრდილი კუნძული მდებარეობს.—ალბათ ზინგაპუა, — გაიფიქრა კოლუმბმა. ასე უწოდებდა მარკო პოლო იაპონიას. — დიახ, ზინგაპუ! — შესძახა აღფრთოვანებულმა და, როდესაც კუნძულს მიაღწია. ელჩიც კი გაუგზავნა ჩინეთის მეფეს— ბოღდი - ხანს. სამი დღე დადიოდა ელჩი კუნძულზე. მაგრამ რას მიაგნებდა! მიუხედავად ამისა, კოლუმბი მაინც მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ინდოეთის დასავლეთ ნაპირებთან მიმავალი საზღვაო გზა აღმოაჩინა და რუკაზე დააწერა: „ვესტ-ინდოეთი". დიდებული მეზღვაურის ეს უნებლიე შეცდომა გახდა მიზეზი იმისა, რომ გაუგონარი პატივი და დიდება ხვდა წილად მანამდე სრულიად უცნობ პიროვნებას — ამერიგო ვესპუჩის. კოლუმბი ისე გარდაიცვალა, რომ დარწმუნებული იყო, ჩემს მიერ აღმოჩენილი ქვეყანა ინდოეთი არისო. ვესპუჩიმ უკუაგდო ეს ვარაუდი. მართალია, მას დაახლოებითი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ახლადაღმოჩენილი ქვეყნის სიდიდის შესახებ, მაგრამ მტკიცედ სწამდა, რომ „ნაპოვნია ქვეყნის ახალი ნაწილი".

ამერიგო ვესპუჩი დაიბადა 1451 წელს იტალიის ქალაქ ფლორენციაში, ღარიბი ნოტარიუსის ოჯახში. 1490 წელს ლორენცო მედიჩის წინადადებით მიემგზავრება ესპანეთში, სავაჭრო საქმეებთან დაკავშირებით. მონაწილეობა მიიღო ახალი მიწების საძებნელად მოწყობილ რამოდენიმე მოგზაურობაში. ამერიგო ვესპუჩის საყოველთაო პატივი და დიდება დაფუძნებულია ორ წერილზე, რომელიც დაწერილია 1503 და 1504 წელს. ამ წერილებში აღწერილია ახლადაღმოჩენილი ქვეყნის ჰავა, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო, ხალხის ყოფაცხოვრება და ჩვეულებანი. ამ წერილებში ვესპუჩი დაჯერებით ამტკიცებს, რომ ეს ახალი ქვეყანა აზიის აღმოსავლეთი ნაპირები კი არაა, არამედ სრულიად სხვა კონტინენტს წარმოადგენსო. ამ წერილებს არნახული წარმატება ხვდა წილად. ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი ხალხი მოუთმენლად ელოდა ახალ ცნობებს შედეგმაც არ დააყოვნა. ერთმა ფლორენციელმა მესტამბემ გამოსცა პატარა ბროშურა, სადაც მოთხრობილი იყო ვესპუჩის მოგზაურობის დროს აღწერილი ამბები. წიგნი ითარგმნა და მრავალჯერ გამოიცა გერმანულ, ჰოლანდიურ, ფრანგულ ენებზე. ვესპუჩი პირველი იყო ზღვაოსანთა შორის, რომელსაც შეეძლო ნანახისა და განცდილის ასე მიმზიდველად გადმოცემა, რადგანაც უცხო ქვეყნების მაძიებელ ხომალდებზე ჩვეულებრივ თავს იყრიდნენ გამდიდრების წყურვილით შეპყრობილი ათასი ჯურის ზღვის მაწანწალები, ჯარისკაცები და მეზღვაურები, რომელთაც საკუთარი სახელის მოწერაც არ შეეძლოთ.

გამომცემელმა წიგნს სათაურად მისცა „ახალი სამყარო და ახალი ქვეყნები, აღმოჩენილი ფლორენციელი ამერიგო ვესპუჩის მიერ". ამ წიგნის მიხედვით გავრცელდა არასწორი აზრი, თითქოს ვესპუჩი იყო ახალი ქვეყნის აღმომჩენი. ამ მესტამბის უნებლიე შეცდომამ საუკუნო დიდებით შემოსა ვესპუჩის სახელი.

ასევე შემთხვევით მოხდა ამერიკის კონტინენტის „ნათლობა" XVI საუკუნეში კარტოგრაფმა მარტინ ვალდზემიულერმა გამოსცა შრომა „კოსმოგრაფიის შესავალი", სადაც პირველმა წამოაყენა წინადადება, დედამიწის ამ მეოთხე კონტინენტისათვის ამერიგო ვესპუჩის სახელი ეწოდებინათ. თავდაპირველად ამერიკას უწოდებდნენ მხოლოდ ბრაზილიას. 1515 წელს კარტოგრაფმა შენერმა გააკეთა გლობუსი და სამხრეთ ნახევარსფეროს პირველად დააწერა „ამერიკა". მას შემდეგ, რაც გამოჩენილმა ფლამანდიელმა კარტოგრაფმა მერკატორმა გამოსცა რუკა (1541 წ.) და ორივე მატერიკს წააწერა თითო სიტყვა — ამე-ჩრდილო მატერიკს, ხოლო რიკა — სამხრეთს, ეს სახელი უკვე მტკიცედ დამკვიდრდა ორივე მატერიკზე.

ამერიგო ვესპუჩი გარდაიცვალა 1512 წელს.

ვ. ჯიშკარიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინტერესოა ცოდნა

### უდიდესი კუნძულები

დედამიწის ზურგზე ექვსი უდიდესი კუნძულია: გრენლანდია (2175000 კვ. კმ), ახალი გვინეა (785000 კვ. კმ.), ბორნეო(734000 კვ. კმ), მადაგასკარი (889840 კვ. კმ.), ბაფინის კუნძული (515183 კვ. კმ.) და სუმატრა (433962 კვ. კმ).

ამ კუნძულთაგან ყველაზე ნაკლები მოსახლეობა ბაფინის კუნძულზეა — სულ 2050 სული.

### მეხამრიდს ძველადაც იცნობდნენ

შუა აღმოსავლეთში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა ტაძრების ნანგრევები, რომელთა კედლებზეც წარწერებია, ამ წარწერების ამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ მეხამრიდის შესახებ კაცობრიობამ ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ იცოდა, წარწერები მეტყველებენ, თუ როგორ იძლეოდნენ მბრძანებლები განკარგულებას, რათა ტაძრებთან ჩაერჭოთ 40 მეტრი სიმაღლის წვეტიანი ბოძები, რომლებიც მათ „ცის ცეცხლისაგან" დაიცავდა.

### სენ მიშელი

სენ მიშელი (ჩრდილოეთი საფრანგეთი) დღე-ღამის განმავლობაში ორჯერ არის კუნძული, ორჯერ კი — ნახევარკუნძული. ამ მოვლენის გამომწვევია ატლანტის ოკეანის მიმოქცევა იმ ნაწილში, სადაც ტალღების სიმაღლე 12 მეტრს აღწევს.

### ორი მიმართულების მდინარე

საბერძნეთში არის მდინარე ავიარი, რომელიც ექვსი საათის განმავლობაში ზღვისაკენ მიედინება, ექვსი საათის შემდეგ კი უკან ბრუნდება. ამის მიზეზია ეგეოსის ზღვის დონის ცვლილება, რასაც ზღვის მიმოქცევა იწვევს.

### ზღვის წყლის მარილიანობა

ყველასათვის ცნობილია, რომ ზღვის წყალი დიდი რაოდენობით შეიცავს მარილს. მაგრამ ყველა ზღვის წყალი როდია ერთნაირად მარილიანი. ყველაზე მეტ მარილს შეიცავს წითელი ზღვა. ამ ზღვის ერთ ტონა წყალში 40 კგ. მარილია, ხოლო სუეცის არხთან 43 კგ.-ს აღწევს. შავი ზღვის წყალი გაცილებით ნაკლებ მარილს შეიცავს — ტონაზე 18 კგ. ყველაზე ნაკლებმარილიანია ბალტიის ზღვა — ტონაზე 7,8 კგ. ოკეანეთა წყლის მარილიანობა თითქმის ერთნაირია — ტონაზე 34—35 კგ. მარილი.

### ერთი წამის განმავლობაში

საინტერესოა რა რაოდენობის მდინარის წყალი ჩადის ზღვაში ერთი წამის განმავლობაში?

მეცნიერული სტატისტიკა უკვე იძლევა ამაზე პასუხს. გამოანგარიშებულია, რომ მდინარე ამაზონკა ერთი წამის განმავლობაში ზღვას აძლევს 120 000 კუბურ მეტრ წყალს, იან-ძიანი — 32 000, მისისიპი და ლენა თითოეული — 18 000, ბრაჰმაპუტრა — 17 000, განგი და ნიგერი თითოეული — 15 000, ობი — 11 000, ამური — 10 000, ვოლგა — 8 300, დუნაი — 6 400 კუბურ მეტრს.

ეს ერთ წამში! ხოლო თუ დღე-ღამეზე ვიანგარიშებთ, ვნახავთ, რომ მარტო ამაზონკადან 24 საათის მანძილზე ზღვაში ჩადის 11 304 800 000 კუბური მეტრი წყალი.

ნილოსი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მდინარეა (3 000 კმ.-მდე), მაგრამ მისი წყალი ერთ წამში შედარებით ძალიან ცოტა ჩადის ზღვაში — 2 300 კბ. მ., ანუ ამაზონკისაზე 40-ჯერ ნაკლები.

### ყველაზე მოუსვენარი ვულკანები

ჩვენს პლანეტაზე ბევრ ადგილას არის ვულკანური უბნები, მათგან ყველაზე მოუსვენარი ნაწილი მალაის არქიპელაგია. მარტო კუნძულ იავაზე 100 ვულკანია, რომელთა შორის 19 ვულკანი ახლაც მოქმედია.

ვულკანმა ტამბორმა (კუნძული სუმბავა) 70 მილიარდი ვაგონი ვულკანური მასა ამოაფრქვია.

დედამიწის ზურგის მეორე დაუწყნარებელი ნაწილია იაპონია. ბევრი აქტიური ვულკანია იაპონიაში და ყოველთვის მოსალოდნელია მათი ამოქმედება. ამის თქმა შეიძლება ვულკან ეტნაზეც (სიცილია). ლაპარის კუნძულებზე ორი ვულკანის კრატერებიდან განუწყვეტლივ ამოდის ბოლი და გადმოდის ლავა, რაც ღამე კარგად ჩანს შორიდან.

## იუმორი

* * *

მასწავლებელი: ერნსტ ეტყობა, კიდევ მამაშენმა გამოგაყვანინა ამოცანა.

ერნსტი: ჩემი ბრალი არაა, პატივცემულო მასწავლებელო, დედაჩემს არასოდეს არ სცალია.

* * *

გაკვეთილზე ოთხმა ბავშვმა დაიგვიანა.

— რატომ დაიგვიანე?—შეეკითხა მასწავლებელი ერთ-ერთს.

— დედაჩემი ავად არის და მე აფთიაქში ვიყავი წამლის მოსატანად.

მეორე მოსწავლემ თქვა: ჩვენი საათი უკან რჩებაო, მესამემ – დილით თავი საშინლად მტკიოდაო, მეოთხე მოსწავლემ ტირილი დაიწყო. «რა გატირებს შენ?» შეეკითხა მასწავლებელი.

— მათ უკვე ყველაფერი თქვეს და არ ვიცი მე რა მოვიგონო.

* * *

— რამდენი გრადუსია ოთახში?—იკითხა მამამ.

ანამ დახედა თერმომეტრს.

— ცამეტი გრადუსი სითბო.

— გარეთ?

ანა მივიდა ფანჯარასთან და შეხედა გარეთ, კედელზე დამაგრებულ თერმომეტრს.

— ოთხი გრადუსი სითბო.

ამ დროს პატარა მაქსმა დაიძახა:

— მაშ, გავაღოთ ფანჯარა და ის ოთხი გრადუსიც შემოვუშვათ, სულ 17 გრადუსი სითბო იქნება.

* * *

— ჰანს, დაიხსომე, რომ არ შეიძლება ყოველთვის ყველაფერზე თითით ჩვენება, ეს უზრდელობაა.

— რატომ?! ამ თითს ხომ საჩვენებელი თითი ჰქვია!

გერმანულიდან თარგმნა
ს. გელაშვილმა



# მოკლედ ყველაფერზე

## ნორდ-ოსტის მოთვინიერება

ბევრმა თქვენგანმა, ალბათ, იცის, იმ საშინელი ქარიშხლის ნორდ-ოსტის შესახებ, რომელიც ხშირად გადაუვლის ხოლმე ნოვოსიბირსკს და ძირიანად თხრის ასწლოვან ხეებს, ტელეგრაფის ბოძებს, ნავსადგურში დაბმულ გემებს ლუზებიდან გლეჯს და ზღვისკენ მიაქანებს.

პაერის მასები შავი ზღვისაკენ მიექანებიან, მაგრამ მათ გზაზე კავკასიის მთები ელობება. რჩება ერთადერთი გზა — ხეობა, რომელიც მთაგრეხილს კვეთს და ნოვოროსიისკთან გადის. სწორედ ამ კლდოვან დერეფანში უდიდესი სისწრაფით მიჰქრის გრიგალი და თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებს.

ბევრს ფიქრობდნენ მეცნიერები, როგორ დაემორჩილებინათ ეს ბოროტი ქარი. ბევრი პროექტი დამუშავდა: ერთნი წინადადებას იძლეოდნენ ამ ხეობაში მაღალი კაშხალი აეგოთ, მეორენი მოითხოვდნენ მთაში გვირაბების გათხრას, — რომლებიც ზღვის სანაპიროზე გაიყვანდნენ ნოვოროსიისკის დაშორებით.

ამ ცოტა ხნის წინათ ქარის გამოყენების ცენტრალური ლაბორატორიის უფროსმა ვ. სიდოროვმა შექმნა ამ ქარის მოთვინიერების ახალი პროექტი. მისი წინადადებით 90 კილომეტრიან ხეობაში უნდა დაიდგას უზარმაზარი ბორბლები — თითოეული 50 მეტრის დიამეტრისა. ქარი ამ ბორბლებს დაატრიალებს და თავისი გამანადგურებელი ძალის ორ მესამედს დაკარგავს, თანაც მისი სისწრაფე მნიშვნელოვნად შემცირდება, ხოლო ძალაგამოლეული ქარი უკვე საშიში აღარ იქნება. ხოლო მანქანები ქარის ენერგიას ელექტროენერგიად გარდაქმნიან. თითოეული დანადგარი წელიწადში 6.000-მდე კილოვატ ენერგიას გამოიმუშავებს, მთელი ეს ნაგებობა 7 მილიონამდე კილოვატ იაფ ელექტროენერგიას მოგვცემს — იმდენს, რამდენსაც ვოლგის სამი ელექტროსადგური გვაძლევს.

ქარის ბორბლების პირველ საცდელ ნიმუშებს უკვე დგამენ.

## წიგნი გრამნახევარს იწონის

ადამიანის ხელისგულზე ერთი ციცქნა წიგნი დევს. იგი ისე პატარაა, რომ ასანთის კოლოფში 45-მდე ასეთი წიგნი მოთავსდება. წიგნი 207 გვერდს შეიცავს და სულ გრამნახევარს იწონის.

მოლურჯო-ნაცრისფერ ყდაში ჩასმულ ფურცლებზე 4 ათასი სიტყვაა მოთავსებული. ეს გახლავთ გამოჩენილი ფიზიკოსის, მექანიკოსისა და ასტრონომის გალილეო გალილეის წერილი, რომელიც მას 1615 წელს კრისტინა ლორენსკაიასთვის მიუწერია.

ამ წიგნის 6 ეგზემპლარი დაიბეჭდა 1897 წელს ქალაქ პადუაში, სადაც ხანგრძლივად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გალილეი.

ახლა იტალიაში ნაპოვნია ამ წიგნის —



მსოფლიოში ყველაზე ნამცეცა ბეჭდური გამოცემის მხოლოდ ორი ცალი.

## გამოქვაბულის განძი

კუნძულ კუბაზე მდებარე გორაკებიანი პლატო სიერა დე კუბელა განთქმულია გამოქვაბულებით. აქ 2000-მდე გამოქვაბულია, რომლებშიც აღმოჩენილია სასუქის უმდიდრესი საბადოები. ამ სასუქს ყველაზე უფრო მწირი მიწის განაყოფიერებაც კი შეუძლია.

სასუქს ქმნიან პატარა ფრთოსანი მხეცები, რომლებიც ზაფხულის ღამეებში უხმაუროდ დაფრინავენ და მავნებელ მწერებს ანადგურებენ. ეს მხეცები, ალბათ მიხვდით, ღამურები არიან.

ღამურები ათასწლობით ცხოვრობდნენ ამ გამოქვაბულებში, ათასწლობით გროვდებოდა მათი სკორე და ახლა იგი სქელ ფენებად დევს გამოქვაბულებში.

ერთი გამოქვაბულიდან, რომელსაც ელ ჩირკულოს უწოდებენ, უკვე დაიწყეს სასუქის გამოტანა.



# ბუნების კალა

## აგავა

მცენარე აგავა, რომელსაც ჩვენში ხშირად ალოესაც უწოდებენ, თავის სამშობლო მექსიკაში საკმაოდ სწრაფად იზრდება. მისი ფოთოლი სიგრძით სამ მეტრამდე აღწევს. 8-10 წლის შემდეგ მცენარეს ვითარდება 12 მეტრიანი სიმაღლის ღერო.

მექსიკაში აგავა დიდი სამეურნეო მნიშვნელობის მცენარეა. მისი მოსავალი რომ გაზრდილიყო, ძველად ლოცვებსა და შესაწირავებს იძლეოდნენ, თაყვანს სცემდნენ აგავას ქალღმერთს მაიაჰუელს.

რა სარგებლობას აძლევს თავის თანამემამულეთ აგავა, ასე რომ გაუღმერთებიათ?

აგავას ფესვზე აქვს მსხმოიარე სქელი და ხორციანი ფოთოლი, რომელიც სიგრძით 3 მეტრს, წონით 10 კილოგრამს აღწევს. მისი კიდეები მახვილბოლოიანი ეკლებითაა შემოსილი, წვერო კი მაგარი ნემსის მაგვარი ეკლით მთავრდება. ფოთოლი სიგრძეზე დაქსელილია ბოჭკოვანი ძარღვებით. ფოთოლს ტეხენ „ნემსიან" წვეროს, რომელსაც თან მოჰყვება ბოჭკო და ღებულობენ „ნემსი ძაფით", რომელსაც ხმარობენ საკერავად, სადგისებად, ლურსმნებად და ქინძისთავებად.

თითოეულ აგავაზე ყოველწლიურად შეიძლება მოჭრან ოცი ფოთოლი, გამოჰყონ მისგან სიზალის სახელწოდებით ცნობილი ფუეში ქსოვილი და დაამზადონ თოკები, ბაგირები, ჰამაკები, ბადეები, ფეხსაცმელები, ჩანთები და სხვ.

აგავას ფოთლის რბილ ნაწილს, რომელსაც მწვავე გემო აქვს, საკვებად იყენებენ, ჭამენ როგორც უმად ასევე მოხარშულს.

აგავას ბოჭკოსაგან და ფოთლის კანისაგან ამზადებენ ქაღალდს, ფოთლის რბილი ნაწილისაგან საპონს. აგავას გამხმარი ფოთლებით ხურავენ ქოხებს.

ფოთლის შუაგულში გამოჩენილ კვირტს ჭრიან, ამოჭრილ ჯამში დგება ტკბილი წვენი, რომელსაც ესპანურად „აკვამიელი" ეწოდება, რაც ნიშნავს „თაფლის წყალს". ამ წვენში უხვად არის შაქარი.

„აკვამიელისაგან" დუღილის შედეგად ღებულობენ ალკოჰოლიან სასმელს — „პულკეს". ერთი აგავა ათი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად იძლევა ხუთ ლიტრა „თაფლის წყალს".



## შინაური პითონი

კუნძულ ფლორესზე მცხოვრებმა ერთმა ინდონეზიელმა პატარა მახრჩობელა გველი დაიჭირა. ქვეწარმავალს რძითა და ხილით კვებავდა და სულ მალე მიიჩვია. როცა პითონი გაიზარდა და უზარმაზარი ექვსმეტრიანი გველი გახდა (იგი 140 კილოგრამს იწონიდა), ძველებურადვე თვინიერი და დამჯერე იყო, ხშირად პატრონს მუშაობაშიც ეხმარებოდა: ხილი და ქოქოსის კაკალი რომ დამწიფდებოდა, გველი ხეზე ადიოდა და არხევდა, ხოლო პატრონი დაბლა იდგა და ნაყოფს აგროვებდა.

## სწრაფმავალი ტრაქტორი

წვიმისაგან დამბალ მიწაზე ძლივს მიდოდავს მძლავრი სატვირთო მანქანა „ზილ-110“. მისი სპიდომეტრის ისარი სკალის პირველ დანაყოფებს არ სცილდება: მანქანა საათში სულ რაღაც 10-15 კილომეტრს გადის.

უცებ ზურგსუკან ტრაქტორის გუგუნი მოისმის. სულ მალე გარეგნულად ჩვეულებრივი ტრაქტორი მანქანას უსწრებს და უჩინარდება.

ეს სწრაფმავალი ტრაქტორი „ტ-40“ გახლავთ. იგი დაამზადეს ლიპეცკის ქარხანაში. მისი სიჩქარე საათში 20 კილომეტრს უდრის, ე. ი. ხუთჯერ სწრაფია ჩვეულებრივ ტრაქტორთან შედარებით.



## წყალქვეშა პლანერი

ოქროსფერი მანქანა უხმაუროდ კვეთს წყლის ზედაპირს და მდორედ ეშვება მის სიღრმეში. შეშინებული თევზები აქეთ-იქით გარბიან. პლანერს ნილაბსა და აკვალანგებში გამოწყობილი ადამიანი ჩაჭკვრია და ყურადღებით ათვალიერებს მურამწვანე წყალმცენარეებს. პლანერი კი სავსებით თვინიერად ემორჩილება და გზას განაგრძობს, სიჩქარეს უმატებს. რა არის ეს? ფანტაზია? არა! ასე მიმდინარეობდა წყალქვეშა პალნერის გამოცდა, რომელიც მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტებმა დაამზადეს.

პლანერი საათში 25 კილომეტრამდე სიჩქარეს ავითარებს. მასზე, ისევე როგორც თვითმფრინავზე, უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების გაკეთებაც შეიძლება.

## მოკლედ ყველაფერზე

მექსიკელები აგავას ღეროებიდან ნამცხვარს აცხობენ, ხოლო ფოთლების, ღეროებისა და ფესვებისაგან ხდიან სპირტს. გარდა მექსიკისა აგავა კარგად ხარობს ბრაზილიაში, პერუში, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, ალჟირში. აგავა ჩვენში გამოიყენება როგორც დეკორატიული მცენარე. იგი შეიძლება ნახოთ ლენინგრადში — ყაზანის ტაძართან, მოსკოვში — კრემლის კედელთან, შავი ზღვის სანაპიროზე. შეიძლება მისი გახარება ოთახის პირობებში, თბილი ქვეყნების ბაღებსა და სკვერებში.

## ღვერძკეცა

არის ერთი მცენარე, რომელსაც ქართლში ლორტყავას ან ღვედურას, — იმერეთში — მარგატელას, რაჭაში — მაკრატელას, ხოლო გურიაში ჯასკუტას ეძახიან.

მეცნიერები ამ მცენარეს ღვერძკეცას უწოდებენ. ეს მხვიარა მცენარე ღვერძკეცათა ოჯახში შედის. მისი ღერო მეზობელ ხის ტანს ეხვევა და თითქმის 12 მეტრის სიმაღლეზე აჰყვება ხოლმე.

ეს მცენარე ძველი დროიდანვეა ცნობილი. აფრიკელები მისგან გამოწურულ სითხეს, როგორც მომწამლავ ნივთიერებას, ისრის წვერს უსვამდნენ. ასეთი ისრით კანის ოდნავი გაკაწვრაც კი სიკვდილს იწვევდა.

ღვერძკეცა ხარობს ტყეებსა და ბუჩქებში შუა და მცირე აზიაში, სამხრეთ ევროპაში, ჩრდილოეთ ირანში, უკრაინაში, ჩვენში, შავი ზღვის სანაპიროზე.

გასული საუკუნის დასასრულს სამეცნიერო წრეები დაინტერესდნენ ამ მცენარით. ტომსკის უნივერსიტეტის პროფესორმა ლემანმა დიდი მუშაობის შედეგად მისგან მიიღო გულის სამკურნალო პრეპარატი, რომელსაც პერიპლოცინი უწოდა.

პრეპარატი კარგი გამოდგა. ლემანმა დაწერა მისი მიღების წესები, მაგრამ ისე ბუნდოვნად, რომ ვერავინ გაიგო. 20-30 წლის შემდეგ, როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენშიც ფარმაცევტულმა სამეცნიერო დაწესებულებებმა სცადეს ამ პრეპარატის მიღება, მაგრამ ცდები უშედეგო გამოდგა.

გავიდა დრო. ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისის ქიმია-ფარმაცევტიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ—მუშაკმა ქეთევან მუჯირმა, დაუღალავი მუშაობის შედეგად, ღვერძკეცას ქერქიდან სუფთა სახით მიიღო სამკურნალო პრეპარატი პერიპლოცინი. ამით ქართველმა მეცნიერმა ქალმა თითქმის მივიწყებული მცენარე ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დააყენა.

ანა ნემსაძე






თქვენს წინაშეა უჯრედებად დაყოფილი სპირალურად დახვეული წრეები, რიცხვების ჯგუფებად დაყოფილი ცხრილი და კითხვები. სცადეთ, გასცეთ ზუსტი პასუხები კითხვებს, ცხრილში შემავალი რიცხვები, ჯგუფების მიხედვით, შესცვალეთ თქვენს მიერ ნაპოვნი პასუხებით და შემდეგ, წრეების უჯრედებში ჩასმული რიცხვების ნაცვლად, ჩასვით მათი შესაბამი ასოები და ტექსტი ამოიკითხეთ ისრით ნაჩვენები ადგილიდან.

I-დან IX-მდე—მზის სისტემაში შემავალი ყველა ცხრა პლანეტის სახელი; X.—სივრცეში პლანეტის ბრუნვის ელიპსი მზის მიმართ; XI. მზისა და მთვარის ორბიტების დედამიწასთან ყველაზე უფრო დაშორებული წერტილი; XII. სახელგანთქმული საბჭოთა მფრინავი.

I. 5, 10, 7, 1, 16, 7. 9; II. 8, 10, 13, 10, 7, 4; III. 11, 10, 11, 4, 5, 9, 18, 4; IV. 5, 4, 7, 14, 9; V. 9, 16, 17, 9, 15, 10, 7, 9; VI. 14, 4, 15, 16, 7, 13, 9; VII. 16, 7. 4, 13, 9; VIII. 13, 10, 17, 15, 16, 13, 9; IX. 17, 3, 16, 15, 6. 13. 9; X. 6, 7, 9, 15, 4; XI. 4, 17, 6, 2, 10; XII. 19, 1, 4, 3, 6, 8, 9.

რ. თავდიდიშვილი

## დროის მოგება?

მგზავრს 1000 კილომეტრი მანქანით უნდა გაევლო, საათში 40 კმ. საშუალო სიჩქარით. -

—თვითმფრინავით წადი, გზის ნახევარიც რომ გაიფრინო, ოცჯერ მეტი დრო დაგეზოგება და 12,5 საათის სამგზავრო გზას 2|3 საათში გაიქროლებ. გზის მეორე ნახევარი ორჯერ ნელა რომც იარო, დანიშნულ ადგილზე მაინც ადრე ჩახვალ, დროს მოიგებო.

მგზავრმა დაიჯერა და გზის პირველი ნახევარი გადაიფრინა, მეორე ნახევრის ყოველი ოცი კილომეტრის გავლას ერთ საათს ანდომებდა.

თქვენ რას იტყვით, მოიგებდა დროს?

ნ. კლდიაშვილი

# პასუხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აბა, სცადე?

1. ოთხასი; 2. საერთო; 3. ეპოპეა; 4. ევროპა; 5. ვენახი; 6. ხალათი; 7. თარაზო; 8. ბაზარი; 9. ყალიბი; 10. მილანი; 11. ამინდი; 12. იდეალი; 13. ლადოგა; 14. გოგოლი; 15. ლოგიკა; 16. მილაკი; 17. ტრიალი; 18. სატირა.



## თავსატეხი

ფიგურა იყოფა ოთხ ტოლ ნაწილად ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე.

## გამოცანები

1. ბირდაბირი; 2. ირემი.

## ამოცანა



პატარა ბიჭიკო და გოჭი იწონიან იმდენს, რამდენსაც იწონის 5 ყუთი.



გოჭი იწონის 4 ფისოს.



2 ფისო იწონის ერთ ყუთს.

რამდენ ფისოს იწონის პატარა ბიჭიკო?

ე. ვაჩნაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის, 91 ტელ. 5-07-43

„ПИОНЕРИ". На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 09635 ტირ. 27.000. ქაღ. ფორ. რაოდ. 4½, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 5/XI-62 წ.
სტამბის შეკვ. 2004. გამომც. შეკვ. 168. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის [illegible] კომბინატი.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ უბრუნდება.
ფასი 20 კაპიკი



„უშიშარი მძღოლი“ — ფოტო-ეტიუდი ი. მალა

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ძიძას არ აცილებია და ტე-ლეფონზე ჰკიდია.„ —

ფოტოეტიუდი გ. ხანაიასი.



—„ნორჩი მათემატიკოსი“, — ფოტოეტიუდი გ. სანაიასი.



„მონადირის ტყუილი და მართალი“,

— ფოტოეტიუდი დ. იაკობაშვილისა.




ეროვნული ბიბლიოთეკა